



ლიბეჩანი

№ 41 / 26 ივლისი - 1 აგვისტო / 2010

- რევორტაში ვანკისის სეზონიდან **გვ. 06**
- სელზეუხეაქალია თუ არა ვრეზიდენტის პირადი ცხოვრება? **გვ. 10**
- ვიქმაროთ, ჩვენ გვინდა ახალი კონსტიტუცია! **გვ. 18**
- „ნიგის ტყის ნარჩენები ვლადიმირ ვუტინისათვის“ **გვ. 23**
- ქურნალისტური გამოქიება: რაკეტი თბილისის ქუჩაგვი **გვ. 29**
- უკანსისგებულ ექიმები **გვ. 36**
- ქალაქი ტელევიზორში **გვ. 42**
- ბათუმს ქათქათას, ბათუმს გლამურულს **გვ. 46**
- გული გაუსათქათო თბილისს! **გვ. 48**

ფანი 2 ლარი

ISSN 1987-7528



9 771987 752008



ქუჩანიტაჟი გამოქიება

დიღმის ტყე-პეჩანი
პეჩიდანტი სანაშვილი
მიშან ნინალოძე გვ. 12



რადიო „ნაცნობი“ გეგატიშებით კლუბში „ნაცნობი“

- ტრადიციული ქართული საზარაულო
- სოცხალი მუსიკა





დიღმის ტყე-პარკი, ივლისი, 2010

ფოტო: ლევან ხერხეულიძე

ნომერში:

- 02 ფოსტა
- 04 მოკლედ
- 06 **რეპორტაჟი**
„ახალი მეჩეთი“
- 10 **ორი აზრი**
უნდა ვიცოდეთ თუ არა პრეზიდენტის პირადი ცხოვრების შესახებ?
სანდრო ბარამიძე vs ქეთი დევდარიანი
- 12 **მთავარი თემა**
პრეზიდენტი სააკაშვილი მიშას წინააღმდეგ
- 18 **თვალსაზრისი**
ვიჩქაროთ, ჩვენ გვინდა ახალი კონსტიტუცია!
მარკ მალენი
- 19 **მსოფლიო**
კოსოვო - კიდევ ერთი ნაბიჯი დამოუკიდებლობისკენ

მეზობლები

- 21 უალტერნატივო „ბატკო“
- 23 **რუსეთი, ადამიანის უფლებები**
„ხიმკის ტყის ნარჩენები ვლადიმირ პუტინისათვის“
კონფლიქტები
- 25 სჭირდება თუ არა აფხაზეთს საკუთარი ვალუტა?
საუბრები ლიბერალიზმზე
- 27 ვუდსტოკი საქართველოში
ჟურნალისტური გამოძიება
- 29 რეკეტი თბილისის ქუჩებში
ეკონომიკა
- 33 ეკონომიკური საზღვრების გარეშე
საზოგადოება
- 35 თუთბერიძე VS შაშკინი
ჯანდაცვა
- 36 უპასუხისმგებლო ექიმები
ანიმაცია
- 40 ქართული ანიმაცია „შრეკის“ ეპოქაში

მედიაკრიტიკა

- 42 ქალები ტელევიზორში
წიგნები
- 44 „ომის წიგნი - ომის ლიტერატურის 25 საუკუნე“
კულტურა
- 46 ბათუმს ქათქათას, ბათუმს გლამურულს
სპორტი
- 47 სოკრატესი გახსოვთ? გიო ახვლედიანი



ქალაქში მოხეტიალე კაცის ჩანაწერები

- 48 გული გაუხეთქეთ თბილისს! კახა თოლორდავა

ბარიკადაზა:

პრეზიდენტი სააკაშვილი მიშას წინააღმდეგ
ფოტო: ლევან ხერხეულიძე



ჟურნალი „ლიბერალი“ გამოიცემა ფონდ „ღია საზოგადოება - საქართველოს“ მხარდაჭერით.

ავტორის / ავტორების მიერ საინფორმაციო მასალაში გამოთქმული მოსაზრება არ გამოხატავს ფონდის „ღია საზოგადოება-საქართველოს“ პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

The views, opinions and statements expressed by the authors and those providing comments are theirs only and do not necessarily reflect the position of Open Society Georgia Foundation. Therefore, the Open Society Georgia Foundation is not responsible for the content of the information material.

არის თუ არა ქალბინოსთვის ბურკის ტარების აკრძალვა მათი უფლებების დარღვევა?

ორივე მოსაზრებაში არის ბევრი რამ, რასაც ვიზიარებ. მე ცოტა სხვა კუთხით ვუყურებ. ჩადრი იქნება, ბურკა თუ ფარანჯა – ყველას კარგად მოგვეხსენება, რომ ეს არ არის ქალის ჩაცმულობის მოდური აქსესუარი. არც ყოფილი უკულტურის საჭიროებიდან არის მისი ტარება აუცილებელი (როგორც, მაგალითად, არაბი მამაკაცები ქეშიან უდაბნოში იკრავენ სახეს). ეს მხოლოდ პატრიარქალის განმამტკიცებელი რელიგიური ინსტრუმენტია. მეტიც, მისი ტარება მხოლოდ საჯარო სივრცეში მოეთხოვება ქალს და არა სახლში – დახურულ კარს მიღმა. შესაბამისად, ბურკის დანიშნულება ისაა, რომ ქალმა სახე დამალოს საჯარო სივრცეში, რადგანაც ამას მისგან სწორედ მამაკაცი მოითხოვს. საესეებში შესაძლებელია, რომ ქალი იმდენად იყოს შეგუებული საკუთარ ბედს, რომ კომფორტის ზონიდან გამოსვლა არ მოინდომოს და ბურკის ტარების უფლება მის ძირითად უფლებადაც მიიჩნიოს. ასეა შაჰიდი ქალების შემთხვევაშიც. ეჭვიც არ მეპარება მათი განზრახვის გულწრფელობაში, თუმცა კარგად მოგვეხსენება, ასეთ განზრახვებამდე რა მექანიზმებით მიდის ქალი. ეს მისი მამაკაცთან თანასწორობის, ხშირ შემთხვევაში, ერთადერთი შესაძლებლობაა. საკუთარი სიცოცხლის უფლების დათმობაზეც კი მიდის ის, რომ თავი დაიმკვიდროს (უკვე როგორც არაცოცხალმა) მასკულინურ საზოგადოებაში. საფრანგეთი ვერ მოსთხოვს ირანს, გააუქმოს ქალების მიმართ ასეთი დისკრიმინაცია. თუმცა, მას შეუძლია საკუთარი მოქალაქეების

თანასწორუფლებიანობის გარანტი იყოს. მეორეა, როდესაც ამას სარკოზის მემარჯვენე ხელისუფლება აკეთებს და, ბუნებრივია, ამას ისლამოფობიის ელფერსაც ვმადებ. თუმცა, ამ კონტექსტის გარეთ ყველაფერი ლოგიკურია. თუ შენ ქალს უნესებ შეზღუდვას, რომ საჯარო სივრცეში სახე არ გამოაჩინოს და ამის უფლება მას სახლში აქვს, მაშინ ეს აკრძალვა ყველაზე უფრო ბუნებრივი რამაა, რაც შეიძლება ამ სიტუაციაში გაკეთდეს. მთავარი ინსტრუმენტი კი, რა თქმა უნდა, განათლება უნდა იყოს.

**პაკო, 20 ივლისი, 2010
www.liberali.ge**



მგონია, რომ ბურკის აკრძალვით იმ პროვინციებში, სადაც ქალებს ჩაქოლვით უსჯიან სიკვდილს ლალატისთვის, მათი მდგომარეობა სულ ცოტათი მაინც შემსუბუქდება. ქალები, რომლებსაც 12 წლის ასაკში მამები ბურკას ჩამოაცვამენ და მეზობელ სახლში უცნობ და უფროს კაცს მივგვრიან ცოლად, გარედან დახმარების გარეშე, ვერაფერს გახდებიან. მთავარი რამ დღეს ისევ ბოსელში მშობიარობდეს ქალი და

ახლად დაბადებულ ჩვილთან ერთად იქ ცხოვრობდეს 40 დღე, როგორც უწმინდური, რას ვიზამდით ნეტავ? არ ავკრძალვდით? ისე, კი მეცინება, – სხვა სხვის ომში ბრძენიარ, – ჩვენზე ითქმის. ამავე გვერდზე სოფო ბუკიას მშვენიერი ჩანაწერი ჩვენს „ტოლერანტულობაზე“. ვერც წარმომიდგენია, რას ვიზამდით ან როგორ მოვიქცეოდით ყოველი მე-15 ქალი ბურკიანი რომ გამოგვეცხადოს საქართველოში. საფრანგეთის პარლამენტს, და არა სარკოზის პარლამენტს (როგორც ჩვენ წარმოგვიდგენია) ჩვენგან ჭკუა არ ესწავლება, ასე მგონია...

**უნა, 23 ივლისი, 2010
www.liberali.ge**

არ მესმის, რატომ ჰგონია ბატონ დავით გაბუნისას, რომ მუსლიმი ქალების შინაგანი თავისუფლების ჩვენთვის სასურველი ხარისხი კანონის ძალით ბურკის აკრძალვით შეიძლება იქნეს მიღწეული. ეს, როგორც ნესი, უფრო მეტ აგრესიას გამოიწვევს (და ერთხელ უკვე გამოიწვია) მუსლიმი მოსახლეობის მხრიდან. თან საფრანგეთის მთავრობამ საყვედურიც მიიღო ადამიანის უფლებათა დაცვის ჰელსინკის საერთაშორისო ფედერაციისგან. გარდა ამისა, მუსლიმ მოსახლეობას, რელიგიის თავისუფლების პრინციპით, სრული თავისუფლება უნდა ჰქონდეს, ქალიშვილები საკუთარი ტრადიციისამებრ აღზარდონ, თუ აღზრდის მეთოდები უნებმად არ შეურაცხყოფს პიროვნების ღირსებას. თავსაფრის ტარება კი, არა მგონია, ადამიანის ღირსების შემლახავი იყოს. მით უმეტეს, თუ ეს ნებაყოფლობით ხდება .

**დავით თინიკაშვილი, 20 ივლისი, 2010
www.facebook.com**

რედაქტორები: მთავარი რედაქტორი **შორენა შავერდაშვილი** / აღმასრულებელი რედაქტორი **ნინო ჯავაიშვილი** / პოლიტიკა და საერთაშორისო ამბები **სოფო ჭავჭავაძე** / კავკასია და კონფლიქტები **სოფო ბუკია** / ჟურნალისტური გამოძიება **ბესო კურტიანიძე** / საზოგადოება **თამარ ბაბუაძე** / ადამიანის უფლებები და სამართალი **ნინო ბექიშვილი** / ახალი ამბები **ნათია ახალაშვილი** **შურნალისტიკა**: მათა ნიკოლაური, ნინო გოგუა, მარიკა ქორჩიაშვილი, ეკა ჭითანავა, რუსუდანი ფანოზიშვილი, ანიტა თვაური, თამარ ფარადაშვილი, ნინო ჩიმაკაძე, რუსუდანი რუხაძე, ნინო რობაქიძე, იაგო ყურაშვილი, ნათია გულიაშვილი, დავით ბუზნიკიძე **კონტრბუქტივი**: მარე მალეში, გიორგი ცხადაია, კახა თოლორაძე, გიო ახვლედიანი, ლამა ბულაძე, სანდრო ნავერიანი **რედაქცია**: ფოტო-რედაქტორი **ლევან ხერხეულიძე** / გრაფიკული დიზაინი **თორნიკე ლორთქიფანიძე** / რედაქტორ-სტილისტი **ნინო სვანიძე** / კორექტორი **ნინო საითიძე** **გამომცემლობა**: პროექტის მენეჯერი **ქეთი ბაბუნაშვილი** / პროექტის მენეჯერის ასისტენტი **ლელა შუბითიძე** / რეკლამის და გაყიდვების დირექტორი **შალვა ჩუბინიძე** / მარკეტინგი და საზოგადოებასთან ურთიერთობა **ნათია რუსაძე** / დისტრიბუტორი **ზვიად შენგელია** **გამომცემელი**: შპს „ლიბერალი“. მისამართი: თბილისი 0162, ფალიაშვილის ქ. 108. ტელ.: (995 32) 232235, 233731, 912326. ელ-ფოსტა: info@liberali.ge **სხვა გამომცემები**: „ცხელი შოკოლადი“, „ცხელი შოკოლადი – ლიტერატურა“, „ბიზნესი: ადამიანები, მეთოდები, სტრატეგიები“.

„ლიბერალი“ საავტორო უფლებები დაცულია. ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების ნაწილობრივი და/ან მთლიანი გამოყენება რედაქციის თანხმობის გარეშე აკრძალულია. **ბეჭდვა**: სტამბა „ფაფორიტი“. მისამართი: თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. 50. ტელ.: (995 32) 95 19 52. www.pfavourite.ge გამოდის კვირაში ერთხელ, ყოველ ორშაბათს. პირველი ნომერი გამოცემულია 2009 წლის მაისში. რეკომენდებული საცალო ფასი 2 ლარი.

**ჰოთა სინჯაგაშვილის ბლოგი
ვერას ტვიტაბი**

ამ ტენდენციას უფრო კონკრეტული სახელი შეიძლება მოუძებნოთ – ახალი მედიის გამოყენება დემოკრატიული მმართველობის გაძლიერების (ან მისი სიმულაციის) მიზნით. ეს მიმართულება ახლადგამინისტრებულ ვერა ქობალასაც ხიბლავს: ტვიტერზე ინგლისურად წერს, „ღია მთავრობის ინიციატივის“ მსგავსზე ხომ არ გვეფიქრაო. ეს უკანასკნელი ობამას ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ინიცირებული პროექტია, რომელიც ფედერალური უწყებების გამჭვირვალობას და მოქალაქეებთან პირდაპირი, ღია ურთიერთობების გზით საჯარო ინსტიტუტებისადმი ნდობის ამპლუბას ისახავს მიზნად. ჩახუჭუჭების გარეშე რომ ვთქვა, ცოტათი უფრო აზრიანი რამ არის, ვიდრე „გამჭვირვალობის“ პირდაპირი, შუამდინებით გაგება.



**სოფო გუკიას ბლოგი
მე, ჩემი ზანგი, ქალბატონი ნუნუ, „ლოთი მამა“, თმად-ამწვარი გოგო და სხვები**

– ვაიმევეეეე, ზანგი! – დაიყვირა ვილაცამ. – ჩვენ მძლოლთან მივიდა! აქეთ მოდიან!
წამიერად ყველა გაიტრუნა. პირველები აზრზე ის მგზავრები მოვიდნენ, რომლებიც გადატყავებული სკამის აქეთ-იქით ისხდნენ.
– ვაიმე, ეს ახლა უეჭველი ჩვენ მოგვიჯდება, – უცებ აუღო ალლო სიტუაციას სტუდენტმა გოგონამ.
– ამათ საშინელი სპეციფიკური სუნი აქეთ, – თავი გააქნია კიდევ ერთმა მგზავრმა.



**ანიტა თვაურის ბლოგი
გაინფინდე უხეი პუტინზე!**

რამდენიმე წამი გაშეშებული ვიყავით, მე, რესპონდენტი და პუტინი. უფრო სწორად პუტინის სახე, რომელზეც ალბათ ყოველდღე უამრავი ადამიანი იწმენდს ფეხს. აუცილებელი არ არის გაინფინდოთ, გინდა არ გინდა, შესვლისას მის სახეზე გადავლა მაინც მოგიწევთ.



**გიორგი ცხადაიას ბლოგი
„თვაილაითი“ და პოლიგამია**

რაში მდგომარეობს „თვაილაითის“ მთავარი ინტრიგა? რატომ ჰყავს მილიონობით ფანი მთელს მსოფლიოში? რატომ ითვლება ედვარდის როლის შემსრულებელი რობერტ პეტისონი მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან ადამიანად? (დღეს „ფორბსის“ სია ვნახე და მართლა ასეა!) რატომ იზიდავთ თინეიჯერებს უცნაური გოგოს ისტორია, რომელსაც ვამპირი და მაცქცია ერთდროულად უყვარს?
მგონი, ადამიანები ნელ-ნელა ხვდებიან, რომ მონოგამია, ანუ ერთი ადამიანის სიყვარული მითია. ჩვენ, სინამდვილეში, ერთდროულად ბევრი ადამიანი გვიყვარს!
მე, მაგალითად, ზუსტად ანალოგიური შემთხვევა მახსოვს, როცა ორი გოგო ერთდროულად მიყვარდა (!). ახლა დაიწყებთ ალბათ, რომ სინამდვილეში არც ერთი არ მიყვარდა და ბლაბლაბლა... მაგრამ ყველაზე კარგად მე ვიცი – მართლა ეგრე იყო!



ხოხოითის და ბალაფშის პოიჯი

სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დე ფაქტო მმართველები ნიკარაგუასა და ვენესუელას სტუმრობდნენ. ვიზიტი მანაგუაში დაიწყო. იქ პირველი ბალაფში ჩავიდა, კოკოითის ვიზიტი კი, იმის გამო, რომ მისი თვითმფრინავის ძრავას გზაში პრობლემები შეექმნა და ჰელსინკის აეროპორტში ავარიული დაჯდომა მოუწია, დაგვიანებით დაიწყო. მან მხოლოდ მას შემდეგ გააგრძელა თავის 15-კაციან დელეგაციასთან ერთად გზა, როცა მოსკოვიდან ახალი თვითმფრინავი გაუგზავნეს. ნიკარაგუას პრეზიდენტი ჯერ ბალაფში შეხვდა, შემდეგ კი კოკოითის. მათ იქ ყოფნას ქვეყანაში სანდინისტური რევოლუციის 31-ე წლისთავის აღმნიშვნელი ზეიმი დაემთხვა და კოკოითი და ბალაფში იქ ყველაზე მაღალი რანგის სტუმრები აღმოჩნდნენ.

„ჩვენ ველურებად ვჩანვართ იმის გამო, რომ მხარს ვუჭერთ სეპარატისტულ მოძრაობას საქართველოში“, – განაცხადა ადგილობრივ პრესაში ნიკარაგუას ყოფილმა საგარეო საქმეთა მინისტრმა და ოპოზიციონერთა ერთ-ერთმა ლიდერმა, ედუარდო მონტელაგრემ. მანაგუადან ბალაფში და კოკოითი კარაკასში გადაინაცვლეს, სადაც უგო ჩავეს უნდა შეხვედროდნენ, თუმცა ეს შეხვედრა გადაიღო. როგორც რუსული მედიასაშუალებები წერენ, ორ სეპარატისტულ ლიდერსა და სამხრეთ ამერიკელ ლიდერებს შორის „რიგი სახელმწიფოთაშორისი შეთანხმებები“ გაფორმდა, მათ შორის – ეკონომიკურ და ჰუმანიტარულ სფეროებში, ასევე – უვიზო მიმოსვლის შესახებ.

ოხი ახალი თახილი

საქართველოს პარლამენტმა 25 თებერვალი – საბჭოთა ოკუპაციის, 23 აგვისტო კი – სტალინის ნიშნის და ნაციზმის მსხვერპლთა ხსოვნის დღედ გამოაცხადა. პარლამენტმა დაავალა მთავრობას, რომ ყოველ 25 თებერვალს, იმ დღეს, როდესაც წითელი არმია თბილისში შემოვიდა, ასეულ ათასობით ოკუპაციის მსხვერპლთა პატივსაცემად, სახელმწიფო დროები დაემუშავა და ნუთიერი დუმილი გამოცხადდეს.



საფსაში პოხი შნეა

სუფსასთან შავი ზღვის სანაპიროზე ყველაზე დიდი პორტის მშენებლობა დაიწყო. პორტის სამშენებლო სამუშაოებს ქართულ-უცხოური კომპანია Black Sea Product აწარმოებს და იგი ექსპლუატაციაში 2012 წლისთვის შევა. პროექტის პირველი ეტაპისთვის 700 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიციაა გათვალისწინებული. კომპანიაში აცხადებენ, რომ 2016-2017 წლებისთვის ინვესტიცია მილიარდ-ნახევარ დოლარამდე გაიზრდება.

სუფსის პორტის თვით-გამტარობა ფოთისაზე ორჯერ მეტი იქნება; მისი მთავარი პლუსი კი სიღრმე – 18 მეტრი. ამის გამო, პორტი ნებისმიერი სიდიდის გემის მიღებას შეძლებს. ექვსნავისადგომიანი პორტის ნავსადგურის ტერიტორია 46 ჰექტარი იქნება, საჭირო ინფრასტრუქტურა და მშრალი ტერმინალები კი 180 ჰექტარზე გაშენდება. პორტი საკონტეინერო, კომბინირებული ნავთობის, მარცვლეულის, ხორბლის, ავტომობილების გადაზიდვას მოემსახურება. იქნება მიმღებ-გამშვები, ანუ რევერსული ხაზები. ამჟამად ტერიტორიაზე მოსამზადებელი სამუშაოები მიმდინარეობს. ნესრიგდება სადრენაჟო სისტემა. ლანჩუთის მუნიციპალიტეტში ვარაუდობენ, რომ სუფსის პორტიდან რაიონის ბუფეტში ყოველწლიურად 10 მილიონამდე ლარი შევა.

ჩისხვები

62 ათასი ლარი გამოიყო მერიის სარეზერვო ფონდიდან „ქომედი გრუპისთვის“ სხვადასხვა ღონისძიებისთვის.

20 მილიონი გახდა პეკინის მოსახლეობის რაოდენობა.

ბანათიანის ოჩონიანი სისხება

საქართველოს პრეზიდენტმა განათლების სამინისტროში სტუმრობისას ახალ ინიციატივაზე ისაუბრა – მომავალი წლიდან სწავლა ორდონიანი იქნება. ვისაც პროფესიული განათლების მიღების სურვილი ექნება, შეუძლია, მხოლოდ 10 კლასის განათლება მიიღოს, ხოლო ვისაც უმაღლესი განათლების მიღება სურს, ის 12 კლასს დაამთავრებს. სამინისტროში მისული პრეზიდენტი მინისტრსა და უწყების სხვა წარმომადგენლებს შეხვდა. სააკაშვილი სამინისტროს „თანმიმდევრული პოლიტიკითა და რეფორმებით“ კმაყოფილია. თუმცა აღნიშნა, რომ საქართველოს „განათლების სისტემა, რა თქმა უნდა, არ აკმაყოფილებს იმ თანამედროვე გამოწვევებს, რომელიც საქართველოს აქვს“. პრეზიდენტმა კიდევ ერთი სიახლის შესახებ გააკეთა განცხადება – პედაგოგებს, რომლებიც სერტიფიცირებას გაივლიან, ხელფასები მოემატებათ.



10-წლიანი ჰახიძეობა ონიანს

მოსკოვის ხამოვნიჩესკის სასამართლომ ე.წ. კანონიერი ქურდი, ტარიელ ონიანი ადამიანის გატაცებაში დამნაშავედ ცნო და 10 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. პატიმრობა შეუფარდეს ონიანის თანამზრახველებსაც: სერგეი აბუთიძეს – 9 წელი, ალექსეი ზურაბოვს კი – 6 წელი. სამივე მათგანი სასჯელს მკაცრი რეჟიმის კოლონიაში გაატარებს. სასამართლომ დაზარალებულის მოთხოვნაც დააკმაყოფილა და ონიანს და აბუთიძეს მის სასარგებლოდ 7 მილიონი რუბლის გადახდა დააკისრა. რუსული საინფორმაციო საშუალებების ცნობით, სასამართლოს გადაწყვეტილებას ონიანი შეძახილით შეხვდა: „გაუმარჯოს ჩვენს საბჭოთა სასამართლოს“. ტარიელ ონიანის ადვოკატი სასამართლოს განაჩენის გასაჩივრებას აპირებს. გამოძიების ვერსიით, ონიანმა და მისმა თანამზრახველებმა 2009 წელს მოსკოველი ბიზნესმენი გაიტაცეს და მის გასათავისუფლებლად ნახევარ მილიონ აშშ დოლარს ითხოვნენ. თანხის ნაწილის გადახდის შემდეგ გატაცებული გაათავისუფლეს. მან პოლიციას მიმართა და მსჯავრდებულები ამის შემდეგ დააკავეს.

265 მილიონი ევრო დაიხარჯება „შავი ზღვის რეგიონული ელექტროგადამცემი ხაზის პროექტის“ განხორციელებისთვის.

სიტყვები



„სამინისტროებს ჯერ კიდევ ბევრი პრობლემა აქვთ. ეს ყველაფერი კი იმის ბრალია, რომ სხედხართ ხალხი, ვისთვისაც საუკეთესო პოზაა არაფრის კეთება, ნაცრის ქექვა და მახათის ერთ ადგილზე გაყრა. გეგონება, მაძლარი ქვეყნის მთავრობას წარმოვადგენდეთ. მე ამის მოთმენას აღარ ვაპირებ“.

**მიხეილ სააკაშვილი
20 ივლისი, ყვარული**

„ჩვენ არ ვართ ხორცკომბინატი, რომ, მინისტრების და თანამდებობის პირების ნაცვლად, ხორცის ნაჭრები შევინახოთ, ჩვენ გვჭირდება ცოცხალი, მოძრავი, იდეებით და ენთუზიაზმით აღსავსე ადამიანები“.

**მიხეილ სააკაშვილი
20 ივლისი, ყვარული**

„ყველაფერი, რაც ბატონ ტრამპთან არის დაკავშირებული, ძალიან დიდია. ნებისმიერი ინვესტიცია იქნება ძალიან დიდი, ბევრი, ბევრი ნულებით“.

**მაიკლ კონი – The Trump Organization-ის
ვიცე-პრეზიდენტი
14 ივლისი, Eurasianet.org**

3540 ლარი იქნება თბილისის მერისა და საკრებულოს თავმჯდომარის ხელფასი.



რაისა ალხანაშვილი ხმამალა ზიქრის რიტუალის დროს, სოფელი დუისი, ივლისი 2010

ფოტოგრაფია: თეონა მელიქიძე

"ახალი მეჩეთი"

პანკისის ხეობაში დიდი „ვაჰაბიტური“ მეჩეთი, რომელსაც უკვე „სოფლის მშენებას“ უწოდებენ, სუფისტების სალოცავის საძირკველზე შენდება. ზუსტად ასე ანაცვლებს ქისტურ სოფლებში ახალი რელიგიური განშტოება ძველ, მუსლიმურ ტრადიციებს.

ეკა ჭითანავა, მარიკა ქოჩიაშვილი

„ლა ილაჰა ილა ლლაჰ“, – „არ არს ღმერთი თვინიერ ალაჰისა“, – მღერის თეთრთავსაფრიანი ქალბატონი, საფეთქელთან ხელს იდებს, თვალებს ხუჭავს და წრეზე დადის. ათიოდე ხანშიშესული ფეხშიშველი ქალი ტაშს უკრავს, ფეხებს რიტმულად აბაკუნებს და ნამღერებით ლოცულობს.

ეს ხმამალალი „ზიქრის“ რიტუალია, რომელსაც პანკისის ხეობაში მცხოვრები ქისტი ქალები მათი სულიერი ლიდერის, ქუნტა ჰაჯის პატივსაცემად ასრულებენ. „ზიქრის“ რიტუალით – სიმღერით და სხვადასხვა მოძრაობით – მორწმუნეები ტრანსს აღწევენ, რითაც ღმერთს უახლოვდებიან. აქაური სუფისტები თავს ტრადიციული ისლამის მიმდევრებსაც უწოდებენ.

ორიოდე კილომეტრის დაშორებით „ახალი მეჩეთის“ მინარეთიდან აზანი ისმის – იმამი მორწმუნეებს სალოცავად მოუწოდებს. წვერიანი, შარვალაკაპინებულ ახალგაზრდა კაცები პარასკევის სავალდებულო ლოცვისთვის ემზადებიან. დაახლოებით ასე, წვერითა და კოჭებამდე სამოსით დადიოდა მეშვიდე საუკუნეში მუჰამედი. ისლამის იმ მიმდინარეობის წარმომადგენლებს, რომელიც საუდის არაბეთში სახელმწიფო რელიგიადაა გამოცხადებული, „ვაჰაბიტებს“ უწოდებენ.

დღეს პანკისში ხშირად ნახავთ მამა-

შვილს, რომლებიც სალოცავად ამ ორ სხვადასხვა მეჩეთში დადის, ანდა – ძმებს, რომელთაგან ერთი „ვაჰაბიტია“, მეორე კი სუფისტურ ტრადიციებს იცავს.

პანკისის ხეობის 6 ქისტურ სოფელში დისონანსი ახალი მუსლიმური განშტოების, „ვაჰაბიზმის“ გამოჩენამ 1990-იან წლებში შეიტანა. თუკი მანამდე ხეობის მკვიდრები კავკასიაში გავრცელებულ სუფიზმს მისდევდნენ, ვაჰაბიზმი იქ 15-იოდე წლის წინათ არაბულ ქვეყნებში განათლებამიღებულმა ახალგაზრდებმა

შეიტანეს. დღეს ამ რელიგიურ განშტოებას ძირითადად ახალი თაობის ქისტები ირჩევენ, ხანშიშესულები კი „ტრადიციული ისლამის“ ერთგულები არიან.

თუმცა, პანკისში რელიგია სხვადასხვა მიმდინარეობის მუსლიმებს შორის მწვავე კონფლიქტის მიზეზი არასდროს გამხდარა, ალბათ იმიტომაც, რომ ამ სოფლებში ძირითადად ნათესავეები ცხოვრობენ, რომლებსაც მჭიდრო ოჯახური კავშირები, ისტორია და ტრადიციები აერთიანებთ. ამავე მიზეზით დაპირისპირება ტრადიციულ და „ახალ“



სუნიტების მშენებარე მეჩეთი, სოფელი ბირკიანი, ივლისი 2010

ფოტო გარდას ურიაშვილი



ლოცვა მეჩეთში, სოფელი დუისი, ივლისი 2010



ფოტოგრაფირება: ქრისტინა ჯორჯიანი

მუსლიმებს შორის აქამდე მხოლოდ პირად საუბრებსა და ყოველდღიურ ურთიერთობებში მჟღავნდებოდა.

პირველი კონფლიქტი, რომელიც ხეობის საზღვრებს გასცდა, ორი თვის წინათ მეჩეთის გამო წარმოიშვა.

ყოფილი სკოლის ძველი შენობა 20-იოდე წლის წინათ ტრადიციული ისლამის მიმდევრებმა მეჩეთად გადააკეთეს. მალევე ამავე შენობაში ერთი ოთახი „ვაჰაბიტებად“ მონათლულმა ქისტებმა დაიკავეს. რამდენიმე წლის განმავლობაში ორივე მიმდინარეობის წარმომადგენლები ერთ ჭერქვეშ ლოცულობდნენ. შენობა ორად იყო გაყოფილი, რადგან, სოფელ ბირკიანის უხუცესების თქმით, „მათი ერთად ლოცვა არ გამოდიოდა, რიტუალები ერთმანეთისგან განსხვავდება“.

ორი თვის წინ კი ახალგაზრდებმა ძველი მეჩეთის დანგრევა და მის ნაცვლად ახლის აგება გადაწყვიტეს. შეურაცხყოფილი მუსლიმები დროდადრო მიდიოდნენ მეჩეთთან და „ვაჰაბიტებს“ მშენებლობის შეჩერებას სთხოვდნენ. ერთ დღილას კი ბირკიანის უხუცესმა ქისტებმა გაიღვიძეს და შენობა ნახევრად დანგრეული დახვდათ. ამის შემდეგ ერთ-ერთის სახლში მოა-

წყვეს სალოცავი და რელიგიური რიტუალების ჩატარებაც იქ განაგრძეს.

ეს ამბავი ხეობის საზღვრებს არც გასცდებოდა, რომ არა – პრესა, რომელმაც ორი თვის წინანდელი ამბავი გასული კვირის სენსაციად აქცია და ერთი სოფლის ლოკალური კონფლიქტი ქართული ჯიშის გადაგვარების მიზანმიმართულ კამპანიად წარმოაჩინა. ამ ვერსიის მიხედვით, ხეობაში მომძლავრებული „ვაჰაბიტები“ ერთიანი კავკასიური ხალიფატის შექმნას ისახევენ მიზნად და თითქოს ამისთვის საქართველოს კუთხეებიც უკვე დანაწილებულია – პანკისი არაბებმა ჩაიბარეს, ქვემო ქართლი – ირანელებმა, აჭარა კი – თურქებმა. დაფინანსებას ისინი არაბული ორგანიზაციებიდან იღებენ.

ბირკიანელები აღიარებენ იმას, რომ მეჩეთის მშენებლობისთვის საჭირო თანხის ნაწილი საზღვარგარეთიდან შემოდის. თუმცა, მათი თქმით, ადგილობრივი „ვაჰაბიტების“ ფინანსურ მხარდაჭერაზე, არაბული ორგანიზაციები კი არა, საზღვარგარეთ წასული პანკისელი ემიგრანტები ზრუნავენ. ისინი ხეობაში დარჩენილ „ჯამაათს“ – ანუ მორწმუნეებს ახალი მეჩეთის აშენებასა და არაბულ ქვეყნებში სასწავლებლად

წასვლაში ეხმარებიან.


„ლიბერალთან“ საუბარში „ვაჰაბიტებიცა“ და ტრადიციული ისლამის მიმდევრებიც მედიის შეფასებებს გაბუქებულს უწოდებენ და ამბობენ, რომ სინამდვილეში ხეობაში გაჩენილი კონფლიქტი უფრო შიდა გაუგებრობაა, რომლის საფუძველიც რელიგიურ რიტუალებს შორის განსხვავება გახდა.

სოფელ დუისის „ახალი მეჩეთის“ იმამმა, ამურ ხანგოშვილმა სასულიერო განათლება ლიბანში მიიღო, დღეს კი პანკისელ ჯამაათს ყურანს არაბულად უკითხავს. ხანგოშვილი ქართულადაც გამართულად ლაპარაკობს და ორ რელიგიურ მიმდინარეობას შორის არსებულ სხვაობას გვიხსნის.

ხმამალალი „ზიქრის“ სუფისტური ტრადიცია კავკასიაში ჩეჩენმა სულიერმა ლიდერმა ქუნტა ჰაჯიმ მეცხრამეტე საუკუნეში შეიტანა. ამ რიტუალს პანკისელი ტრადიციული ისლამის მიმდევრები დღემდე ასრულებენ, „ვაჰაბიტების“ ახალი თაობა კი „ზიქრის“ ტრადიციას უარყოფს და მაჰმადიანურ რელიგიაში მუჰამედის შემდეგ შეტანილ არც ერთ სიახლეს არ აღიარებს. მათთვის სარწმუნოება ყველაფერზე მაღლა დგას – ეროვნებასა და მამულზეც კი. სწორედ



„ზიქრის“ რიტუალი მეჩეთში, სოფელი დუისი, ივლისი 2010



ასეთი მიდგომის გამო, ახალგაზრდა „ვაჰაბიტებს“ ხშირად ფუნდამენტალისტებს უწოდებენ.

„ჩვენ ვენინააღმდეგებით ნებისმიერ რიტუალს, რომელიც მუჰამედს არ შეუსრულებია“, – ამბობს 28 წლის იმამი.

ახალი თაობის მაჰმადიანები უარყოფენ „ტრადიციულ ისლამში“ დამკვიდრებულ უსთაზსაც – ანუ სულიერი მასწავლებლის ინსტიტუტს, და ამბობენ, რომ ალაჰთან შუამავალი არ სჭირდებათ.

ამ განსხვავებების გამო, ახალგაზრდა მაჰმადიანები უხუცესი ნათესავების რწმენას აგდებულად უყურებენ. ამის მიზეზი ისიცაა, რომ უფროსი თაობის სუფისტებს თავიანთი რელიგიის არსი ბოლომდე არც ესმით. ქისტი ისტორიკოსი და სოფელ დუისის მკვიდრი ხასო ხანგოშვილი აცხადებს: „მათ არ ჰყავთ თეოლოგი, რომელიც სუფისტური რიტუალების არსს ისლამზე დაყრდნობით განმარტავდა“.

პანკისი ერთადერთი ადგილია მთელ საქართველოში, სადაც სუფისტური მეჩეთი დღემდე არსებობს. თუმცა, ამ მეჩეთში მლოცველთა რიცხვი დღითი დღე მცირდება. ახალგაზრდები არჩევანს ძირითადად „ვაჰაბიზმის“ სა-

სარგებლოდ აკეთებენ. მათთვის ეს მიმდინარეობა, შეიძლება ითქვას, ყველაფერი ახლის სინონიშია. საზღვარგარეთ განათლების მიღების შანსი, მშენებარე მეჩეთი, რომელსაც ბირკიანში უკვე „სოფლის მშვენიერებას“ უწოდებენ და უცხოეთში წასული ემიგრანტებისგან მიღებული ფულადი დახმარება – ახალგაზრდა პანკისელების არჩევანს ეს ფაქტორებიც განაპირობებს.

სოფელ ბირკიანში მხოლოდ 30 უხუცესი დარჩა, დანარჩენებმა კი „ვაჰა-

ბიზმი“ მიიღეს. დუისელი ხასო ხანგოშვილი სინანულით ჰყვება, რომ შეიღმა რამდენიმე ხნის წინ მას ახალ მეჩეთში თავის თანატოლებთან ერთად ლოცვის ნებართვა სთხოვა. „ხომ არ დავეუშლიდი, ეს მისი არჩევანია“, – ამბობს ხანგოშვილი. იმის გამო, რომ ხასო და სოფელში დარჩენილი უხუცესები მომავალ თაობაზე გავლენას ნელ-ნელა კარგავენ, პანკისის ხეობაში სუფისტურ ტრადიციებს გაქრობის საფრთხე ემუქრება. ¹



მომხრე
სანდრო ბარამიძე
იურისტი

პრეზიდენტების და სხვა ლიდერების პირადი ცხოვრება ყოველთვის იყო მედიისა და საზოგადოების ყურადღების ცენტრში. მეხსიერებას დიდხანს შემორჩება პრეზიდენტ კლინტონის სექსუალურ თავგადასავლებთან დაკავშირებული სკანდალები; ვის არ ახსოვს პრინცესა დაიანას ტრაგიკული ამბავი; ვის არ მოუხმენია რეპორტაჟები იტალიის პრემიერ-მინისტრისა თუ საფრანგეთის პრეზიდენტის ინტიმური ცხოვრების შესახებ?

ადამიანებს აინტერესებთ, თუ როგორ იქცევიან მათ მიერ არჩეული ან, თუნდაც არარჩეული, მაგრამ მაინც სახელმწიფოს სადავეების მპყრობელი პირები. ამგვარი ინტერესი არა მხოლოდ უბრალო ცნობისმოყვარეობაზეა დაფუძნებული, არამედ იმ ფუნდამენტურ კონსტიტუციურ პრინციპზე, რომ დემოკრატიულ სახელმწიფოში ხელისუფლების წყარო ხალხია; რომ ხალხი ირჩევს ხელისუფლებას, რომელიც ანგარიშვალდებულია ხალხის წინაშე.

უფლება, იცოდე, თუ როგორ იქცევა შენი რჩეული, გამოხატვის თავისუფლების ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტია. გამოხატვის თავისუფლება შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ გარკვეული პირობების საფუძველზე, რომელთა არსებობის საკითხი სასამართლოს მსჯელობის საგანია. ერთ-ერთი პირობა, რომელიც სხვებთან ერთად შეიძლება საფუძვლად დაედოს გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვას, „სხვათა უფლებების დაცვაა“. ამაში კერძო ცხოვრების ხელშეუხებლობაც იგულისხმება. როდესაც გამოხატვის თავისუფლება კონფლიქტში შედის ადამიანის კერძო ცხოვრების უფლებასთან, სასამართლოს მართებს, დაიცვას სამართლიანი ბალანსი ამ ორ უფლებას შორის.

კერძო ცხოვრება ქვეყნის ლიდერებსაც აქვთ. სტრასბურგის სასამართლოს ერთ-ერთ საქმეში აღნიშნული აქვს, რომ გერმანიის სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო მონაკოს პრინცესას კერძო ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დაცვა, როდესაც მისი ცხოვრების ინტიმური მხარეები პრესამ საზოგადოების სამსჯავროზე გაიტანა. მაგრამ ეს ფაქტი არ შეიძლება გავიგოთ ისე, თითქოს ვინმეს შეუძლია, წინასწარ აუკრძალოს მედიას, დაინტერესდეს პრეზიდენტების და სხვათა პირადი ცხოვრების დეტალებით. ასეთი წინასწარი აკრძალვა ცენზურას ნიშნავს, რაც კონსტიტუციით დაუშვებელია.

პრეზიდენტებს შეუძლიათ, სამოქალაქო წესით იდავონ იმ პირებთან, რომლებიც, მათი აზრით, მათი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას არღვევენ. თუმცა, ნებისმიერ საჯარო პირს ისიც უნდა ახსოვდეს, რომ გამოხატვის თავისუფლებას ერთი მნიშვნელოვანი პრივილეგია აქვს კერძო ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებასთან შედარებით: კერძო ცხოვრების ხელშეუხებლობის დამარღვევი პასუხს არ აგებს დარღვევისათვის, თუკი მან საზოგადოებას გაუმხილა საჯარო პირის პირადი ცხოვრების ისეთი მოვლენები, რომელთა ცოდნაც აუცილებელია დემოკრატიულ სახელმწიფოში საზოგადოებრივი თვითმმართველობის განსახორციელებლად.



უნდა ვისოდ ჰიზიდენსის ჰიხადი

■ ადამიანებს აინტერესებთ, თუ როგორ იქცევიან სახელმწიფოს სადავეების მპყრობელი პირები. ამგვარი ინტერესი იმ ფუნდამენტურ კონსტიტუციურ პრინციპზეა დაფუძნებული, რომ დემოკრატიულ სახელმწიფოში ხელისუფლების წყარო ხალხია.



მონინალმდევე

ქეთი დევდარიანი

„ფორმულა კრეატივის“ სცენარისტი

საჯარო პირების და პრეზიდენტის პირადი ცხოვრება საჯარო განხილვის საგანი არ უნდა იყოს. ეს პირველ რიგში მისი მუშაობის ხარისხზე აისახება. თუ ადამიანი მთელი დღის განმავლობაში დაძაბული იქნება და მოდუნების საშუალება არ მიეცემა, ეს მისი მუშაობის მარგი ქმედების კოეფიციენტზე იმოქმედებს. ჩვენი ადამიანს საქმის გასაკეთებლად ვჭირაობთ და საზოგადოებას არ უნდა აინტერესებდეს, თუ რას გააკეთებს ის დღის მეორე მონაკვეთში, ან ღამით.

განსაკუთრებით ინტიმური საკითხია, თუნდაც, რელიგიური გრძნობები, ანდა მისი დამოკიდებულება ქალების მიმართ. ეს სხვების საქმე არ არის. თუ პრეზიდენტი ცოლს ღალატობს, მისი პირადი, ოჯახური პრობლემაა, რადგან მის სანიმუშო მეუღლეობას, მამობას ქვეყნის განვითარებისთვის რაიმე გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს. არც ის უნდა გვაღელვებდეს, ჩვენი ქვეყნის პირველ პირს რა ფერის პერანგი აცვია, აქვს თუ არა გემოვნება და ა.შ. ცხადია, მნიშვნელოვანია ჯანმრთელობის საკითხი, მაგრამ ეს ფსიქიატრიის დასკვნის მიხედვით გადაწყვიტოთ და არა ასეთი შეფასებებით: პრეზიდენტი „გიჟია“, რადგან „ცხვირს სხვანაირად იხოცავს“ და არა ისე, როგორც ეს საზოგადოებას მოსწონს.

თუმცა, სხვა საქმეა, როდესაც პრეზიდენტი არღვევს კანონს. ამ შემთხვევაში, მან პასუხი უნდა აგოს საზოგადოებისა და სასამართლოს წინაშე. მაგალითად, თუ ქვეყნის პირველი პირი ნარკომანია, ან პედოფილი, ეს უკვე მხოლოდ მისი პირადი ცხოვრება აღარ არის, არამედ ეს არის კანონდარღვევა და ამის შესახებ უნდა ვიცოდეთ.

მიხეილ სააკაშვილმა მასაჟისტი რომ ჩამოიყვანა, საზოგადოების ერთ ნაწილს ეს არ მოეწონა. მასაჟის გაკეთება ცოდვად არ მიმაჩნია. არც ისაა ჩემი საქმე, თუ როგორი ღირებულებები აქვს მას, როგორც მამაკაცს. თუმცა, თუ მასაჟისტის ჩამოყვანისთვის პრეზიდენტმა თანხა სახელმწიფო ბიუჯეტიდან აიღო, ან თავის ხელფასთან შედარებით გაცილებით მეტი გადაიხადა, მაშინ ეს ამბავი აუცილებლად უნდა გახმაურებულიყო.

მთავარია, პრეზიდენტი ადეკვატურად ასრულებდეს თავის პროფესიულ დანიშნულებას, წარმოაჩინოს ქვეყანა საშინაო და საგარეო ასპარეზზე. სამსახურის შემდეგ კი, თავის პირად, თავისუფალ დროს ყველას აქვს უფლება, გარყვნილი იყოს, ოღონდ ამით კანონი არ უნდა დაარღვიოს. **■**

ქეთი თუ ახა სსოპხების შესახებ?

■ პრეზიდენტი ადეკვატურად უნდა ასრულებდეს თავის პროფესიულ დანიშნულებას. სამსახურის შემდეგ კი, თავის პირად, თავისუფალ დროს ყველას აქვს უფლება, გარყვნილი იყოს, ოღონდ ამით კანონი არ უნდა დაარღვიოს.



დიღმის ტყე-პარკი

პრობლემატიკა სასაქონლო მიწის რეგულაციაში

2009 წლის 11 სექტემბერს თბილისის საკრებულომ დიღმის ტყე-პარკის 8 ჰექტარს რეკრეაციული სტატუსი მოუხსნა და საქმიან ზონად დააკანონა. თუმცა, ეს გადაწყვეტილება დაიმაღლა და გაზეთში გამოქვეყნებულ ინფორმაციაში, 8 ჰექტარის ნაცვლად, მხოლოდ ერთი ჰექტარი ითქვა. თუ ვისი ინტერესები გაითვალისწინა საკრებულომ, ამაზე პასუხი სტუდია „მონიტორმა“ მას შემდეგ მიიღო, რაც სტატუსშეცვლილი ზონის მეპატრონეების სია მოიპოვა.

ნანა ბიგანიშვილი, სტუდია „მონიტორი“

2003 წლის 7 ივლისს თბილისის საკრებულოს მამინდელმა თავმჯდომარემ მიხეილ სააკაშვილმა დიღმის ტყე-პარკის ტერიტორიაზე უკანონოდ წამომოწყობებული მშენებლობა ჩვეული ენერგიულობით აღკვეთა და მოსახლეობას დაჰპირდა, რომ ამ უნიკალურ ტყე-პარკს ვეღარავინ შეეხებოდა.

„ხალხმა იმისთვის ამირჩია, რომ თბილისის ბანდიტებს არ გავანადგურებინო. პოლიცია, პრეზიდენტი, სახელმწიფო მინისტრი, პარლამენტი – ყველანი უმოქმედოები არიან, მაგრამ მაინც არ დავიხვე უკან. ხალხს, რომელსაც არა აქვს პენსია, ხელფასი, ელემენტარულად უშუშევარია, ერთადერთი, რაც დარჩა – ეს არის ჰაერი და ახლა რამდენიმე ბანდიტი ამასაც ართმევს“, – ამბობდა სააკაშვილი.

დიღმის ტყე-პარკის გაშენება 1934 წელს უშუალოდ სტალინის მითითებით დაიწყო. 200 ჰექტარზე გაშენებული მწვანე ზოლი თბილისისთვის ქარსაცავსა და წარმოადგენს და უნიკალური ხეების სანერგე მუხრანობასაც. თუმცა, წლების განმავლობაში მისი ტერიტორია მცირდება. 1985 წელს ტყე-პარკის შუაგულში პიონერთა სასახლის შენობის კარკასი აიგო, რომელიც 90-იან წლებში მოსახლეობამ თვითნებურად დაიკავა და ორსართულიანმა შენობამ ნელ-ნელა შეიცვალა ზომა და დანიშნულება. გამწვანებული ზოლის 200 ჰექტარიდან

ახლა მხოლოდ 75 ჰექტარია შემორჩა.

1999 წლიდან ტყე-პარკის დანაწევრება და გაყიდვა დაიწყო. პარკის საზღვრებში სამხედრო გზის პირას ბენზინგასამართი სადგურები, სუპერმარკეტები, სამრეცხაოები და რესტორნები აშენდა. ახალმა მეპატრონეებმა უნიკალური ხეების განადგურება დაიწყეს. დიღმელები მეპატრონეებს ტყის გაჩეხვას არ ანებებდნენ, დაპირისპირება ხელჩართულ ჩხუბამდე მიდიოდა.

მას შემდეგ, რაც მიხეილ სააკაშვილი საკრებულოს თავმჯდომარე გახდა, დაპირებულმა სამართლებრივმა მხარდაჭერამ არ დააყოვნა და, ქალაქის მთავრობის საკრებულოს დადგენილებებით, ტყე-პარკის ტერიტორიაზე ყოველგვარი მშენებლობა, მიწის ნაკვეთის ყიდვა, გაყიდვა და ლეგალიზაცია აიკრძალა. თუმცა, საკრებულოს ამ გადაწყვეტილებას მეპატრონეები არ ასრულებდნენ და პერიოდულად მშენებლობას აახლებდნენ, რომელსაც ადმინისტრაციული ინსპექცია ვეღარ აჩერებდა.

2004 წელს მიხეილ სააკაშვილი საქართველოს პრეზიდენტი გახდა. დიღმის ტყე-პარკის ტერიტორიაზე არსებული ნაკვეთების მეპატრონეებთან მიწის გამოსყიდვაზე მოლაპარაკება დაიწყო. საკრებულოში დიღმის ტყე-პარკის გადარჩენის მოთხოვნით მორიგი განცხადება შევიდა, რომელსაც ხელს ორი ათასი დიღმელი აწერდა.

თბილისის საკრებულოს 2006 წლის 27 ივლისის დადგენილებით, „დიღმის ტყე-პარკის“ ტერიტორია გამოიყო, როგორც სპეციალური გამწვანების ზოლი და მისი ფართობი 20,5 ჰექტარით განისაზღვრა. მერამ ხეების მოვლა-პატრონობის პროგრამების დაფინანსება დაიწყო, რაზეც ბოლო 4 წლის განმავლობაში დაახლოებით 600 ათას ლარამდე დახარჯა.

„აი, აქ არც ერთი სახლი არ აშენდება, ამის გარანტიას მე გაძლევთ, არც ერთი ნებართვა არ გაცივება და ვინც გაბედავს, რაიმე აგურის დადებას, იმას ის აგური მოხვედება თავში, – განაცხადა გიგი უგულავეამ.

თუმცა, ქალაქის მერის ასეთი მკაცრი პოზიციის მიუხედავად, გამწვანების ამ სპეციალურ ზონაში ნაკვეთების ყიდვა-გაყიდვა და ლეგალიზაცია არ შეჩერებულა. ჩინოვნიკების მიერ ტელეკამერების წინ დარგულ ხეებს კი მოვლა სჭირდებოდა.

„ხეები დარგეს და წავიდნენ. მერე ნარგავებს ჩვენ ვპატრონობდით, დიღმელები. მოვარგოვით ფული, რეზინის მილები ვიყიდეთ და ვრწყავდით. 3 წელიწადია მუდმივად ვუვლით. 100 დარგული ხიდან 30 გადავარჩინეთ“, – გვითხრა დიღმელმა ნოდარ ქვეციანიშვილმა.

2009 წლის 5 ივნისს თბილისის საკრებულომ ქალაქის განვითარების პერსპექტიული გეგმა დაამტკიცა და დიღმის

ფოტო: ლევან სარასულიძე

ტყე-პარკის ტერიტორიას რეკრეაციული ზონის სტატუსი მიენიჭა. დიღმის მოსახლეობამ ქალაქის მერიას კოლექტიური წერილით მიმართა და მეტი დაცულობისთვის ტყე-პარკისთვის ისეთი იურიდიული სტატუსის მინიჭება მოითხოვა, როგორც ბოტანიკურ ბაღს აქვს. გარდა ამისა, დიღმელები მერიისგან გზის გასწვრივ განლაგებული უკვე მოქმედი ობიექტების დემონტაჟს ითხოვდნენ, რადგან დოკუმენტაციით ირკვეოდა, რომ მათი ლეგალიზაცია უკანონოდ მოხდა.

ამავე დროს, მერიას სამხედრო გზის გასწვრივ განლაგებული ობიექტების მეპატრონეებმაც მიმართეს და ტყე-პარკის მცირე ზოლზე რეკრეაციული სტატუსის შეცვლა მოითხოვეს. დიღმის ტყე-პარკის პრობლემებიც ამ მიმართვიდან დაიწყო.

აციული სტატუსი მოუხსნა. საკრებულოს ამ დადგენილებით თბილისში კიდევ 52 ზონას შეეცვალა სტატუსი. დიღმის ტყე-პარკის ტერიტორიის ნაწილი საქმიან ზონა 2-ად გადაკეთდა. საკრებულოს ამ გადაწყვეტილებამ საზოგადოების აღშფოთება გამოიწვია და საკრებულოს წინ საპროტესტო აქციები გაიმართა.

11 სექტემბრის საკრებულოს დადგენილება 24 სექტემბერს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნდა. გაზეთში ვკითხულობთ, რომ ამ დადგენილებით დიღმის ტყე-პარკის ვიწრო ზოლს, უკვე მოქმედ ობიექტებს რეკრეაციული ზონის სტატუსი შეეცვალა. გარემოსდაცველი ორგანიზაციებისთვის საკრებულოს ასეთი გადაწყვეტილება მიუღებელი იყო. ქალაქმა გამწვანებული ტერიტორიის

დიღმის ტყე-პარკის დაახლოებით ერთ ჰექტარს ეცვლებოდა სტატუსი, რაც საკრებულოს მიერ რეზო გეთიაშვილისადმი მიწოდებული ინფორმაციით დასტურდება. საკრებულომ მიიღო დადგენილება და იუსტიციის სამინისტროს დასამტკიცებლად გადაუზღავნა. იუსტიციის სამინისტროში წარდგენილი დადგენილებით, დიღმის ტყე-პარკის არა ერთ, არამედ 8 ჰექტარს შეეცვალა რეკრეაციული სტატუსი. როგორც კანონი ითვალისწინებს, დამტკიცებული ცვლილებები იუსტიციის სამინისტროდან უკან, საკრებულოს დაუბრუნდა და საკრებულომ აღნიშნული გადაწყვეტილება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოაქვეყნა. თუმცა, გაზეთში საკრებულომ გამოაქვეყნა არა ის რუკა, რომელიც იუსტიციის სამინისტრომ



■ საკრებულოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა შემსწავლელი კომისიის თავმჯდომარემ ჩვენთან აღიარა, რომ თბილისის მერიის მიერ წარდგენილი პროექტი სხვა იყო და საკრებულომ სხვა დადგენილება მიიღო.

მოსახლეობა საქმეში უკეთ გარკვევისათვის ტყე-პარკში საკრებულოს თავმჯდომარის, ზაალ სამადაშვილის მისვლას ითხოვდა.

„სამადაშვილი დამპირდა, – მოვალე, – თანაც მითხრა, – კომისია შევექმნით, რომელსაც აბსოლუტურად ვენდობი. ველოდებოდით ამ კომისიას და უცებ გაირკვა, რომ საკრებულოში ჩაატარეს სხდომა და დადგენილება მიიღეს“, – იხსენებს დიღმელი ანა გაბრიანიძე.

2009 წლის 11 სექტემბრის სხდომაზე საკრებულომ, ყველასთვის მოულოდნელად, დიღმის ტყე-პარკის ნაწილს რეკრე-

კიდევ ერთი ჰექტარი დაკარგა. არასამთავრობო ორგანიზაცია „სენის“ ხელმძღვანელმა რეზო გეთიაშვილმა საკრებულოს დადგენილების გასასაჩივრებლად დოკუმენტაციის შეგროვება დაიწყო და იუსტიციის სამინისტროდან 11 სექტემბრის დადგენილება გამოითხოვა. გაირკვა, რომ სტატუსი დიღმის ტყე-პარკის 8 ჰექტარს შეეცვლია, ხოლო გაზეთში ტყუილი დაბეჭდეს, თითქოს მხოლოდ ერთ ჰექტარს შეეცვალეს სტატუსი.

ქალაქ თბილისის მერიამ საკრებულოს გენერალურ გეგმაში შესატანი ცვლილებები საკრებულოს წარუდგინა, სადაც

დაარეგისტრირა და რომლითაც დიღმის ტყე-პარკის 8 ჰექტარს შეეცვალა სტატუსი, არამედ ის რუკა, რომლის თანახმადაც, ტყე-პარკის მხოლოდ 1 ჰექტარი გადაკეთდა საზოგადოებრივ საქმიან ზონად.

გაგი მოსიაშვილი, იურისტი: „საკრებულოს თვითნებურად არ შეუძლია შეიტანოს ცვლილება მერიის მიერ წარდგენილ ცვლილებათა პროექტში. თუ ასეთი რამ მოხდა, ეს არის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საფუძველი. ვინაიდან სახეზე გვაქვს სამოხელეო დანაშაულები, კონკრეტულად კი სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება“.

საკრებულოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა შემსწავლელი კომისიის თავმჯდომარემ ჩვენთან აღიარა, რომ თბილისის მერიის მიერ წარდგენილი პროექტი სხვა იყო და საკრებულომ სხვა დადგენილება მიიღო. თუმცა, როდის შეიცვალა დადგენილების გრაფიკული ნაწილი – ეს კითხვა პასუხგაუცემელი დარჩა. არადა, ჯერ კიდევ 9 სექტემბერს კომისიის სხდომაზე ცვლილებების წარდგენისას სპეციალური კომისიის თავმჯდომარემ, ნიკა ჩხაიძემ დიღმის ტყე-პარკში განხორციელებული ცვლილება იმით ახსნა, – საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთებზე რეალურად მოქმედი კომერციული ობიექტები და საცხოვრებელი სახლებია განთავსებული და სხვა გამოსავალი არ გვქონდაო.

თან გაგვერკვია. კანონით, საკრებულოს სხდომა საჯაროა და ნებისმიერ მსურველს დასწრების უფლება აქვს. ჩვენ საკრებულოს სხდომის ვიდეოგადაღების უფლება ოფიციალური წერილით ვითხოვეთ. თუმცა, საკრებულოს თავმჯდომარემ საჯარო სხდომაზე დასწრების უფლება არ მოგვცა.

- გამარჯობა, ბატონო ზაალ.
- მოგვიანებით დამირეკეთ, თუ შეიძლება, არ მცალია, შეხვედრაზე ვარ.
- საკრებულოს სხდომაზე მინდა დასწრება და არ მიშვებენ.
- შემოსულია თქვენი წერილი და როგორც ვიცი, ამ საკითხზე აპარატს უნდა დაუკავშირდეთ.
- აპარატი არ მიშვებს, მეუბნება, რომ ერთი თვის ვადა აქვთ პასუხის გასაცემად და იქნებ თქვენ დამიშვათ სხდომაზე.

– რა პრობლემაა? იქნებ დამიშვათ სხდომაზე, ვიდეოგადაღება მჭირდება.

– არა, წერილობით მიიღებ პასუხს-თქო, გითხარი...

– რამდენ ხანში მივიღებ პასუხს? ჯინჭარაძემ ტელეფონი გათიშა.

საკრებულოს ოპოზიციონერმა წევრმა, კობა დავითაშვილმა ჩვენზე ჯერ სამზი დაუშვა, ამანაც რომ ვერ გვიშველა, შემდეგ პრესკონფერენცია ჩაატარა, რომ ჟურნალისტს სხდომათა დარბაზის გადაღების საშუალებას არ აძლევდნენ და ბოლოს სხდომაზე უშუალოდ სამადაშვილს მოსთხოვა, რომ ან საკრებულოს სხდომა შეწყვიტა, ან კიდევ ჟურნალისტი დარბაზში შეშვება. შედეგად, საკრებულოს ფოიეში შემიშვეს. სხდომის გადაღების უფლება დაცვამ არ მოგვცა.



თუმცა, დიღმის ტყე-პარკში მშენებლობებით ათვისებული მხოლოდ გზისპირა ნაწილია, დანარჩენ 7 ჰექტარზე კი, რომელსაც სტატუსი შეეცვალა, არც ერთი ნაგებობა არ დგას.

საკრებულოს 11 სექტემბრის დადგენილება კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციის ქსელმა და ანა გაბრიაძემ საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ კოლეგიაში 2009 წლის ნოემბერში გაასაჩივრეს. თუმცა, პროცესი დღემდე არ დანიშნულა. სასამართლომ ასევე უარი თქვა აქტის მოქმედების შეჩერებაზე.

შეიტანა თუ არა საკრებულომ ცვლილება ქალაქის მერიის გიგა უგულავას მიერ წარდგენილ პროექტში თვითნებურად, ან რატომ გამოქვეყნდა გაზეთში არასწორი ინფორმაცია, შევეცადეთ, საკრებულოს თავმჯდომარესთან, ზაალ სამადაშვილ-

– დაუკავშირდით თამუნა ჯინჭარაძეს, პრესსამსახურს.

– უკვე ვესაუბრე და ტელეფონი გამითიშა.

– ნუ, რა გიყოთ, ასეა წესი და რიგი, აპარატს დაუკავშირდით, გენაცვალე, ან პრესსამსახურს, ძალიან გთხოვთ, შეხვედრა მაქვს ახლა და ნუ შემიშლით ხელს, მაპატიეთ.

საკრებულოს პრესსამსახურის უფროსმა თამარ ჯინჭარაძემ სხდომაზე იმ მოტივით არ დაგვიშვა, რომ მასზე დასწრების უფლება წერილობით მოვითხოვეთ.

– რამდენ ხანში მიპასუხებთ?

– არ ვიცი, დღეს ვერაფერზე გიპასუხებთ.

– თქვენ სახელზე არ არის ის წერილი, ზაალ სამადაშვილის სახელზე.

– მერე გადმოამისამართებენ ჩემ სახელზე ყველა ვარიანტი.

საკრებულოს სხდომის დასრულების შემდეგ ზაალ სამადაშვილმა ყველა ჟურნალისტის შეკითხვას უპასუხა. ჩვენს კითხვას კი თავი აარიდა.

– ბატონო ზაალ...

– მელოდებიან...

სტუდია „მონიტორმა“ ზაალ სამადაშვილისგან კომენტარის მიღება კიდევ ერთხელ სცადა, როდესაც ის საკრებულოს თავმჯდომარედ მეორედ აირჩიეს. თუმცა, პასუხი არც ამჯერად მიგვიღია.

– სტუდია „მონიტორიდან“ ვარ. დიღმის ტყე-პარკის შესახებ ერთ კითხვაზე მიპასუხეთ, თუ შეიძლება.

– შეუთანხმდით პრესცენტრს, – გვიპასუხა და სწრაფი ნაბიჯით გაგვეცალა.

ვინ შეიძლება ქალაქის გენგეგმაში შესატანი ცვლილებები, რის საფუძველზე შეუცვალეს ტყე-პარკის 8 ჰექტარს სტატუსი – ამ კითხვებით მერიასაც მივმარ-

თეთ. თუმცა, მათაც არაფერი გვიბასუსხს. არადა, ეს კითხვა გიგი უგულავას მამინ დაფუსვით, როდესაც ის წინასწარჩვენოდ დიღმელებს ხვდებოდა და ქალაქის მერად არჩევის შემთხვევაში ახალ დაპირებებს იძლეოდა.

– „მთელი ამ ტერიტორიის დიდი ნაწილი არის კერძო საკუთრება. კანონის მიხედვით, სტატუსი – საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 – მეპატრონეს ნებას რთავს, ტერიტორიის 70 პროცენტი ისეთი მშენებლობებით აითვისოს, როგორცაა საცხოვრებელი სახლები, მაღაზიები, ბანკები და სასტუმროები. მერიამ დიღმის ტყეში ინტენსიური და შეუზღუდავი მშენებლობა დააკანონა“, – გვიბასუსხა მან.

ჩვენ მოვიძიეთ იმ მეპატრონეების ვინაობა, ვისთანაც საკრებულომ და მერიამ მოლაპარაკება ვერ შეძლეს. ეს ის ადამიანები არიან, რომლებიც, გიგი უგულავას განცხადებით, ხეებს წვავდნენ და რეკრეაციულ ზონაში არსებულ მწვანე ნარგავებს ანადგურებდნენ.

თუ ვისი ინტერესები გაითვალისწინა საკრებულომ, ამაზე პასუხი მას შემდეგ მივიღეთ, რაც სტატუსშეცვლილი ზონის მეპატრონეების სია მოვიპოვეთ.

2007 წელს, მიუხედავად იმისა, რომ, ქალაქის მთავრობის 27 ივლისის დადგენილებით, ყიდვა-გაყიდვა და ნებისმიერი ლეგალიზაცია დიღმის ტყე-პარკის ტერიტორიაზე აკრძალული იყო, შპს „მანდარინმა“ მოქალაქე ნოდარ კვანტალიანისგან 9720 კვ/მეტრის ფართობის მიწის ნაკვეთი შეიძინა. ნოდარ კვანტალიანი აკაკი ჩხაიძის დირექტორობის პერიოდში შპს „საქართველოს რკინიგზის“ მაღალჩინოსანი გახლდათ. კვანტალიანი უძრავ ქონებას დიღმის ტყე-პარკში 2003 წლიდან ფლობდა. მან რეკრეაციულ ზონაში მდებარე მიწის ნაკვეთი შპს „მანდარინს“ 972 ათას დოლარად მიჰყიდა. სამენარმოე რეესტრის ამონაწერიდან ირკვევა, რომ შპს „მანდარინს“ ერთ-ერთი დამფუძნებელი კახაბერ ოქრიაშვილია, რომელიც ასევე ფარმაცევტული კომპანია PSP-ს მფლობელია. კახაბერ ოქრიაშვილი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა – გამარჯვებული საქართველოსთვის“ მაჟორიტარი დეპუტატია საქართველოს პარლამენტში. ასე-



დიღმის ტყე-პარკი, ივლისი, 2010

ფოტო: სპონსორი

■ მიწის ის ნაკვეთი, რომელზეც მიხეილ სააკაშვილი 2003 წელს დიღმის ტყე-პარკის გადარჩენის აქციებს აწყობდა და, მისივე თქმით, პოლიტიკურ მაფიას ებრძოდა, დღეს საქართველოს პარლამენტის წევრს დავით ბეჟუაშვილს ეკუთვნის.

ვე, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ საარჩევნო ბლოკის მასობრივად დეპუტატია შპს „მანდარინის“ მეორე დამფუძნებელი, კობა კურდღელაშვილი. ქონება შევარდნაძის დროინდელი ჩინოვნიკის ხელიდან სააკაშვილის ხელისუფლების წარმომადგენელმა გადაიბარა.

კიდევ ერთი მეპატრონე, რომელთან მოლაპარაკება ვერ შეძლო და ვისი ინტერესიც საკრებულომ გაიზიარა, შპს „დტს“-ა. ქალაქის გენგეგმაში ცვლილებების შეტანის პერიოდში, აღნიშნული შპს რეკრეაციულ ზონაში 9045 კვადრატულ მეტრს, მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობებიანად ფლობდა. შპს „დტს“-ს დამფუძნებელია საქართველოს პარლამენტის კიდევ ერთი წევრი – გიორგი გოგუაძე. იგი პარლამენტში მასობრივად დეპუტატად „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა – გამარჯვებული საქართველოსათვის“ საარჩევნო ბლოკიდან მოხვდა. საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებ-გვერდის მიხედვით, 2008 წლის ივნისამდე ის შპს „დტს“-ს აღმასრულებელი დირექტორი იყო. მინის ნაკვეთში რეკრეაციული სტატუსის შეცვლიდან 2 თვეში 2009 წლის ნოემბერში, შპს „დტს“-მ აღნიშნული უძრავი ქონება სააქციო საზოგადოება „თიბისი ბანკს“ მიჰყიდა 1 500 000 ამერიკულ დოლარად.

2009 წლის 2 თებერვალს – პროექტ „რაც შენია, შენია“-ს ფარგლებში – თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურმა დიღმის ტყე-პარკში მდებარე პიონერთა სასახლის შენობა იქ შეჭრილ მოქალაქეებს დაუკანონა. არადა, ზემოხსენებული კანონი ასეთი ტიპის ტერიტორიაზე უნებართვოდ დაკავებული ქონების დაკანონებას პირდაპირ კრძალავდა.

სტუდია „მონიტორის“ გამოჩენამ ახალ დაკანონებულ კორპუსთან ხმაური გამოიწვია. განსაკუთრებული აგრესიით ახალგაზრდობის და სპორტის ამჟამინდელი მინისტრის, ლადო ვარძელაშვილის დედა გამოირჩეოდა, რომლის ოჯახში, როგორც აღმოჩნდა, ამავე კორპუსში ცხოვრობს. იგი ჩემს თანხმობას ანა გაბრიაძესაც ემუქრებოდა.

– ნაშაღეთ გადაღებული, გეუბნებით, თორემ თქვენს სახელსა და გვარს გავიგებ და ცუდად წაგივით საქმე. ანა, როგორც

მოიყვანე, ისე ნააშლეინე და ნაიყვანე აქედან, თორემ პრობლემას შეგიქმნი, იცოდე.

- რით მემუქრებით, ამიხსენით?
- რით გემუქრებით და, გამგებობაში მივალ და განვაცხადებ, რომ შემოხვედით კერძო საკუთრებაში. ეს თქვენი მონყობლია და ამას განანებთ, იცოდეთ.
- რატომ მემუქრებით?
- ტყე-პარკი გადაიღეთ, არ გიშლით, მაგრამ ამ კორპუსს ნულარ იღებთ. ტყე-პარკის არ არის კორპუსი.
- ვიცი, რაც არის.
- მერე გადაიღე ტყე-პარკი. ნუ იღებთ, ბიჭი, კამერა გათიშეთ-თქო, თორემ ჩამოგერთმევა ეგ კამერა. ნუ იღებთ. ნაშაღე მაგი, გეუბნები.

ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ აღნიშნული მოთხოვნა მერიაში 2009 წლის 28 იანვარს შევიდა. მერიას ამ წერილის განხილვის 3-თვიანი ვადა ჰქონდა და თბილისელების უმეტესობა თევობით ელოდება ქონების ლეგალიზებას. დიღმელების წერილის განხილვა და მათი ქონების ლეგალიზება კი მერიაში 4 დღეში შეძლო.

2008 წლის 28 მარტს დიღმის ტყე-პარკში კიდევ ერთ ნაკვეთს შეეცვალა მეპატრონე. 44 351 კვადრატული მეტრი ფართობის მინის ნაკვეთი, რომელიც შპს „თ.ჯ. თრეიდის“ საკუთრებას წარმოადგენდა, კომპანია „ჩემექსიმ ინტერნეშენელის“ საკუთრებაში გადავიდა. კომპანია „ჩემექსიმ ინტერნეშენელი“, რომლის ოფიციალური მისამართი მარშალის კუნძულებია, 1994 წელს არის დარეგისტრირებული. აღნიშნული კომპანია, საქართველოს პარლამენტის წევრის, დავით ბეჟუაშვილის ქონებრივი დეკლარაციის თანახმად, მისი პარტნიორია. აღსანიშნავია, რომ შპს „ჩემექსიმ ინტერნეშენელმა“ უძრავი ქონება რეკრეაციულ ზონაში 2 მილიონ 306 961 ამერიკული დოლარის აღიარებული ვალის სანაცვლოდ მიიღო.

მინის ის ნაკვეთი, რომელზეც მიხეილ სააკაშვილი 2003 წელს დიღმის ტყე-პარკის გადარჩენის აქციებს აწყობდა

და, მისივე თქმით, პოლიტიკურ მაფიას ებრძოდა, დღეს საქართველოს პარლამენტის წევრს დავით ბეჟუაშვილს ეკუთვნის.

დიღმელები საკუთარი ხელით გაზრდილი ხეების დათმობას კვლავაც არ აპირებენ. ისინი ჯერ სასამართლოს მიერ ადმინისტრაციული აქტის გაუქმებას ელოდებიან. მოქალაქეების დიდი ნაწილი დღემდე ოჯახში ინახავს მიხეილ სააკაშვილის მიერ 2003 წელს პერსონალურად მიწერილ წერილს, სადაც საკრებულოს თავმჯდომარე მაფიასთან ბრძოლაში დიღმელების თანადგომას ითხოვდა:

„ძვირფასო დიღმელებო, ეს უნიკალური პარკი არის ერთ-ერთი უკანასკნელი მწვანე ზოლი, რომელიც შერჩა თბილისის. თბილისის მერიის კორუმპირებულმა მოხელეებმა რამდენიმე წლის წინ, დიდი ქრთამის სანაცვლოდ, დოკუმენტების გაყალბებით, პარკი გაყიდეს ნაკვეთებად. ჩემი ინფორმაციით, ამ ხალხის უკან დგანან ყოფილი და მოქმედი მინისტრები, სხვა მაღალი რანგის მოხელეები. მოვა დრო და, მექნება შესაბამისი ძალაუფლება, რათა უზრუნველყო, რომ ეს ხალხი აღმოჩნდეს ციხეში. ძალიან მინდა, გთხოვოთ, რომ თქვენც დაგვეხმაროთ, ერთად დავიცვათ ჩვენი ბავშვების მომავალი. თუ მთავრობის მხარდაჭერილმა მათამ გაიმარჯვა დიღმეში, ბევრ ადამიანს სამუდამოდ დაეკარგება მომავლის იმედი. და ეს მათა ბოლომდე გავა თავს. ხოლო თუ ჩვენ ერთად დგომით მათ კიდევ ერთხელ დავახვენიებთ უკან, ეს იქნება იმედის დაბრუნება დანარჩენი საქართველოსთვისაც. მე უკან დამხვეი არ ვარ, და ვიცი, რომ თქვენც ჩემთან ერთად იქნებით.“

*ულრმესი პატივისცემით,
საკრებულოს თავმჯდომარე,
მიხეილ სააკაშვილი“.*



ჟურნალისტური გამოძიება მომზადებულია სტუდია „მონიტორის“ პროექტის ფარგლებში. ჟურნალისტური გამოძიება განხორციელდა ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით.

ვიჩახოთ, ჩვენ ბვინდა ახანი ხონსტიტუცია!



ვიდრე საქართველოს კონსტიტუციის მთავარ პრინციპებზე ვისაუბრებდეთ, იქნებ ჯერ ის გავარკვიოთ, მთავრობას რეალურად აღელვებს თუ არა სახალხო მხარდაჭერის მოპოვება?

მარკ მალენი

საქართველოში თითქმის არავის ანაღვლებს კონსტიტუცია. რა თქმა უნდა, არსებობს რამდენიმე სპეციალისტი და პოლიტიკური თეორიით დაინტერესებული ადამიანი, მაგრამ მოქალაქეების უმრავლესობა მაინც სხვა რამეებზე ფიქრობს. სამართლისა და პოლიტიკის თეორიის სოლიდური ცოდნაა საჭირო იმისთვის, რომ გაიგო, თუ როგორ განსაზღვრავს ამერიკის ან იაპონიის კონსტიტუცია ამ ქვეყნების თავისებურებებს. ხალხის გულგრილობა კონსტიტუციის მიმართ საქართველოსთვის უნიკალური ფენომენი არ არის, მსოფლიოს სხვა ქვეყნებშიც, ფაქტობრივად, არავინ ფიქრობს კონსტიტუციაზე. მიუხედავად იმისა, რომ ყველა გრძნობს, რომ ეს მნიშვნელოვანი თემაა.

ქვემოთ ჩემს რამდენიმე მოსაზრებას მოგახსენებთ კონსტიტუციებზე.

კონსტიტუცია არის იმის მოკლე განაცხადი, თუ როგორ ფუნქციონირებს სახელმწიფო. იგი განსაზღვრავს, თუ სახელმწიფოს რომელ ინსტიტუტს რა ფუნქცია აქვს და რა მეთოდით შეიძლება მისი შეცვლა. ცალკეულ ლიდერებს, თითოეულ მათგანს, სჭირდება შეზღუდვა, თუ რისი გაკეთება შეუძლიათ. იმის განსაზღვრად, თუ როგორი სახელმწიფო სჭირდება საზოგადოებას, მნიშვნელოვანია წარსული და ახლანდელი კონტექსტის და მნიშვნელოვანი ფაქტების გათვალისწინება.

სწორედ აქ რთულდება საქმე. როდესაც კონსტიტუციაზე ვფიქრობთ, ძალზე სარისკოა, რომ ზედმეტად გავამახვილოთ ყურადღება უახლოეს წარსულსა და ახლანდელ საჭიროებებზე. „ვარდების რევოლუცია“ არ იყო პოლიტიკური პრობლემის იდეალური გადაწყვეტა. იდეალური იქნებოდა, თუ შევარდნაძის ჯგუფი არჩევნებში ნამდვილ გამარჯვებულებს დაუთმობდა

■ კონსტიტუციები არ ჰგავს „კანონებს“.
მათი „გადანერა“ არ ხდება. ის არ უნდა ირეკლავდეს სხვადასხვა ქვეყნის კონსტიტუციებს. პარლამენტი კანონის შეცვლას მეტ-ნაკლებად მარტივად უნდა ახდენდეს, მაგრამ კონსტიტუციის შეცვლა ძალიან რთული უნდა იყოს.

საპარლამენტო ადგილებს. მათ ეს არ გააკეთეს და ამიტომ, პარლამენტი და შემდგომში დანარჩენი სახელმწიფო ინსტიტუტები აიღეს ნამდვილმა გამარჯვებულებმა, უზარმაზარი სახალხო მხარდაჭერის მეშვეობით. იმ ღამეს, როდესაც შევარდნაძე გადადგა, სამართლის სპეციალისტებს სჭირდებოდათ იმისი ცოდნა, თუ როგორ ჩამოეყალიბებინათ სამართლებრივად ის, რაც მოხდა. ეს არ იყო საუკეთესო სცენარი. მხოლოდ ორი თვის შემდეგ მთავრობამ აიძულა ძველი პარლამენტი, რომ მიეღო ახალი კონსტიტუცია, რათა აესაზის ცვლილებები, რაც მოხდა. საჯარო

დისკუსიები ახალი კონსტიტუციის მიღებამდე არ ყოფილა, მაგრამ ხალხი იმდენად ბედნიერი იყო იმით, რომ შევარდნაძემ მშვიდობიანად დატოვა პრეზიდენტის პოსტი, რომ მათ ეს საკითხი დიდად არ ანაღვლებდათ.

კონსტიტუციები არ ჰგავს „კანონებს“. მათი „გადანერა“ არ ხდება. ის არ უნდა ირეკლავდეს სხვადასხვა ქვეყნის კონსტიტუციებს (როგორც კანონპროექტების შემთხვევაში). პარლამენტი კანონის შეცვლას მეტ-ნაკლებად მარტივად უნდა ახდენდეს, მაგრამ კონსტიტუციის შეცვლა ძალიან რთული უნდა იყოს. ახალი კონსტიტუციის მიღება კარგად დაგეგმილი და მაქსიმალურად ინკლუზიური (მაქსიმალურად ბევრი ადამიანის აზრის მხედველობაში მიღებით) პროცესი უნდა იყოს, რომელიც წლების მანძილზე უნდა გრძელდებოდეს.

ბოდეს. ბევრი მიზეზი არსებობს, თუ რატომ უნდა იყოს ეს პროცესი ნელი, უპირველესი მიზეზი კი ის არის, რომ საზოგადოებამ უნდა გაიაზროს, თუ რა ცვლილებების მოხდენას აპირებს. ამავე დროს საერთაშორისო საზოგადოება ყურადღებით, მაგრამ უზმაუროდ აკვირდება კონსტიტუციის წერის პროცესს. ამით საერთაშორისო საზოგადოებას აქვს საუკეთესო საშუალება, გაიგოს, მართლა დემოკრატიულია თუ არა საქართველო, როგორც ამას ახლანდელი ხელისუფლება აცხადებს. საქართველოს კი სჭირდება, რომ საზღვარგარეთ სერიოზულად აღიქვამდნენ.

რატომ ვჩქარობთ? შესაძლოა, ამას თავისი ახსნა აქვს, რომელიც ვერ მოვისმინე, მაგრამ კონსტიტუციის ძირითადი ნაწილი 2013 წლამდე არ შეეცალაში. ამიტომ, რა საჩქაროა მისი მიღება? აგვისტოში ამაზე დისკუსიის მოწყობა ნამდვილად არ ეხმარება საქართველოს მთავრობას იმაში, რომ საკითხისადმი სერიოზული მიდგომა დაადასტუროს. ხელისუფლებამ შეიძლება თქვას, რომ ამაზე, დიდი ხანია, რაც ვსაუბრობთ და ახლა მოქმედების დროა. ეს არაგულწრფელი განცხადება იქნება. კომისია ნამდვილად მუშაობდა გარკვეული პერიოდის განმავლობაში, მაგრამ ის ისე ფუნქციონირებდა, რომ დისკუსიებში ჩართვა შეუძლებელი იყო – ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა ტიპის კომისიები, რაც საქართველოში მინახავს. არავინ იცოდა დანამდვილებით, რას განიხილავდნენ და რაზე თანხმდებოდნენ. პირველ რიგში, ვერ თანხმდებოდნენ ამოსავალ დებულებებსა და პრინციპებზე, და არსებობდა კონკურენტული პროექტები განსხვავებული ხედვებით. შეუძლებელი იყო იმისი დადგენა, თუ რაზე იყო საერთოდ კამათი. ამიტომ ყველა, ვინც შეეცდებოდა, რომ შეეღწია დისკუსიაში, დაბნეული რჩებოდა, რადგან არ იცოდა, როგორ ჩართულიყო მასში.

ვიდრე საქართველოს კონსტიტუციის მთავარ პრინციპებზე ვისაუბრებდეთ, იქნებ ჯერ ის გავარკვიოთ, მთავრობას რეალურად აღეღვებს თუ არა სახალხო მხარდაჭერის მოპოვება ან ამ კონსტიტუციის განმარტება. როდესაც დოკუმენტს გვანვძიან ივლისის შუა რიცხვებში და გვეუბნებიან, რომ მისი მიღება ამავე წლის სექტემბერში მოხდება, ნამდვილად არ გვრჩება შთაბეჭდილება, რომ მთავრობას დოკუმენტის ფართო მხარდაჭერა აღეღვებს. ხელისუფლებას ჰყავს საპარლამენტო უმრავლესობა და ყველა დროს შეუძლია თავისი ვერსიის გატანა. ამიტომ, რატომ უნდა ვჩქაროთ? **■**

ინგლისურიდან თარგმნა გიორგი ცხადაიამ

კოსოვოს კონფლიქტი

ხოსოვო - ხილავ ხითი ნაბიჯი დაოუხილავობისხან

გაერო-ს სასამართლომ კოსოვოს დამოუკიდებლობის საკითხზე ვერდიქტი გამოიტანა. პრიშტინაში გაერო-ს საერთაშორისო სასამართლოს გადაწყვეტილებით გახარებულები არიან, ბელგრადში კი ამბობენ, რომ ეს არაფერს შეცვლის.

ნათია ახალაშვილი



კოსოვოს დევნილთა ბანაკი, მაკედონია, 1999

გასულ კვირას ჰააგაში გაერო-ს საერთაშორისო სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება, რომელიც აღნიშნულია, რომ 2008 წელს კოსოვოს მიერ სერბეთისგან ცალმხრივად გამოცხადებული დამოუკიდებლობა არ არღვევს საერთაშორისო სამართალს.

„სასამართლოს აზრით, საერთო საერთაშორისო სამართალი არ მოიცავს დამოუკიდებლობის გამოცხადების აკრძალვას. შესაბამისად, სასამართლო დაასკვნის, რომ დამოუკიდებლობის გამოცხადებას 2008 წლის 17 თებერვალს არ დაურღვევია საერთო საერთაშორისო სამართალი“, – ეს არის ნაწყვეტი იმ გადაწყვეტილებისა, რომელიც გაერო-ს საერთაშორისო სასამართლომ გამოიტანა და მას საათ-ნახევრის

განმავლობაში კითხულობდა სასამართლოს პრეზიდენტი ჰისაში ოვადა.

ამ ვერდიქტის პოლიტიკური მნიშვნელობა ბევრად აღემატება მის სამართლებრივ წონას. იგი მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათისაა და იურიდიულად არავის არაფერს ავალდებულებს.

მიუხედავად ამისა, კოსოვოს ხელისუფლებაში კმაყოფილებას არ მალავდნენ. პრიშტინამ იმავე დღეს მიმართა ბელგრადს: „კოსოვოს ისტორიული გამარჯვება სერბეთმა საკუთარ დამარცხებად არ უნდა აღიქვას, – განაცხადა კოსოვოს პრემიერ-მინისტრმა ხაშიმ ტაჩიმ. სასამართლოს გადაწყვეტილებას მან უწოდა „საუკეთესო გადაწყვეტილება მთელი მსოფლიოსთვის“.

კოსოვოს დამოუკიდებლობა ამ დრომდე 69 ქვეყანამ აღიარა, მათ შორის – აშშ-მ და ევროკავშირის წევრთა უმრავლესობამ. პრიმტინა დარწმუნებულია, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება ამ სიას მნიშვნელოვნად გაზრდის.

საერთაშორისო სასამართლოს გადაწყვეტილებას იმავე დღეს გამოეხმაურა სერბეთის პრეზიდენტი ბორის ტადიჩიცი. მან თქვა, რომ არასდროს დადგება ის დღე, როდესაც სერბეთი კოსოვოს დამოუკიდებლობას აღიარებს.

ამ საკითხზე განსხვავებული პოზიციები აქვთ აშშ-სა და რუსეთს – კოსოვოს კონფლიქტის მნიშვნელოვან ფიგურანტებს.

კოსოვოს დამოუკიდებლობას არ აღიარებს რუსეთი, ჩინეთი და კიდევ ისეთი სახელმწიფოები, რომლებსაც ან თვითონ აქვთ სეპარატისტული რეგიონები, ან ასეთი პრეცედენტის დაშვებას სახიფათოდ მიიჩნევენ. მათ შორისაა საქართველოც.

საერთაშორისო სასამართლოში სარჩელი სერბეთმა შეიტანა. ოფიციალური ბელგრადის აზრით, დამოუკიდებლობის ცალმხრივად გამოცხადება სერბეთის ტერიტორიული მთლიანობის დარღვევაა. სასამართლოში სერბეთის წარმომადგენელი აცხადებდა, რომ კოსოვოელების ქმედება არა მარტო სერბეთის ტერიტორიულ მთლიანობას არღვევს, არამედ საერთაშორისო სამართალსაც ანადგურებს.

ჰააგის გადაწყვეტილების შემდეგ საუბრები იმაზე, რომ კოსოვო, შესაძლოა, პრეცედენტად იქცეს, უფრო აქტუალური გახდა.

სერბეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვუკ იერემიჩმა განაცხადა, რომ ამ გადაწყვეტილების შემდეგ მსოფლიოში ვერც ერთი სადავო საზღვარი ველარ იქნება მიჩნეული უსაფრთხოდ.

ეს გადაწყვეტილება მართლაც მთელი მსოფლიოს ყურადღების ცენტრში მოექცა. მათ შორის – განსაკუთრებით, საქართვე-

„ეს გაახარებს იმ რეჟიმებს, რომლებიც სეპარატისტულ რეგიონებს უჭერენ მხარს. ისინი აქამდე იყენებდნენ ყველაფერს, რაც ამ თემასთან დაკავშირებულია და ოფიციალურად და პოლიტიკურ დონეზეც აცხადებდნენ, რომ კოსოვოს აღიარება, შესაძლოა, ამ ორი ტერიტორიის გამოყოფის საფუძველი გახდეს“, – განუცხადა კუბლაშვილმა რადიო „თავისუფლებას“.

ეს გადაწყვეტილება რუსეთისთვისაც პრინციპული მნიშვნელობის იყო. თუმცა, რუსეთის პოზიცია კოსოვოსთან დაკავშირებით უცვლელი რჩება. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ვებ-გვერდზეც გამოქვეყნდა სპეციალური განცხადება: „მიგვაჩნია, რომ კოსოვოს პრობლემის გადაჭრა მხოლოდ დანტერესებულ მხარეებს შორის მოლაპარაკებით არის შესაძლებელი, რომელიც გაერო-ს უშიშროების საბჭოს 1244-ე რეზოლუციის დებულებებზე იქნება დაფუძნებული. მზად ვართ, ამას მომავალშიც აქტიურად შევუწყნოთ ხელი“. იქვე ნათქვამია, რომ რუსეთის ფედერაცია კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარებას არც გაერო-ს საერთაშორისო სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ აპირებს.

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი კოსოვოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე ორი სეპარატისტული რეგიონის ხელმძღვანელებს შეხვდა. შეხვედრის შემდეგ ლავროვმა განაცხადა, რომ კოსოვოს პრეცედენტი მოსკოვის, სამხრეთ ოსეთთან და აფხაზეთთან ურთიერთობების ჩამოყალიბების გასაღები გახდება.

სასამართლოს გადაწყვეტილება ვერაფრით შეცვლის სტატუს-კვოს. დასავლეთის ქვეყნები კოსოვოს დამოუკიდებლობას მხარს უჭერენ, ქვეყნის უსაფრთხოებას გაერო უზრუნველჰყოფს. ბელგრადს კი არც სურვილი აქვს და არც საშუალება, ვითარება შეცვალოს. სერბეთი ევროკავშირში შესასვლელად პირველ ნაბიჯებს დგამს. თუმცა, აქამდე სწორედ კოსოვოს საკითხი იყო სერბეთისთვის ევროკავშირისკენ მიმავალ გზაზე დაბრკოლება. კოსოვო კი ცდილობს, ქვეყანა ააშენოს და ინვესტიციები მოიზიდოს, რაც საკმაოდ გართულებულია. რას შეცვლის ჰააგის გადაწყვეტილება ამ მიმართულებით, ჯერ კიდევ გაურკვეველია. **■**

■ სერბეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვუკ იერემიჩმა განაცხადა, რომ ამ გადაწყვეტილების შემდეგ მსოფლიოში ვერც ერთი სადავო საზღვარი ველარ იქნება მიჩნეული უსაფრთხოდ.

■ მოვლენის ისტორია

კოსოვო სერბეთის ავტონომიური რეგიონი იყო. სერბეთის არმია იძულებული გახდა, საკუთარი ავტონომია 1999 წელს ნატო-ს ავიაციის მასირებული საჰაერო დარტყმების შემდეგ დაეტოვებინა. მანამდე სერბეთი ამბოხების ჩახშობას ცდილობდა. რეგიონში მას კოსოვოელთა უკანონო შეიარაღებული ფორმირება – კოსოვოს განმათავისუფლებელი არმია უპირისპირდებოდა. არმიის წინააღმდეგ ბრძოლაში სერბეთი მშვიდობიან მოსახლეობასაც გადასწვდა. ეთნიკური ალბანელების შევიწროება ნატო-მ სამხედრო ჩარევით შეაჩერა. ალბანელები მაშინ ავტონომიური რეგიონის ორმილიონიანი მოსახლეობის 90 პროცენტს შეადგენდნენ. სერბეთის ამ ამბოხებულ რეგიონს გაერო მართავდა 1999 წლიდან 2008 წლამდე – ვიდრე კოსოვოს პარლამენტი დამოუკიდებლობას უყრიდა კენჭს.

ლოსა და მისი ორი სეპარატისტული რეგიონისაც.

აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტმა ჰააგის გადაწყვეტილება ასე ნაიკითხა: „საერთაშორისო სასამართლოს გადაწყვეტილება კიდევ ერთხელ დაამტკიცა სამხრეთი ოსეთისა და აფხაზეთის თვითგამორკვევის უფლება. ისტორიულ-სამართლებრივი საფუძველი აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს უფრო მეტი აქვს, ვიდრე კოსოვოს“, – განაცხადა აფხაზეთის დე ფაქტო რესპუბლიკის ლიდერმა.

თბილისში კოსოვოსა და აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის კონფლიქტებს შორის ანალოგიებს ვერ ხედავენ.


თუმცა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კოტე კუბლაშვილი ამბობს, რომ რუსეთი შეეცდება, ჰააგის გადაწყვეტილების გამოყენებას აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის აღიარების პროცესში.

რუსეთი-ბელარუსი

უაღრესესი "ბატალი"

ვის შეარჩევს კრემლი ლუკაშენკოს ალტერნატივად? ბელორუსის ოპოზიციის მოსკოვში გამგზავრებამ პროგნოზების ახალი ტალღა ააგორა.

ნატალია რაზინა, მინსკი



ალექსანდრ ლუკაშენკო

თუმცა, ბელორუსი ანალიტიკოსები, რომლებიც კარგად იცნობენ შიდა ვითარებას, ამგვარ პროგნოზებს უსაფუძვლოდ მიიჩნევენ, რადგან მათი აზრით, კრემლისთვის ლუკაშენკო – უალტერნატივოა.

ბელორუსის ოპოზიცია დანაწევრებულია და ყოველწლიურად მას სულ უფრო ნაკლები მხარდამჭერი ჰყავს, – ირწმუნებიან ბელორუსი სოციოლოგები.

ივნისის თვის სოციოლოგიურმა გამოკითხვამ, რომელიც ლიტვაში დარეგისტრირებულმა სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური კვლევების დამოუკიდებელმა ინსტიტუტმა ჩაატარა, დაადასტურა, რომ გასულ საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილე ლუკაშენკოს ყველაზე ცნობილი ოპონენტების რეიტინგი, მის რეიტინგზე ხუთჯერ ნაკლებია.

თანაც, მოსკოვს ის ფაქტორიც აფიქრებს, რომ ოპოზიციონერის მხარდამჭერის შემთხვევაში, შეიძლება ისე აღმოჩნდეს, რომ კრემლი არაპროგნოზირებად ლუკაშენკოზე ნოსტალგიამ შეიპყროს, რადგან ბელორუსული ოპოზიცია მთლიანად პროვეროპულია.

ალექსანდრ მილნიკევიჩს, რომელმაც უკვე განაცხადა საპრეზიდენტო მართონში მონაწილეობის შესახებ, ამ რეიტინგის მიხედვით, 9 პროცენტი აქვს; პროფესორ ალექსანდრ კოზულინს – 7,5. თანაც კოზულინი, რომელიც არჩევნების შემდგომი პროტესტისთვის ციხეში იჯდა, და ცოლის დასაფლავების დღეს მასთან გამოსათხოვრად საკნიდან გაიქცა, პრაქტიკულად ჩამოშორდა პოლიტიკურ მოღვაწეობას.

სოციოლოგების მონაცემებით, „ბატკოსთვის“, ასე უწოდებენ ლუკაშენკოს ბელორუსში, ხმის მიცემას გამოკითხულ-

დსთ-ს რეგიონში კიდევ ერთი დაბადების დღე აღინიშნა, რომელმაც მთელი რეგიონი ალაპარაკა. უკრაინის პრეზიდენტის ვიქტორ იანუკოვიჩის დღეობაზე არანაკლებ ხმაურიანი აღმოჩნდა რუსეთის ოპოზიციური პარტიის „პრავედ დელოს“ თანათავმჯდომარის ლეონიდ გოზმანის 60 წლისთავის აღნიშვნა. გოზმანმა თავის დაბადების დღეზე ბელორუსის ოპოზიციის წარმომადგენლები – „გაერთიანებული სამოქალაქო პარტიის“ ხელმძღვანელები – ანატოლი ლებედკო, იაროსლავ რომანჩუკი და ალექსანდრ დობროვოლსკი დაპატიჟა. ბელორუსი ოპოზიციონერების მოსკოვში სტუმრობის სრულიად უწყინარი და თითქოს აპოლიტიკური მიზეზი პოლიტიკური კომენტატორების საკბილო თემად იქცა.

ისე მოხდა, რომ საიუბილეო საღამოზე ლუკაშენკოს პოლიტიკური ოპონენ-

ტები მხოლოდ კრემლის ოპოზიციას კი არა, რუსეთის ვიცე-პრემიერ ალექსეი კუდრინს, ანატოლი ჩუბაისს, „ედინაია როსიას“ წევრ დეპუტატებს შეხვდნენ. ანატოლი ლებედკომ უკვე ამცნო პრესას, რომ აგვისტოში, მინსკში დემოკრატიული ოპოზიციის მიერ ორგანიზებულ ყრილობას, მხოლოდ რუსი ოპოზიციონერები კი არა, რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებიც დაესწრებიან.

მოსკოვში ბელორუსის ოპოზიციის წარმომადგენლების სტუმრობისა და ბელორუსის ნაციონალურ არხზე პუტინის პირადი მტრის – მიხეილ სააკაშვილის გამოჩენის შემდეგ რუსულმა მასობრივმა საინფორმაციო საშუალებებმა გამოთქვეს მოსაზრება, რომ მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებზე, რომელიც ბელორუსში წლის ბოლომდე გაიმართება, მოსკოვი მზადაა, მხარი დაუჭიროს ლუკაშენკოს ოპოზიციას.

თა 48,3 პროცენტი აპირებს. გაზის თაობაზე რუსეთთან გაჩაღებულმა კონფლიქტმა რამდენადმე გაზარდა კიდევ ბელორუსის პრეზიდენტის სტაბილური რეიტინგი.

უკვე 12-მა კანდიდატმა ოფიციალურად განაცხადა, რომ საპრეზიდენტო არჩევნებზე „ბატკოს“ დამარცხებას შეეცდება. ლუკაშენკოს ოპონენტების რეიტინგი სოციოლოგიური ცდომილების პარამეტრებში თავსდება. ზოგიერთი საინფორმაციო საშუალების მიერ „პრორუსულად“ მიჩნეულ კანდიდატს ანდრეი სანნიკოვს გამოკითხულთა მხოლოდ 0,5 იცნობს.

„პარადოქსი იმაშია, რომ რეალურად პრორუსული პოლიტიკური ძალა ბელორუსში არ არსებობს. ბელორუსი ძალზე „სოვიეტიზებულია“, რუსიფიცირებული, და მისი ხელისუფლება 15 წლის მანძილზე თამაშობდა ე.წ. ძმური ინტეგრაციის თამაშს და არა პრორუსულს. ბელორუსში არ არსებობენ ძლიერი პრორუსული ორგანიზაციები და პრორუსული საჯარო

ყველაზე ნაკლებად ალექსებს ბელორუსის დემოკრატიზაცია.

„კრემლს სურს, რომ ბელორუსს მორჩილი ვასალი ედგეს სათავეში, მაგრამ მოსკოვში აშკარად გამოჩნათ, რომ დამოუკიდებლობის იდეა უკვე დომინირებს ბელორუსის საზოგადოებაში. ხელისუფლებაც და ოპოზიციაც დამოუკიდებელი, სუვერენული ბელორუსის მომხრეები არიან – მიუხედავად იმისა, რომ ამ სუვერენიტეტით სარგებლობას ყოველი ოპონენტი თავისებურად აპირებს“, – აღნიშნავს ოპოზიციონერი პოლიტიკოსი ვიჩესლავ სივჩიკი.

კრემლის მსგავსად, „პრორუსულ“ პრეტენდენტს საკუთარ რიგებში თავად ოპოზიციაც ეძებს, რომ ნაციონალური იდეის „ღალატისთვის“ ჩაქოლოს და ოპოზიციური ელექტორალური რესურსის გარეშე დატოვოს. თან „პრორუსული“ ძალის წინააღმდეგ ბრძოლა წინასწარჩვენოდ კარგი პიარ-კამპანია იქნება.

ლუკაშენკოს შემცვლელი ბელორუს ჩინოფიკებს შორისაც არ არის, – და-

საქმეთა ყოფილ მინისტრზე, ვლადიმირ ნაუმოვზე.

თუმცა, თავად ნაუმოვმა არაერთხელ განუცხადა პრესას, რომ მინსკში დაბრუნებას არ აპირებს და იქაური პოლიტიკური საკითხები არ აინტერესებს.

მოქმედი ხელისუფლების წინააღმდეგ ბელორუსი ძალოვანების ამხედრებაც, ანალიტიკოსების აზრით, ასევე არარეალურია.

„ბელორუსის ძალოვან სტრუქტურებში ლუკაშენკომ დიდი „წმენდები“ ჩაატარა. რუსეთისადმი ლოიალურად განწყობილი ადამიანები იქიდან დაითხოვეს. ხოლო იმის გათვალისწინებით, რომ ბელორუსში ცხრა სპეცსამსახურს აქვს მინიჭებული ოპერატიული-სამძებრო საქმიანობის უფლება და ერთმანეთს უთვალთვალენ, ძნელად წარმოსადგენია, როგორ შეიძლება სახელმწიფო გადატრიალების მოწყობა“, – ამბობს ვალერი კარბალევიჩი.

ყირგიზული და ქუჩის რევოლუციების სხვა სცენარების განვითარება, ანალიტიკოსის აზრით, ახლანდელ ბელორუსში შეუძლებელია.

თუმცა, ამ საკითხთან დაკავშირებით სოციოლოგთა მონაცემები წინააღმდეგობრივია.

„ბელორუსი საჭიროებს გარდაქმნებს“, – ამაზე თანხმდება სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური კვლევების დამოუკიდებელი ინსტიტუტის მიერ გამოკითხულთა 62 პროცენტი. თუმცა, პრაქტიკულად იმდენივე დარწმუნებულია, რომ ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკაში უახლოესი ხუთი წლის მანძილზე კარდინალური ცვლილებები ნაკლებადაა მოსალოდნელი, ან სულაც შეუძლებელია.

და კიდევ ერთი საგულისხმო სოციოლოგიური ამონაწერი – რესპონდენტების 22, 4 პროცენტს მიაჩნია, რომ საპრეზიდენტო პოსტიდან ლუკაშენკოს წასვლის შემდეგ ბელორუსში ცხოვრება გაუმჯობესდება; 25,2 პროცენტი გაუარესებას ელოდება; 34,8 – ცვლილებებს არ ელის.

ექსპერტები ასკვნის, ლუკაშენკოს ალტერნატივის არარსებობა ბელორუსეების სერიოზული და სწრაფი ცვლილებების იმედს უკარგავს. [1]

კრემლის მსგავსად, „პრორუსულ“ პრეტენდენტს საკუთარ

რიგებში თავად ოპოზიციაც ეძებს, რომ ნაციონალური იდეის

„ღალატისთვის“ ჩაქოლოს და ოპოზიციური ელექტორალური

რესურსის გარეშე დატოვოს.

პირები. დღეს მოსკოვი ბელორუსში განსაკუთრებით ვერავის დაეყრდნობა“, – მსჯელობს პოლიტოლოგი ალექსანდრ კლასკოვსკი.

ანალიტიკოსი დარწმუნებულია, რომ კრემლს დაწყებულიც რომ ჰქონდეს ლუკაშენკოს ალტერნატივის ძიება, მომავალ არჩევნებამდე „თავის კაცის“ „გაქაჩვას“ მაინც ვერ მოასწრებს.

„ცხადია, არსებობენ სრულიად ურეიტინგო პოლიტიკოსები, რომლებიც ხვალვე გაიქცეოდნენ და კრემლის კართან რიგში ჩამწკრივდებოდნენ, თუკი ვინმე დაუძახებდათ. მაგრამ ასეთების იმედზე ყოფნა მთელი ჩანაფიქრის დისკრედიტირებას ნიშნავს“, – მიაჩნია კლასკოვსკის.

ბელორუსის ოპოზიციის ლიდერები დარწმუნებულები არიან, რომ კრემლს

რწმუნებულია ანალიტიკური ცენტრი „სტრატეგიის“ ექსპერტი ვალერი კარბალევიჩი.

„თეორიულად, რასაკვირველია, შეიძლება ისეთი ადამიანის პოვნა, რომელიც მზადაა, ავანტიურაზე წავიდეს და ყველაფერი სასწორზე დადოს, თუმცა მოსკოვს მისი ხელისუფლებაში მოყვანა გაუჭირდება. ქვეყანაში, სადაც არ არსებობს არჩევნები, არ არის წინასწარჩვენო ბრძოლა, ხმების რეალური დათვლა, მძლავრია ადმინისტრაციული რესურსი – რუსებისთვის ჩვეული ხერხები აქ არ გაჭრის“, – აღნიშნავს კარბალევიჩი.

ანალიტიკოსის აზრით, ყველაზე რეალურია კრემლის მიერ ვინმე ბელორუს „ყოფილზე“ გათვლა – მაგალითად, მოსკოვში სამუშაოდ წასულ შინაგან



სპეცრაზმელების ეკოლოგებზე თავდასხმა, ხიმკი, 23 ივლისი 2010

რუსეთი, ადამიანის უფლებები

"სიმახის ტყის ნახჩენები ვინაღმის ჰუბინისთვის"

ხიმკის ტყე – კიდევ ერთი სამარცხვინო ლაქა პუტინის ხელისუფლების ისტორიაში, რომელიც რუსეთის ფარგლებს გასცდა.

თამარ კაკაბაძე

ამ ბრძოლას, რომელიც უკვე 2 წელია გრძელდება, მსხვერპლიც ჰყავს.

მოსკოვის გარეუბანში – ხიმკი ტყის გაჩეხვის მონინალმდეგეებსა და ხელისუფლებას შორის დაპირისპირებამ გასულ კვირას ახალი ძალით იფეთქა.

რამდენიმე თვეა, ეკოლოგებმა ხიმკის ტყესთან კარვების ქალაქი დასცეს, რომ ხელი შეუშალონ 60 ჰექტარზე გადაჭი-

მული ტყის გაჩეხვას, რაც, მათი თქმით, რეგიონის ეკოლოგიისთვის მნიშვნელოვანი პრობლემა იქნება.

პარასკევს, გამთენიისას კარვების ბანაკს 50-მდე პირდაპურული ახალგაზრდა დაესხა თავს. ისინი მწყობრი ნაბიჯით მოდიოდნენ. თეთრი მაისურები ეცვათ წარწერებით „19“ და „სოჭი 2014“. „ჩვენ მოვედით, რომ გზა გავათავისუფლოთ

ან მოგკლათ“, – ყვიროდნენ ისინი.

როგორც ტყის დამცველები ამბობენ, მათ შეეღა სთხოვეს შსს-ს ხიმკის განყოფილებას, მაგრამ იქ უთხრეს, რომ ვერაფრით დაეხმარებოდნენ და ურჩიეს, ტყე დაეტოვებინათ.

დაახლოებით ერთ საათში მილიცია მაინც მოვიდა, რის შემდეგაც უცნობი ადამიანები სადღაც გაქრნენ.

შეხლა-შემოხლის დროს მილიციამ 13 აქტივისტი დააკავა, მათ შორის – გაზეთ „ნოვია გაზეტას“ ჟურნალისტი ელენა კოსტიუჩენკო და „რადიო თავისუფლების“ ფოტოკორესპონდენტი იური ტი-მოფევი.

კარგების ქალაქი დაიშალა. მშენებლებმა გააგრძელეს ტყის ჩეხვა.

ხიმკის ტყე, რომელიც მოსკოვიდან ხუთ კილომეტრში მდებარეობს, აეროპორტ შერემეტიევოს გზაზეა. ის თითქმის ათას ჰექტარზეა გადაჭიმული.

ყველაფერი იმით დაიწყო, რომ 2008 წლის იანვარში მაშინდელმა პირველმა ვიცე-პრემიერმა დმიტრი მედვედევმა, რომელიც ნაციონალურ პროექტებს ხელმძღვანელობდა, გრანდიოზული პროექტის – მოსკოვი-სანქტ-პეტერბურგის ჩქაროსნული ავტომანქანების მშენებლობის დაწყების შესახებ პირველი განცხადება გააკეთა. რუსეთის მომავალმა პრეზიდენტმა მაშინ თქვა, რომ ეს „ისტორიული პროექტი“ იქნებოდა.

■ ბეკეტოვი სასტიკად ნაცემი, უგონო მდგომარეობაში იპოვეს.

დღეს იგი პარალიზებულია. მას ამპუტირებული აქვს ფეხი და ხელის თითები, დღემდე არ დაბრუნებია მეტყველების უნარი.

ამ პრეზენტაციიდან წელიწადზე ნაკლები გავა და ამ „ისტორიულ პროექტს“ პირველი მსხვერპლი შეენიჭება.

კრემლი, როგორც წესი, ყველა მსხვილი და ამბიციური გეგმის დეტალებს საიდუმლოდ ინახავს, და ამ შემთხვევაშიც ასე მოხდა. არც ვიცე-პრემიერ მედვედევს და არც სხვებს არ დასცდენიათ, რომ მაგისტრალი ხიმკის ტყეზე გაივლიდა. ამ ინფორმაციის გავრცელებისთანავე მთელი რაიონის მოსახლეობა ფეხზე დადგა. იმართებოდა საპროტესტო აქციები. ეკოლოგები დახმარებისთვის საერთაშორისო მწვანეთა ორგანიზაციებს მიმართავდნენ.

თუმცა, ძალიან მალე ეს ეკოლოგიური პრობლემა ადამიანის უფლებათა დამცველი და საერთაშორისო ჟურნალისტური ორგანიზაციების განხილვის საგანი გახდა.

მაგისტრალის მშენებლობის კრიტიკოსთა შორის ყველაზე მწვავე „ხიმკისკაია პრავდა“ აღმოჩნდა, რომელსაც მიხაილ ბეკეტოვი რედაქტორობდა. ბეკეტოვი ამ ისტორიის პირველი მსხვერპლია – დღეს ის ინვალიდია და ყოველდღე გადარჩენისთვის იბრძვის.

თავის გაზეთში ბეკეტოვი ხიმკის ადმინისტრაციას ტყის გაჩეხვის ნებართვის გაცემის გამო აკრიტიკებდა. ის ასევე წერდა ქალაქში გამეფებულ კორუფციაზე, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ვლადიმირ სტრელჩენკოს ნათესაურ კლანზე ხელისუფლების ორგანოებში.

როგორც ჩანს, ბეკეტოვის კრიტიკა საჭირო ადრესატამდე მივიდა. 2008 წლის 13 ნოემბერს იგი სასტიკად ნაცემი, უგონო მდგომარეობაში იპოვეს საკუთარი სახლის ზღურბლთან. თავის ქალის მიძიმე ტრავმა, მრავალჯერადი მოტეხილობები და დაბეჭდილობები დაუდგინეს მას ექიმებმა. დღეს ბეკეტოვი პარალიზებულია. მას ამპუტი-

ში ესროლეს და იგი სასწაულით გადარჩა.

ყველა ამ შემთხვევას ორი რამ აერთიანებს – არც ერთი მათგანი გამოძიებული არ არის და ყველა ეს ჟურნალისტი, ასე თუ ისე, დაკავშირებულია ხიმკის ტყესთან.

ქალაქის გარეუბანი – ხიმკი რეგიონში გემრიელი ლუკმაა. მოსკოვთან სიახლოვის გამო, მას იმ ჯადოსნური ქათმის რუპუტაცია აქვს, რომელიც ოქროს კვრცხებს დებს. როგორც რუსული მედია წერს, ეს ერთ-ერთი ყველაზე უკონტროლო რაიონია, რომელსაც თავიდან ბოლომდე ადგილობრივ ხელისუფლებასთან კავშირში მყოფი მათა მართავს.

ეკოლოგები ამბობენ, რომ ხიმკის ტყეზე გამავალი მაგისტრალის მშენებლობა უკანონოა. ბეკეტოვის საქმის შემდეგ მაგისტრალის მშენებლობა დროებით შეჩერდა – დედაქალაქის ხელისუფლებამ განაცხადა, რომ მაგისტრალის პროექტი მართლაც გადასახედა. არსებობდა ტრასის გაყვანის რამდენიმე ალტერნატიული ვარიანტი, რომელიც არ მოითხოვდა ხიმკის ტყის გაჩეხვას. თუმცა, მოგვიანებით მაინც ხიმკის ტყეზე გამავალი პროექტი აირჩიეს, რადგან იგი ბევრად უფრო იაფი ჯდებოდა.

„ხიმკის ტყის“ დამცველებმა საერთაშორისო საზოგადოების ყურადღება გასულ კვირას იმითაც მიიპყრეს, რომ პრემიერ პუტინის რეზიდენციასთან მოჭრილი ხის მორები მიიტანეს წარწერით: „ხიმკის ტყის ნარჩენები ვლადიმირ პუტინისთვის“. იქვე ისინი აგროვებდნენ ხელმოწერებს ტყის ჩეხვის წინააღმდეგ. მილიცია ამ ყველაფერს შორიდან უყურებდა, მაგრამ შემდეგ, ძალიან მოულოდნელად თავს დაესხა აქციის მონაწილეებს და ისინი მიკროავტობუსებში შეჰყარა.

„ხიმკის ტყის“ და მიხაილ ბეკეტოვის ისტორია გასულ კვირასაც მოხვდა საერთაშორისო პრესის ფურცლებზე. ავტორები კიდევ ერთხელ აღნიშნავენ, თუ რა სახიფათო პროფესიაა რუსეთში ჟურნალისტობა, და რა ელით მათ, ვინც საკუთარი უფლებების ხმა მალა დაცვას შეეცდება. ■

აფხაზეთი

სჭირდება თუ ახა აფხაზეთს სახელმწიფო ვალუტა?

რა დადებითი და უარყოფითი მხარეები შეიძლება ჰქონდეს ეროვნული ვალუტის შემოღებას აფხაზეთისთვის.

სვეტლანა ავიძბა

რუსეთის მიერ აფხაზეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარების შემდეგ ქვეყნის დღის წესრიგში მთელი რიგი საკითხები დადგა, რომლებიც ქვეყანამ ეტაპობრივად უნდა გადაწყვიტოს.

მათ შორისაა – სჭირდება თუ არა აფხაზეთს საკუთარი ვალუტა? ახალგაზრდა სახელმწიფოში, რომელიც დამოუკიდებლად პირველ ნაბიჯებს დგამს და რომელიც დღეს მხოლოდ თითზე ჩამოსათვლელმა ქვეყნებმა აღიარეს, ცხადია, ეს ნომერ პირველი საზრუნავი არ არის, მაგრამ ეკონომისტები ამ თემაზე უკვე სერიოზულად მსჯელობენ.

ინტეგრაციული პროცესების გაძლიერება, მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაცია და გახშირებული ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისები ახალი გზების და მექანიზმების ძიებას მოითხოვს ქვეყნების მაკროეკონომიკური სტაბილურობის მისაღწევად.

ერთ-ერთი ასეთი გზაა ნაციონალურ ვალუტაზე უარის თქმა ან ზენაციონალური ვალუტის სასარგებლოდ, როგორცაა მაგალითად ევრო, ან – სხვა, უფრო მდგრადი ვალუტის – მაგალითად, დოლარის.

ქვეყნების დიდი უმრავლესობა, რომლებიც მსოფლიო ეკონომიკაში ინტეგრირდებიან, დგებიან ისეთი სიტუაციის წინაშე, როდესაც საკუთარი ვალუტის არსებობით გამოწვეული ხარჯი მის უპირატესობას აჭარბებს.

ამასთან, ისეთ პატარა და, რაც მთავარია, ახალგაზრდა სახელმწიფოებში, როგორცაა აფხაზეთი, ეროვნული ვალუტა უმრავლესობის ცნობიერებაში დამოუკიდებელი სახელმწიფოს აუცილებელ ატრიბუტს წარმოადგენს.



აფხაზეთში ბევრი ფიქრობს, რომ დამოუკიდებლობის მოპოვებასთან ერთად ქვეყანას თავისი ფულიც უნდა გასჩენოდა, ისევე როგორც დროშა, ჰიმნი და ასე შემდეგ.

თანამედროვე აფხაზეთი, რომელიც რუსულ რუბლს გადახდის ოფიციალურ საშუალებად იყენებს, იმ ქვეყნების რიცხვს მიეკუთვნება, რომლებიც ეკონომიკის სრული დოლარიზაციის პოლიტიკას ატარებენ.

ექსპერტი ბატალ ბარათელია მიიჩნევს, რომ ეროვნულ ვალუტაზე უარის თქმა სახელმწიფოს სენიორაჟიდან (ფულის ემისია) და ინფლაციური გადასახადიდან შემოსავალს აკარგვინებს. იკარგება ასევე ეკონომიკის რეგულირების უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტი – ფულად-საკრედიტო პოლიტიკა.

თუმცა, მისი აზრით, მაინც არასწორი

■ აფხაზეთში ბევრი ფიქრობს, რომ დამოუკიდებლობის

მოპოვებასთან ერთად ქვეყანას

თავისი ფულიც უნდა გასჩენოდა, ისევე როგორც დროშა, ჰიმნი და ასე შემდეგ.

იქნებოდა, ჩაგვეთვალა, რომ რუსული რუბლის გამოყენება აფხაზეთის ეკონომიკაზე უარყოფითად აისახება.

„აშკარაა, რომ ეროვნული ვალუტის შემოღების შემთხვევაში, ძალიან მაღალი იქნებოდა მომსახურებისა და გაცვლითი ოპერაციებისთვის განკუთვნილი ტრანზაქციური ხარჯები. იმის გათვალისწინებით, რომ აფხაზეთის



გამოიწერეთ ჟურნალი ლიბერალი

ბეჭდური ვერსია

12 ნომერი – 3 თვე

22 ლარი

24 ნომერი – 6 თვე

45 ლარი

48 ნომერი – 1 წელი

90 ლარი

PDF ვერსია

12 ნომერი – 3 თვე

13 ლარი

24 ნომერი – 6 თვე

25 ლარი

48 ნომერი – 1 წელი

50 ლარი

ჟურნალის გამოსაწერად დაგვიკავშირდით ტელეფონებზე: 23 37 31, (899) 48 62 41 ან მოგვანოდეთ თქვენი საკონტაქტო ინფორმაცია ელ-ფოსტით: info@liberali.ge

ეკონომიკა დიდწილად ექსპორტზეა დამოკიდებული, ეს გარემოება ეროვნულ ვალუტაზე ზენოლის მიზეზი გახდებოდა“, – მიიჩნევს იგი.

თუმცა, არც ეს არის მთავარი. ეროვნული ეკონომიკა პრაქტიკულად არ არის დამოკიდებული ქვეყნის მონეტარულ პოლიტიკაზე. მაგალითად, აფხაზეთის ეკონომიკურ პროცესებზე გავლენას საპროცენტო განაკვეთი ან, მაგალითად, ინფლაცია კი არ ახდენს, არამედ სოფლის მეურნეობის მოსავალი ან დამსვენებელთა ნაკადი საკურორტო სეზონზე. პირველი ფაქტორი ბუნებრივ პირობებზეა დამოკიდებული, მეორე კი – უფრო ეკონომიკურ და პოლიტიკურ გარემოებებზე, ვიდრე აფხაზეთის ხელისუფლების მიერ გატარებულ მონეტარულ პოლიტიკაზე.

ამიტომ, ნაციონალური ემისიური ცენტრის და, შესაბამისად, ეროვნული ვალუტის არსებობა ალბათ ვერ შექმნიდა მაკროეკონომიკური რეგულირების ეფექტურ ინსტრუმენტს – ფულად-საკრედიტო პოლიტიკას.

რუსული რუბლით სარგებლობის აშკარა უპირატესობა ისიც გახლავთ, რომ აფხაზეთის ხელისუფლებას არ უნევს ფასების სტაბილიზაციაზე ზრუნვა, ინფლაციასთან ბრძოლა, საპროცენტო განაკვეთების შემცირება და ფინანსური რესურსების გაიაფება; ასევე ის, რომ შეუძლებელია სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის ინფლაციური დაფარვა; მოხსნილია, აგრეთვე, საგადასახადო ბალანსის რეგულირების ამოცანა, სავალუტო კურსის განსაზღვრის და ვალუტის სპეკულანტებისგან მისი დაცვის პრობლემა.

ეკონომისტ ანდრეი ბგაშბას მთავარი არგუმენტი აფხაზეთის ფულის სასარგებლოდ ის არის, რომ ნაღდი ფული, რომელიც ქვეყანაში ტრიალებს, აფხაზეთში არ ჩერდება და რუსეთში გადის. „ძალიან მარტივი ჯაჭვია: ვიღებ ხელფასს, მივდივარ მაღაზიაში, ვყიდულობ პროდუქტს და მთელი ჩემი ფული კონსოლიდირდება ერთი მენარმის ხელში და მიდის სად? რუსეთში. ყოველთვიურად აფხაზეთის ეროვნული ბანკი ნაღდი ფულის გარკვეულ თანხას გასცემს

იმისათვის, რომ ხელფასები დარიგდეს“, – ამბობს ექსპერტი.

აფხაზეთის ეროვნული ბანკის მონაცემებით, ნაღდი ფულის ბრუნვამ 2009 წელს ქვეყანაში 11 მილიარდი რუბლი შეადგინა. თითქმის სრულად ამ ფულმა აფხაზეთის ფარგლები დატოვა. ბგაშბას ამბობს, რომ ეს ფული რომ ეროვნულ ვალუტაში ყოფილიყო, ქვეყნის შიგნით დარჩებოდა.

კიდევ ერთი არგუმენტი ის, რომ, ეროვნული ვალუტის არსებობის პირობებში, ჩრდილოვან ეკონომიკასთან ბრძოლა უფრო ეფექტური იქნება.

ბგაშბას აზრით, ეს არ იქნება ეროვნული ვალუტა კლასიკური გაგებით, რომელიც ოქროს მარაგითა და სხვა აქტივებითაა გამყარებული, არამედ ეროვნული ვალუტის ერთგვარი სუროგატი, რომელიც ქვეყნის შიგნით ნაღდი ანგარიშსწორების დროს გამოიყენება.

ეკონომისტის აზრით, იმ შემთხვევაში, თუ აფხაზეთი რუსულ რუბლზე უარს იტყვის და ეროვნული ვალუტის შემოღებას გადაწყვეტს, ქვეყანას ორი მთავარი პრობლემა შეექმნება. პირველი – ეს იქნება სამართლებრივი: ფულადი ნიშნების გაყალბების სამიშროება, და მეორე – პოლიტიკური – რუსეთისთვის ეს ნაბიჯი ძნელი ასახსნელი იქნება.

აფხაზეთის ეროვნული ბანკი ჯერჯერობით არ აპირებს ეროვნულ ვალუტაზე სერიოზულად ფიქრს. მან არცთუ სახარბიელო მდგომარეობაში მყოფი ნაციონალური ფინანსური სისტემის სტაბილიზაციისთვის სხვა გზა აირჩია; კერძოდ, ელექტრონული გადახდის სისტემის შემოღება, რომელიც აფხაზეთში ჯერ არ მოქმედებს. **ლ**

სტატიაში გამოყენებული ტერმინოლოგია ეკუთვნის ავტორს და არა „ლიბერალს“



სტატია მომზადებულია ჰაინრიხ ბოლის ფონდის მხარდაჭერით. ამ პუბლიკაციაში გამოთქმული შეხედულებები და მოსაზრებები არ არის აუცილებელი, გამოხატავდეს ჰაინრიხ ბოლის ფონდის შეხედულებებს.

თვალსაზრისნი

ვედსტოხი საქათველოში

მობდა თუ არა საქათველოში კულტურული რევოლუცია?

გიორგი ცხადაია



კულტურულ რევოლუციაზე სტატიის დაწერა რომ გადაწყვიტე, პირველ რიგში იმაზე დაიწყე ფიქრი, თუ რა არის კულტურული რევოლუცია. ასეთი ტერმინების განმარტების დროს პრობლემა ის არის, რომ დასავლეთში უკვე მომხდარი მოვლენების მზა ფორმულებით ხდება ხოლმე აპელირება. მაგალითად, ზოგს ჰგონია, რომ კულტურული რევოლუცია მაინცდამაინც ისეთი უნდა იყოს, როგორც 60-იან და 70-იან წლებში განიცადა ამერიკამ და ევროპამ – ანუ ჰიპები, როკ-მუსიკა, ვულსტოკი, „ლსდ“, თავისუფალი სექსი, სტუდენტების ამბოხი, სან ფრანცისკო, ავტოსტოპით მოგზაურობა, „შიში და სიძულვილი ლას-ვეგასში“. კულტურული რევოლუციის ქართველი თაყვანისმცემლებისგან ხშირად გამიგია, რომ დაახლოებით მსგავსი ცვლილებების მოხდენაზე ოცნებობენ. ისინი ფიქრობენ, რომ ამერიკასა და ევროპაში ამ მოძრაობებმა საზოგადოების კულტურული ღირებულებები შეცვალა და შესაძლებელია, რომ საქართველოშიც იგივე ტიპის „გადატრიალება“ მოხდეს.

ჰიპებმა და 60-იანი წლების მოძრაობებმა დასავლეთში კულტურული ღირებულებები ნამდვილად შეცვალეს, თუმცა

იგივე საქართველოში ალბათ არასდროს მოხდება, რადგან თითოეული კულტურული რევოლუცია თავისი არსით უნიკალურია. იმისთვის, რომ გავიგოთ, თუ რატომ არის ყველა რევოლუცია უნიკალური, უნდა გვესმოდეს, რას ნიშნავს სიტყვა „კულტურა“. კულტურაში მე ვგულისხმობ იმ დამკვიდრებულ სოციალურ ნორმებს, ღირებულებებს და ქცევის წესებს, რომლებიც კონკრეტული საზოგადოების თავისებურებებს განსაზღვრავს. კულტურული რევოლუციები ხდება იმიტომ, რომ საზოგადოების რაღაც ნაწილის აზრით, ის უკვე საკმარისად ძლიერია იმისთვის, რომ ნორმები, რომლებზეც აქამდე თანხმდებოდნენ, საკუთარ ნორმებად აღარ მიიღოს და ეს ჯგუფები იწყებენ ძალაუფლების მქონე ჯგუფების წინააღმდეგ ბრძოლას. მე გამოვიყენე ფრაზა „საკმარისად ძლიერი“, მაგრამ არ განმმარტავს რას ვგულისხმობ „სიძლიერეში“. ეს სიძლიერე შეიძლება გამოიხატოს შემდეგნაირად, მაგალითად: 1. სიმდიდრით. საზოგადოების ზედა და საშუალო ფენა (მსხვილი და საშუალო ბურჟუაზია) ხშირად გამხდარა კულტურული ცვლილებების მთავარი ძრავი. მაგალითად, ფეოდალური სისტე-

მიდან და შესაბამისი კულტურული ნორმებიდან კაპიტალისტურზე გადასვლაში სწორედ მათ ითამაშეს განსაკუთრებული როლი. 2. ცოდნით. მაგალითად, შუა საუკუნეების უნივერსიტეტებმა ძალიან დიდი როლი შეასრულეს იმდროინდელი კულტურული ღირებულებების შეცვლაში. ყველასთვის ცნობილი მაგალითია გალილეო გალილეი, რომელმაც ეჭვქვეშ დააყენა ერთ-ერთი ცენტრალური საეკლესიო დოქტრინა, რომელიც გულისხმობდა, რომ დედამიწა სამყაროს ცენტრია (უნდა წარმოვიდგინოთ, რომ იმ დროში კათოლიკურ ეკლესიას პრეტენზია ჰქონდა, ცხოვრების ყველა სფერო თავისი თეორიებით აეხსნა და მეცნიერული თეორიები ერესად, ანუ გადაცდომად წარმოეჩინა. ეკლესიის ერთი დოგმის ეჭვქვეშ დაყენება და ამისი გატანა უკვე ნიშნავდა მიკრორევოლუციას). 3. საზოგადოების რომელიმე მრავალრიცხოვანი ფენის აქტივობით. მაგალითად, მუშების მოძრაობები ევროპაში, რომლებმაც პროფკავშირების შექმნა გამოიწვია, რამაც შეცვალა საზოგადოებაში დამკვიდრებული ღირებულებები და ურთიერთობები – მუშების კლასმა მეტი ავტორიტეტი მოიპოვა და მათი მოთხოვნების იგნორირება

საშუალო გახდა. ასევე, ჰიპოთეზები, რომლებიც ძირითადად სტრუქტურების და ახალგაზრდების მოძრაობა იყო, რამაც ფუნდამენტურად შეცვალა წარმოდგენები ქალსა და კაცს შორის ურთიერთობაზე, ქალის როლზე საზოგადოებაში, ოჯახზე, ომზე, სახელმწიფოზე. 4. ბოლოს, ყველაზე ხშირად კულტურულ რევოლუციებს ახდენენ ზემოთ ჩამოთვლილი სხვადასხვა ფენები ერთად, უბრალოდ, ძნელია ხოლმე იმისი განსაზღვრა, რომელმა ფენამ რა წვლილი შეიტანა.

მოკლედ, იმისი თქმა მინდა, რომ კულტურული რევოლუცია არ უნდა გავიგოთ მარტივად მინცდამინც 60-იანი წლების დასავლეთის იმიჯებით. საქართველოში კულტურული რევოლუციის მცდელობები უკვე არსებობს. ოღონდ ქართული რევოლუციის კონტურები ოდნავ განსხვავებულია: ხელისუფლებაში მოვიდნენ ადამიანები, რომლებიც მეინსტრიმ კულტურის მიერ მიიჩნევიან ერეტიკოსებად (ანუ ქართული ტრადიციული კულტურის გადმოსახედიდან,

ხელისუფლებო ტელემედიის „იმედის“ მთელი რიგი გადაცემები – „სიმართლის დრო“, შალვა რამიშვილის მულტსერიალი „სამსონაძეები“ (რომელშიც ძირითადად მხოლოდ კულტურული კრიტიკაა და ძალიან იშვიათად პოლიტიკური ან სოციალური), შორენა ბეგაშვილის გადაცემა და ა.შ.

ძნელია იმისი თქმა, თუ საზოგადოების რომელი ფენა დგას „სახელისუფლებო“ კულტურული რევოლუციის უკან. ალბათ დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ეს არ არის ტრადიციული „ინტელიგენტი“ და ბიზნეს ელიტა (რომლის ნაწილი ან ოპოზიციის მიტინგებზე ჩანს ხოლმე, ან საერთოდ ერიდება პოლიტიკაში ჩართვას). კულტურული რევოლუციების მცდელობები, რასაც ხელისუფლება ახორციელებს, „ბურჟუაზიული“ ნამდვილად არ არის – „ბურჟუაზიის“ პოზიცია უცნობია (არ აგერიოთ და კახა ბენდუქიძე „ბურჟუაზიის“ ინტერესების გამომხატველად არ მიიჩნით, იგი უფრო გამონაკლისია – ქართველი ბიზნესმენე-

და ძალიან კონსერვატორული იყო და მასში ჰიპოთეზის მოძრაობა მინცდამინც არ აისახებოდა.

ყველაფერი გასაგებია, მაგრამ არის კი ეს კულტურული რევოლუცია, რასაც საქართველოში ხელისუფლება ახორციელებს? შეიძლება, რომ კულტურული რევოლუცია ზემოდან მოდიოდეს? ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ თავის დროზე ეს ჯგუფები, რომლებიც ახლა ხელისუფლებაში არიან, საზოგადოებისთვის მარგინალები იყვნენ. კულტურული თვალსაზრისით, ყველაზე მნიშვნელოვანი, რისი შეცვლაც მათ მოახერხეს, ქურდული კონტრკულტურის გავლენის შემცირება იყო. ამავე დროს, იქიდან გამომდინარე, რომ ქვეყანაში დემოკრატიული ინსტიტუტები შესუსტდა, თავად აღმოჩნდნენ იმ საფრთხის ქვეშ, რომ ძალაუფლება მიეთვისებინათ (მთელ რიგ შემთხვევებში სწორედ ასეც მოხდა). მათ დაკარგეს ის ლიბერალური იმიჯი, რაც მაშინ ჰქონდათ, როცა ძალაუფლებას და უსამართლობას ებრძოდნენ. შესაბამისად, მათგან წამოსული კულტურული რევოლუციის ინიციატივები ხალხში აღიქმება, როგორც არა ხალხის, არამედ თავად ხელისუფლების სასარგებლო ცვლილებები.

სად არიან საზოგადოების ის ჯგუფები, რომლებსაც სურთ, რომ კულტურული რევოლუცია მოახდინონ, რომლებსაც არც პოლიტიკური და სოციალური თემების წამოჭრის ერიდებათ (პროსახელისუფლებო „ლიბერალებისგან“ განსხვავებით) და არც კონსერვატორულ საზოგადოებასთან დაპირისპირების? სამწუხაროდ, ასეთი ჯგუფები ძალიან ცოტანი არიან და თავიანთი მცირერიცხოვნების გამო საზოგადოებრივ აზრზე გავლენას ვერ ახდენენ. კულტურული რევოლუცია კი ამ ქვეყანას ნამდვილად სჭირდება; ტრადიციული აზროვნების ფორმების ნინაალმდეგ ბრძოლაც. ეს ცალკე საუბრის თემაა და ცალკე სტატიის დაწერა შეიძლება, მაგრამ ამ სტატიაში წამოჭრილმა პრობლემებმა სწორედ იმაზე უნდა დაგვაფიქროს, თუ როგორი უნდა იყოს ქართული კულტურული რევოლუცია. **■**

■ საქართველოში კულტურული რევოლუციის მცდელობები უკვე არსებობს. ოღონდ ქართული რევოლუციის კონტურები ოდნავ განსხვავებულია: ხელისუფლებაში მოვიდნენ ადამიანები, რომლებიც მეინსტრიმ კულტურის მიერ ერეტიკოსებად მიიჩნევიან.

ხელისუფლების წევრები ხშირად ფასდებიან ხოლმე, როგორც მასონები, რომლებიც ქართულ ტრადიციებს ებრძვიან). ხელისუფლების მხარდამჭერთა ყველაზე გავლენიანი ნაწილიც, შეიძლება ითქვას, რომ სწორედ მსგავსი ტიპის ადამიანები არიან, ანუ ისინი, ვისაც საზოგადოების აზრი ნაკლებად აინტერესებს, არ ალელვებს ოდიოზური იმიჯი და შეუძლია მთელ საზოგადოებას ალუდგეს წინ: „თავისუფლების ინსტიტუტის“ წევრი თუა თუთბერიძე, გიგა ბოკერია (რომელიც ლამის ყველაზე არაპოპულარულ პოლიტიკოსად ითვლება საქართველოში), კახა ბენდუქიძე (და მისი ცნობილი უცენზურო ან ოდიოზური გამოსვლები, ერთ-ერთი – ინგა გრიგოლიას წინააღმდეგ), პროსა-

ბის გაცილებით დიდ ნაწილს კი საერთოდ არ ალელვებს ლიბერტარიანიზმის პრინციპები, ხელისუფლებასთან იოლი მოლაპარაკებების და გარიგებების გზა ურჩევნია). ე.წ. ახალი ინტელექტუალები კი ნამდვილად არის ქართული რევოლუციის უკან – მაგალითად, ილიას უნივერსიტეტი, რომლის პროსახელისუფლებო რექტორი და პროფესორების ნაწილი კონსერვატორულმა ჯგუფებმა ლამის ქართველი ერის მტრებად გამოაცხადონ. აქტიურობენ „ენჯელოშნიკები“ და ჟურნალისტებიც. ამიტომ გეუბნებით, რომ დასავლური სტანდარტებით ქართულ კულტურულ რევოლუციას ნუ განვსაზღვრავთ-მეთქი – სად იყვნენ დასავლეთში „ენჯელოშნიკები“? ჟურნალისტები კი იყვნენ, მაგრამ მეინსტრიმ მე-

კანონდარღვევები პარკირების სისტემაში

ჩახახი თბილისის ქუჩებში

ჟურნალისტური ექსპერიმენტის შედეგად ცნობილი გახდა არა მხოლოდ რეკეტიორთა ორგანიზებული ჯგუფის შესახებ, არამედ გამოვლინდა დანაშაულის დამამტკიცებელი ფაქტებიც, რომელზე რეაგირებაც პოლიციას მოუხდა.

გიორგი მგელაძე, სტუდია „მონიტორი“



გიორგი მგელაძე „სტაიანშივის“ ფორმით, თბილისი, ივლისი 2010

ფოტო: ლევან სანაძულაძე

ვარლამ შავაძე აფხაზეთიდან დევნილია და ოჯახთან ერთად რუსთაველი დევნილთა საერთო საცხოვრებელი ცხოვრობს. უკვე ოთხი წელია, ოჯახს „სტაიანშიკობით“ არჩენს. მეგობართან ერთად თბილისში, რუსთაველის გამზირზე „კინოს სახლთან“ დგას და ყოველდღიურ სარჩოს მძღოლების მიერ გაღებული თანხით შოულობს. თუმცა რამდენიმე თვის წინ მასთან ერთ-ერთი ფირმის „ავტოპარკინგის“ წარმომადგენლები მივიდნენ და უთხრეს, რომ მათთვის ყოველდღიურად 15 ლარი უნდა გადაეხადა. „15-20 კაცი მოვიდა, – ჩვენ ვართ „შე-პე-სეო“, ტენდერში გავიმარჯვეთ და ან ჩვენ უნდა გვიხადოთ ფული ან ეგ ადგილი დატოვეთო. ჩვენ გაფუძალიანდით, მაგრამ ზენოლით, დაშინებით, მუქართი-იძულებით დაგვითანხმეს, ჩა-

გვაცევეს ფორმები, გაგვიფორმეს ხელშეკრულებები და მას შემდეგ დავიწყეთ მათთვის ფულის გადახდა“, – იხსენებს ვარლამ შავაძე.

კანონი და „სტაიანშიკი“

ე.წ. „სტაიანშიკების“ სამსახური 2007 წელს ოფიციალურად გაუქმდა. იმ წელს დედაქალაქის მერიის მიერ გამოცხადებულ ტენდერში პარკირების ორგანიზების უფლება 15 წლით კომპანია „სითი პარკმა“ მოიპოვა. თუმცა „სითი პარკმა“ პარკირების ორგანიზება ოფიციალურად მხოლოდ 2009 წლის აგვისტოში დაიწყო. 2007-2009 წლებში სხვადასხვა უნიფორმაში გამოწყობილი „სტაიანშიკები“ თბილისის ქუჩებში ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე მუშაობდნენ.

„იმის გასარკვევად, აიძულებდნენ თუ არა „ავტოპარკინგის“

თანამშრომლები „სტაიანშიკებს“ მათ ფირმაში მუშაობას, ავტოსადგომის მორიგედ მუშაობა გადავწყვიტე“.

2009 წლის სექტემბერში „სითი პარკმა“ ქალაქის მერის წყრომა დაიმსახურა, 11 სექტემბერს უგულავამ ბრიფინგი გამართა და განაცხადა, რომ „სითი პარკის“ სატარიფო პოლიტიკა არ მოსწონდა და მოსახლეობას 25-ლა-

რიანი წლიური ბარათების შემოღება ამცნო. 1 ოქტომბრიდან ამ ბარათების გაყიდვა დაიწყო. მძლოლი, რომელიც ამ ბარათს შეიძენდა, 1 წლის განმავლობაში პარკირების გადასახადისგან თავისუფლდებოდა. თუმცა უგულავამ არც მწვადი დაწვა და არც შამფური და იმავე საღამოს „სტაიანშიკებს“ „რუსთავი 2“-ის ეთერით გამოუცხადა, რომ მათ დევნას არ აპირებდა და შეეძლოთ, მძლოლების ქველმოქმედების იმედად, მუშაობა გაეგრძელებინათ. ფაქტობრივად, მერის ზეპირი განცხადებით, კანონს მიღმა დარჩენილი „სტაიანშიკების“ ლეგალიზება მოხდა.

ქველმოქმედებიდან რეპეტაჟად

იმავე წლის ოქტომბრიდან „ქველმოქმედებას“ პატრონი გამოუჩნდა. ერთ დღესაც ქალაქში მომუშავე ავტოსადგომის მორიგეების („სტაიანშიკების“) დიდი ნაწილი ერთნაირ ლურჯ უნიფორმებში შეიმოსნენ. ლურჯ უნიფორმიანების უფროსი ვინმე რომან ხუციშვილი იყო, რომელმაც 2009 წელს შპს „ავტოსაქალაქო სერვისი“ დააფუძნა და მასში ნებით თუ ძალით „სტაიანშიკების“ განწევრიანება დაიწყო. გეგმა მარტივი იყო, ფირმის თანამშრომლები ჯგუფურად მიდიოდნენ ავტოსადგომის მორიგეებთან და ცდილობდნენ, ისინი მათთვის მუშაობაზე დაეყოლიებინათ.

„ხუციშვილი და მისი ხალხი მოვიდნენ და გვითხრეს, – ქალაქში ჩვენ უნდა მოვანესრიგოთ ავტოსადგომებიო. წინააღმდეგობა გაუწიეთ, მაგრამ – უშედეგოდ. თანხის გადახდა დავიწყეთ, მაგრამ გარკვეული ხნის შემდეგ რატომღაც შეგვეშენენ. რამდენიმე თვე აღარ ვუხდიდით. ამ წლის მაისში მოვიდა ახალი ფირმა. თანხის ამკრებები ისევ ხუციშვილის ხალხი იყო, მაგრამ ფირმა შეიცვალა, – შპს „ავტოპარკინგი“ ვართო და ერთმა კაცმა დღეში 15 ლარი უნდა გადაგვიხადოსო“, – იხსენებს ავტოსადგომის მორიგე ნოდარ შაიშველაშვილი

როგორც „სტაიანშიკები“ ჰყვებიან, ზენლოით და დაშინებით „ავტოპარკინგში“ რამდენიმე ასეული ადამიანი განწევრიანდა. მათ ხელშეკრულებები გაუფორმეს, გადასახდელი თანხა კი, ადგილის

პრესტიჟულობის მიხედვით, დღეში 5-დან 40 ლარამდე დაუნესეს.

აბაბაჟური ხელშეკრულება

ავტოსადგომის მორიგესა და „ავტოპარკინგის“ დირექტორს შორის გაფორმებული ერთ-ერთ ტიპურ ხელშეკრულებაში ვკითხულობთ: „სტაიანშიკი“ ვალდებულია, მთელი დღის განმავლობაში ნაშოვნი თანხა საღამოს „ავტოპარკინგის“ ბრიგადირს სრულად ჩააბაროს, თვის ბოლოს კი მისი შეტანილი თანხის 20% ხელფასის სახით უკან დაუბრუნდება“.

რატომ უნდა დათანხმებოდა ავტოსადგომის მორიგე მის მიერ ნაშოვნი თანხის 80%-ის ფირმისთვის გადახდას, როცა შეეძლო, რასაც იშოვიდა მთლიანად სახლში წაეღო?

„სტაიანშიკები“ ამბობენ, რომ ამას საშუალო დაკარგვის შიშით დათანხმდნენ, „ავტოპარკინგის“ წარმომადგენლები კი აცხადებენ, რომ მათ ნებაყოფლობითი თანხმობა უნიფორმის და ხელშეკრულების სანაცვლოდ მიიღეს. „ჩვენ ვაცემეთ ხალათს, ვუფორმებთ ხელშეკრულებას, ვაძლევთ სამკერდე ნიშანს. საჭიროების შემთხვევაში, ვეხმარებით კრედიტის გამოტანაში და ამიტომ ურჩევნიათ ჩვენთან“, – განაცხადა ფირმის დირექტორმა იური ბარბაქაძემ.

„ჟურნალისტი იცვლის პროფესიას“

იმის გასარკვევად, აიძულებდნენ თუ არა „ავტოპარკინგის“ თანამშრომლები თბილისის ქუჩებში მდგომ „სტაიანშიკებს“ მათ ფირმაში მუშაობას, ექსპერიმენტი ჩავატარეთ.

ვიშოვე „სტაიანშიკის“ უნიფორმა, ჯოხი, დავიხურე კეპი და 1 დღით ავტოსადგომის მორიგედ მუშაობა გადავწყვიტე. სამუშაო ადგილად რუსთაველის გამზირი, „კინოს სახლის“ მიმდებარე ავტოსადგომი ავირჩიე, ამ ადგილას „სითი პარკის“ ნიშანია და ტერიტორია თბილისის მერიის საკუთრებას წარმოადგენს. აქ „ავტოპარკინგის“ 2 მორიგე დგას და მათი ყოველდღიური გეგმა 30 ლარია.

მუშაობა სულ რამდენიმე წუთის დანეყებული მქონდა, როცა „ავტოპარკინგის“ მორიგემ ფირმის დირექტორს იური ბარბაქაძეს დაურეკა. სატელეფონო ზარიდან

დაახლოებით 20 წუთში „ავტოპარკინგის“ თანამშრომლები 2 მანქანით მოვიდნენ. მამუკა აფციაური ფირმის ერთ-ერთ დამფუძნებლად გამეცნო. ჩვენ შორის ასეთი დიალოგი გაიმართა:

– გაუმარჯოს ჯიგარო, შენი სახელი?
– გიორგი.
– მე ვარ, ძმაო, მამუკა აფციაური, შპს „ავტოპარკინგის“ დამფუძნებელი. რა ხდება, ძმაო, თვითნებურად მუშაობ თუ რაღა საქმე? „პარკიროვშიკი“, რომელიც დგას აქ, არის შპს „ავტოპარკინგის“ თანამშრომელი,
– მე არ ვარ თქვენი თანამშრომელი.

– გასაგებია, რომ არ ხარ ჩვენი თანამშრომელი და მაგის გასარკვევად მოვედით ჩვენ, რომ დადექი აქ და მუშაობ, უნდა გაპრავდე, ხელშეკრულება გააფორმო, ფორმა ჩაცვა და ჩვენთან იმუშაო.

„ავტოპარკინგის“ თანამშრომლები დაბეჯითებით მარწმუნებდნენ, რომ, მათთან მუშაობის გარდა, სხვა გზა არ მქონდა. საბოლოოდ შევთანხმდით, რომ მეორე დღიდან კოლმეურნეობის მოედანზე, „პოპულის“ წინ დავიწყებდით მუშაობას, „კინოს სახლთან“ მუშაობაზე სასტიკი უარი გვითხრეს, – აქ უკვე 2 კაცი დგას და თვისი გეგმა აქვთო.

მეორე დღეს ისევ რუსთაველზე, „კინოს სახლთან“ დავდექი, მაინტერესებდა, სადამდე შეეძლოთ შეეტოპათ „ავტოპარკინგის“ თანამშრომლებს. მეორე დღეს ჩვენსა და „ავტოპარკინგის“ წარმომადგენლებს შორის სხვა სახის დიალოგი შედგა:

მერაბ მაჭავარიანი-ბრიგადირი
– რა გითხარი მე შენ გუშინ?! აქ აღარ მოხვიდე-მეთქი, ხომ გითხარი.

– ხო მაგრამ, ვიყავი, ის ადგილი ძალიან შორია და იქ ვერ ვივლი.

– არა, არა ასე არაა. ხო გითხარი, დამირეკე-მეთქი.

– ხო მაგრამ, იქ არ მინდა დადგომა და იმიტომ არ დაგირეკე.

– ეგრე, არ გინდა, ჩვენს იმაზე ხომ არ არის.

– აბა, ვის იმაზე კაცო, სადაც მინდა, იქ დავდგები, შემომთავაზე რაღაც, არ მომეწონა.

– შენ რომელ უბნელი ხარ?
– უბნელი რა შუაშია, აქ ვარ ნაქირავებში, მაყაშვილის 13-ში.



„ავტოპარკინგის“ წარმომადგენლები



„ავტოპარკინგის“ წარმომადგენლები

■ ჟურნალისტები ხაზგასმით ამბობდნენ, რომ პოლიცია ამ საქმეს 2 თვე იძიებდა, თუმცა 2 თვის წინ „ავტოპარკინგს“ „სტაიანშიკებთან“ ხელშეკრულებები გაფორმებული ჯერ არ ჰქონდა და არც თანხის გამოძალგა იყო დაწყებული.

– იცნობ მაქ, უბანში ვინმეს?
– არა, ეგ რა შუაშია. თქვენ ვინ ბრძანდებით, რა გინდათ, სახლთან მინდა დგომა.
– ვერ დადგები აქ.
– რატომ ვერ დადგები, ვინ ბრძანდებით თქვენ.
– ვინ ვბრძანდები და ხომ მიყურებ, ვინც ვბრძანდები, ბიჭო.
– თქვენმა უფროსმა რალაც შემომთავაზა, არ მანყობდა და არ დავთანხმდი, მინდა აქ დგომა.
– აქ ვერ დადგები!
ამასობაში უფროსობაც მოვიდა, აგრესიულად მითხრეს, რომ ან მათთან ხელშეკრულება უნდა გამეფორმებინა ან ტერიტორია დამეტოვებინა. უარის შემდეგ ფირმის დამფუძნებელი ხვიჩა ნეკებლაძე ფიზიკური ანგარიშსწორებით დამემუქრა. ტერიტორიას, რომელიც მერიის საკუთრებაა, თავისად ასაღებდნენ და მეუბნებოდნენ, – მთელ ქალაქში მართო შენ დაგვიდექი პრინციპზე, მაგრამ მაინც არ მოგცემთ მუშაობის საშუალებასო. ვინაიდან მათთან ხელშეკრულების გაფორმებას არ დავთანხმდი, იძულებული გავხდი, ტერიტორია დამეტოვებინა.

რეკაპტი და მერიია

ჩვენი ორდღიანი ექსპერიმენტის ვიდეორჩანაწერი და „სტაიანშიკებისთვის“ ჩამორთმეული ინტერვიუები, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წევრს და სისხლის

სამართლის სპეციალისტს გაგი მოსიაშვილს ვაჩვენეთ. იურისტი ამბობს, რომ საქმე რეკეტულ დაჯგუფებასთან გვაქვს. „ამ მასალის ნახვა მარწმუნებს, რომ საქმე გვაქვს სერიოზულ ორგანიზებულ დანაშაულთან. ცხადია, რომ ამ ფირმის თანამშრომლები რეკეტს ახორციელებენ“.

კითხვებით მივმართეთ „ავტოპარკინგის“ იურისტს თემურ რევიასაც: „ის, რომ ჩვენ ვინმეს თანამშრომლობას ვაიძულებთ, სისულელეა. რასაც თქვენ ამბობთ, მაგას დამტკიცება სჭირდება, ჩვენ რომ ამას ვაკეთებდეთ, ეს იქნება რეკეტი და ამით სამართალდამცავები დაინტერესდებოდნენ“.

არადა, ჩვენ მიერ გადაღებულ ვიდეომასალაში ჩანს, რომ სწორედ ფირმის იურისტი იყო ერთ-ერთი, ვინც გვეუბნებოდა, რომ მათთან თანამშრომლობის გარდა, სხვა არჩევანი არ გვქონდა.

ის, რომ შპს „ავტოპარკინგი“ „სტაიანშიკებს“ მათთან მუშაობას და ყოველდღიურად თანხის გადახდას აიძულებდა, ჩვენზე ადრე თბილისის მერიაში იცოდნენ. 27 მაისს ათამდე „სტაიანშიკმა“ ქალაქის მერს გიგი უგულავას წერილი მისწერა და თავისი გასაჭირი უამბო. მერიაში წერილის შეტანიდან 1 თვეზე მეტი გავიდა, მაგრამ „სტაიანშიკებს“ პასუხი არ მიუღიათ, რაც კანონდარღვევაა.

მერიაში „სტაიანშიკების“ მიერ გაგზავნილი წერილი მოვიკითხეთ, ცხელ ხაზზე გვითხრეს, რომ წერილი რეაგირებისთვის

ზედამხედველობის სამსახურს დაენერა. ჩვენ სამსახურის უფროსს „სტაიანშიკების“ სახელით ვესაუბრეთ. ვკითხეთ, კანონიერი იყო თუ არა „ავტოპარკინგის“ მოქმედება. ზვიად მკერვალიშვილმა გვითხრა, რომ „ავტოპარკინგის“ ქმედება უკანონო იყო და „სტაიანშიკებს“ მათთვის თანხა არ უნდა გადაეხადათ. ნიშანდობლივია ის, რომ მერიის წარმომადგენელი ჩვენთან საუბარში „ავტოპარკინგის“ ქმედებას უკანონოს უწოდებს, მაგრამ ამ უკანონობაზე რეაგირებას არ ახდენს. არადა კანონი მერიას ავალდებულებს, რომ ეს წერილი სამართალდამცავებისთვის გადაეგზავნა, თუმცა ასე არ მოიქცნენ. მერიაში ამ საკითხზე ოფიციალური კომენტარი არ მოგვცეს.

„მალლოზა პატრულს“

ჩვენი ჟურნალისტური გამოძიება დაახლოებით ერთი თვის განმავლობაში მიმდინარეობდა. ამ ხნის მანძილზე „ავტოპარკინგის“ თანამშრომლები „სტაიანშიკებისგან“ თანხას ყოველდღე კრეფდნენ, რასაც ჩვენ ვიდეოკამერით მომზადებული ფილმის – „რეკეტი თბილისის ქუჩებში“ პრეზენტაცია ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოს“ ოფისში გაიმართა. ჩვენებს არასამთავრობო ორგანიზაციების, მედიის და პოლიტიკოსების მცირე ნაწილიც დაესწრო. ჩვენებაზე რამდენიმე „სტაიანშიკიც“ იყო, რომლებმაც

ფილმში მონათხრობი ჟურნალისტებსაც დაუდასტურეს. მოწვევის მიუხედავად, ჩვენებაზე არ ყოფილან ნაციონალური მაუწყებლები. მეორე დღეს ფილმი ტელეკომპანიების – „კავკასიის“ და „მესტროს“ ეთერში გავიდა, გამომხატურება შპოვა სოციალურ ქსელ „ფეისბუქშიც“, ყველა შედეგს ითხოვდა და ელოდა.

ორშაბათს, 19 ივლისს ვაკე-საბურთალოს პოლიციის განყოფილებაში სპეციალური ბრიფინგი გაიმართა. სამართალდამცავებმა საზოგადოებას დამნაშავეთა ორგანიზებული ჯგუფის დაკავება ამცნეს. მათგან გავრცელებულ ვიდეორჩანაწერში ჩვენ მიერ გადაღებული ადამიანები ჰყვებოდნენ, როგორ ჩამოაყალიბეს ფირმა და კრეფდნენ „სტაიანშიკებისგან“ ფულს.

ნაციონალურმა არხებმაც ახალი ამბების გამოშვებები ამ თემით დაიწყეს; გვამცნეს, რომ საპატრულო პოლიციის ხანგრძლივი ოპერაცია წარმატებით დასრულდა და დააკავეს „ავტოპარკინგის“ დირექტორი და დამფუძნებლები. ჟურნალისტები ხაზგასმით ამბობდნენ, რომ პოლიცია ამ საქმეს 2 თვე იძიებდა, თუმცა 2 თვის წინ „ავტოპარკინგს“ „სტაიანშიკებთან“ ხელშეკრულებები გაფორმებული ჯერ არ ჰქონდა და არც თანხის გამოძალვა იყო დაწყებული.

ნაციონალური არხების არც ერთ ჟურნალისტს არ უხსენებია სტუდია „მონიტორის“ ჟურნალისტური გამოძიება, მთელი დღის განმავლობაში მხოლოდ პოლიციის წარმატებულ გამოძიებაზე იუწყებოდნენ.

რა ხდებოდა პოლიციის ბრიფინგამდე

ფილმის პრეზენტაცია 16 ივლისს, პარასკევს შედგა. იმავე დღიდან ფილმის ანონსი გადიოდა „კავკასიის“ და „მესტროს“ ეთერში. ჟურნალისტური გამოძიება ტელეკომპანიების ეთერში შაბათს საღამოს უნდა გასულიყო. ჩვენ ამ დროს იმ „სტაიანშიკებს“ ვდარაჯობდით, რომლებიც ჩვენს ფილმში „ავტოპარკინგის“ დანაშაულებრივ ქმედებებზე ჰყვებოდნენ. ვშიშობდით, ფილმის გასვლამდე მათზე რაიმე სახის ზენოლა არ მომხდარიყო. აღმოვაჩინეთ, რომ ამავე „სტაიანშიკებს“ სდარაჯობდნენ სამართალდამცავებიც, ერთ-ერთ „სტაიანშიკს“ კამერაც დაუმაგრეს, აპირებდნენ, გადაეღოთ „ავტოპარკინგის“

თანამშრომლებისგან თანხის გამოძალვის ფაქტი, რაც ვერ მოახერხეს. პოლიცია იღებდა „სტაიანშიკებს“ და შესაძლო რეკეტიორებს, ჩვენ კი ყველას ერთად. დღემ მშვიდად ჩაიარა, „სტაიანშიკებზე“ არავის უძალადია, საღამოს კი ფილმი „კავკასიამ“ და „მესტრომ“ აჩვენეს.

იმავე ღამით სამართალდამცავებმა ჩვენს ფილმში მონაწილე „სტაიანშიკები“ პოლიციაში წაიყვანეს და მთელი ღამე დაკითხვას უტარებდნენ, მათი ჩვენებები ვიდეოკამერითაც გადაიღეს და მეორე დღეს გამართულ ბრიფინგზე ჟურნალისტებს დაურჩევს. სამართალდამცავებს გამოძალვის დამადასტურებელი არც ერთი კადრი არ გაუვრცელებიათ, არადა ჩვენ 3 კვირის განმავლობაში ფულის აკრეფის 10-მდე და ზენოლის 2 ეპიზოდი გადავიღეთ.

გამოძალვა თუ ტრაფიკინტი

პოლიციის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, მათ „ავტოპარკინგის“ 2 დამფუძნებელი, დირექტორი და 1 თანამშრომელი დააკავეს და ბრალი გამოძალვაში დასდეს, მათთვის წაყენებული მუხლი 6-დან 9 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს.

პოლიციას არ დაუკავებია ფირმის კიდევ ერთი დამფუძნებელი და ფირმის ის თანამშრომლები, რომლებიც ჩვენ მიერ გადაღებულ მასალაში „სტაიანშიკებზე“ ზენოლას ახდენდნენ. იურისტი გაგი მოსიაშვილი, რომელსაც „სტაიანშიკების“ საქმეზე ჩვენს მიერ გადაღებული ყველა ვიდეომასალა აქვს ნანახი, ამბობს, რომ დაკავებულებისთვის ბრალად უფრო მძიმე მუხლი უნდა წაყენებინათ. „ავტოპარკინგის“ თანამშრომლების ქმედება არ არის გამოძალვა, რადგან ისინი თანხას კრეფდნენ იმ ადამიანებისგან, რომლებსაც ფირმასთან ხელშეკრულებები ჰქონდა და გაფორმებული და ამ ხელშეკრულებებით თანხის გადახდა ევალტობდათ. აქ ჩვენ საქმე გვაქვს ხელშეკრულებების იძულებით, მოტყუებით და დებასთან და ამ გზით ფირმის სასარგებლოდ იძულებით

ბით შრომასთან, რაც პირდაპირ ხვდება ტრეფიკინგის სამართლებრივ განმარტებაში, რაც უფრო მძიმე დანაშაულია და მკაცრ სასჯელს, 15-დან 20 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს“. დაკავებულებს – ქელიძეს, წეკლაძეს, აფციაურს და ბარბაქაძეს თბილისის საქალაქო სასამართლომ 2-თვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა.

„უმონტროლო მილიონები“

პარკირების ბიზნესში სოლიდური თანხა ტრიალებს. თბილისის მერიის ინფორმაციით, პარკირებისგან ბიუჯეტში შესატანი წლიური მოსაკრებელი 2003 წელს 880 ათას ლარს შეადგენდა, 2004 წელს – 1 მილიონზე მეტს, 2005 წელს – 990 ათას ლარს. 2006 წლიდან პარკირება სხვადასხვა შპს-ზე გადაწაწილდა. ჩვენი ინფორმაციით, იმ წელს მხოლოდ დიდუბე-ჩუღურეთის რაიონიდან, პარკირების მოსაკრებლის სახით, ბიუჯეტში მილიონ ორასი ათასი შევიდა. 2007 წლიდან კი სფეროს მართვა „სითი პარკს“ გადაეცა, ქალაქის ბიუჯეტში „სითი პარკის“ მიერ მიღებული შემოსავლის 60% მიდის.

რა თანხა შეჰქონდა „ავტოპარკინგს“ ბიუჯეტში, გაურკვეველია, რადგან ეს ფირმის კომერციული საიდუმლოა.

2009 წლიდან შპს „ავტოსაქალაქო სერვისი“, 2010 წლის მაისიდან შპს „ავტოპარკინგი“ საგადასახადო და სისხლის სამართლის კოდექსის დარღვევით მთელი ქალაქის მასშტაბით ისე მოქმედებენ, რომ მათი საქმიანობა არავის აღუკვეთია. მათ შესახებ იცოდნენ „სითი პარკში“, მერიაში, საგადასახადოში, ინტერნეტ სივრცეში რამდენიმე ათეული გვერდის მოცულობის თემებია გახსნილი, სადაც ასეულობით მძლოლი სვამს ერთსა და იმავე კითხვას, – ვინ არიან ლურჯფორმიანები და უნდა გადაუხადონ თუ არა თანხა. მიუხედავად ამისა, ისინი დღისით-მზისით აფართოებდნენ ბიზნესს და ყოველდღიურად აიძულებდნენ ადამიანებს მათთან თანამშრომლობას. 



ჟურნალისტური გამოძიება მომზადებულია სტუდია „მონიტორის“ პროექტის ფარგლებში. ჟურნალისტური გამოძიება განხორციელდა ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით.

თვალსაზრისი

ეკონომიკური საზღვრების ბაზა

კონფლიქტურ რეგიონებთან ეკონომიკური ურთიერთობების აღდგენა, გარდა იმისა, რომ მათთან დაგვაახლოებს, ზოგადად ქვეყნის ეკონომიკას გამოაცოცხლებს.

გიორგი აბაშიშვილი



ერგნეთის ბაზრობა დახურვის მერე, 2004

ფოტო: გიორგი აბაშიშვილი

დღეს საქართველოს ტერიტორიაზე ორი კონფლიქტური რეგიონია, რაც გარდა პოლიტიკური პრობლემებისა, მნიშვნელოვნად აფერხებს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას.

კონფლიქტურ რეგიონებთან მიმართებაში არსებობს რამდენიმე მნიშვნელოვანი პრობლემა, რაც ზოგადად ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას მნიშვნელოვნად აფერხებს.

2004 წლამდე ერთ-ერთი ასეთი პრობლემა იყო ეკონომიკური საზღვრების დაუცველობა. კონფლიქტური რეგიონების გავლით მიმდინარეობდა კონტრაბანდული ვაჭრობა, რომელიც შიდა ბაზარს სრულიად დაუცველს ხდიდა და ხელს უწყობდა ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბების ზრდას. კონტრაბანდული ვაჭრობის აღმოფხვრა შესაძლებელი მას შემდეგ გახდა, რაც 2004 წელს ცხინვალთან მდებარე ერგნეთის ბაზრობა დაიხურა.

მეორე მნიშვნელოვანი პრობლემა დღემ-

დე აქტუალურია. შიდა კონფლიქტების შედეგად ათასობით ადამიანი უსახლკაროდ დარჩა. ქვეყნისთვის, რომელსაც მოკრძალებული ეკონომიკური შესაძლებლობები აქვს, დევნილებისთვის სოციალური მხარდაჭერის გაწევა რთული საქმეა.

კიდევ ერთი პრობლემა ის, რომ ეროვნული ვალუტა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე არ ვრცელდება. ქვეყნის ეკონომიკისთვის ეს დიდი დანაკარგია.

მეოთხე რიგის პრობლემა ეკონომიკურ სტაბილურობას უქმნის საფრთხეს – უკონტროლო რეგიონების არსებობა და აღნიშნული რეგიონებიდან მომდინარე სხვადასხვა ტიპის ესკალაციების მუდმივი შიში და იქ რუსული საოკუპაციო ჯარების არსებობა ქვეყნის ეკონომიკას ნაკლებად სტაბილურსა და მიმზიდველს ხდის, როგორც უცხოური ინვესტიციებისათვის, ისე ტურისტებისათვის.

არადა, ეკონომიკური და ბიზნეს ინტერესები ის სფეროა, რომელსაც მნიშვნე-

ლოვანი როლის თამაში შეუძლია კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოგვარების გრძელვადიან პროცესში.

საქართველოს აქვს კონკრეტული მაგალითები, თუ როგორ შეიძლება დიალოგის უზრუნველყოფა მოსახლეობის დაპირისპირებულ მხარეებს შორის, რომელთაც საერთო ეკონომიკური ინტერესები აქვთ.

ამის კარგი მაგალითი იყო ერგნეთის ბაზრობა. ეს სრულიად უკანონო წარმონაქმნი ეთნიკური ქართველებისა და ოსების დამაკავშირებელი ერთადერთი ნერტილი იყო წლების მანძილზე.

მეორე მაგალითი – ენგურჰესია. იქ დღესაც ერთობლივად მუშაობენ ქართველები და აფხაზები. ეს ადასტურებს, რომ თუ დაპირისპირებულ მხარეებს საერთო ეკონომიკური ინტერესები გაუჩნდებათ, მათ თანამშრომლობა შეუძლიათ.

საქართველოს ხელისუფლების მთავარი ამოცანაა ეს ეკონომიკური ინტერესები გააჩინოს.

დღეს ორ კონფლიქტურ რეგიონსა და დანარჩენ საქართველოს შორის არანაირი ტიპის ეკონომიკური ურთიერთობა არ არსებობს. ამ კონფლიქტების საომარი ფაზის დასრულების შემდეგ, საქართველოს ხელისუფლებამ აღნიშნული რეგიონების, ძირითადად, აფხაზეთის ეკონომიკური ბლოკადა გამოაცხადა.

დღეს დადგა დრო, როცა საქართველოს ხელისუფლებამ სტრატეგიული მნიშვნელობის გადანაცვები უნდა მიიღოს – კონფლიქტური რეგიონები ბლოკადის რეჟიმში დარჩებიან თუ მათთან ეკონომიკური თანამშრომლობა დაიწყება.

ამ გადანაცვებების მიღებისას საქართველომ უნდა გაითვალისწინოს, რომ იმ პირობებში, როდესაც ორივე კონფლიქტური რეგიონი კონფლიქტის მთავარ ინსპირატორს – რუსეთს ესაზღვრება, შეუძლებელია ეკონომიკური ბლოკადისგან დადებით შედეგებს ველოდეთ. ბლოკადის რეჟიმის გაგრძელების შემთხვევაში კიდევ უფრო გაიზრდება ამ რეგიონების რუსეთზე დამოკიდებულების ხარისხი. ბლოკადის მოხსნა კი საპირისპირო ეფექტს მოიტანს.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ საქართველომ თანმიმდევრული პოლიტიკა უნდა აირჩიოს. კანონი „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“, რომელიც საქართველომ აგვისტოს ომის შემდეგ მიიღო, მნიშვნელოვნად აფერხებს ეკონომიკური ტიპის ურთიერთობებს დანარჩენ საქართველოსა და მის კონფლიქტურ რეგიონებს შორის. ამავდროულად, ახალი სახელმწიფო სტრატეგია კონფლიქტებთან მიმართებაში, პირიქით, მხარს უჭერს ურთიერთობების განახლების შესაძლებლობას. საჭიროა მეტი თანმიმდევრულობა სახელმწიფოს მხრიდან.

ცხადია, იმ პირობებში, როცა ორივე რეგიონი რუსეთის მიერაა ოკუპირებული, რთული იქნება პირდაპირი კავშირების გაბმვა ამ ტერიტორიების ადგილობრივ ლიდერებთან. ეკონომიკური ურთიერთობების აღდგენისა და მოგვარების საკითხში საქართველოს აუცილებლად დასჭირდება შუამავლები საერთაშორისო თანამეგობრობისა და მსხვილი დონორების სახით.

იმისთვის, რომ საქართველომ დაამტკიცოს, რომ ახალი სტრატეგიის შესაბამისად, რეალურად მზადაა კონფლიქტურ რეგიონებთან ეკონომიკური ურთიერთობების განახლებისთვის, კონკრეტული ნაბიჯები უნდა გადაიდგას.

პირველ რიგში აუცილებელია სპეციალური ეკონომიკური ზონის შექმნა (შესაძლოა, თავისუფალი სავაჭრო ზონის). ეს კარგი საშუალება იქნება კონფლიქტით დაშორებულ მოსახლეობას შორის სავაჭრო ურთიერთობების აღსადგენად. ამ იდეის განხორციელებამდე დიდი ტექნიკური და სამართლებრივი საშუალოა ჩასატარებელი.

მაგალითად, ლოჯისტიკური პირობების უზრუნველყოფა, რათა მოსახლეობისათვის სპეციალური ეკონომიკური ზონით სარგებლობა ხელმისაწვდომი გახდეს. მაღალ დონეზე უნდა იყოს უზრუნველყოფილი სპეციალური ეკონომიკური ზონის მონიტორინგი, რათა ეს ტერიტორიები იარაღით ვაჭრობის, ნარკობიზნესის, თუ ყალბი ვალუტის გავრცელების წყაროდ არ იქცეს.

სპეციალური ეკონომიკური ზონების მოწყობა გალი-ზუგდიდისა და ცხინვალი-გორის ტერიტორიებზე შეიძლება. ეს სწორედ ის ტერიტორიული ერთეულებია, სადაც კონფლიქტის შემდგომ პერიოდშიც მიმდინარეობდა ადმინისტრაციული საზღვრების სხვადასხვა მხარეს დარჩენილ მოსახლეობას შორის „თავისუფალი ვაჭრობა“. ცხადია, ეს სამართლებრივი ჩარჩოების მიღმა ხდებოდა.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი, რომელიც ეკონომიკური ურთიერთობების აღდგენისკენ იქნება მიმართული, აფხაზეთთან სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენაა. რკინიგზა საშუალებას მისცემს დააჩქარებს ეკონომიკის ლეგალური სექტორის ამოქმედებას.

მესამე ნაბიჯია ყველა იმ ბიზნეს აქტივობის შესწავლა, რომელიც კონფლიქტის შემდგომ წარმოიქმნა და აღნიშნულ რეგიონებში განვითარდა. ამ მხრივ აფხაზეთია საინტერესო. კარგი იქნება აფხაზეთისთვის ისეთი ტიპის მხარდაჭერის შეთავაზება, რომელიც მათ ბიზნეს-ინიციატივებს უფრო ფართო შესაძლებლობებს მისცემს.

მეოთხე – კონფლიქტურ რეგიონებში მცხოვრებ ბიზნესმენტათვის სპეციალური შეთავაზება. კერძოდ, კონფლიქტურ რეგიონებში მოქმედ ბიზნესმენტებს, რომლებმაც შესაძლოა, სპეციალურ ეკონომიკურ

ზონებში საქმიანობა არ ისურვონ, შეიძლება შევთავაზოთ მათ მიერ წარმოებული პროდუქციის მსოფლიო ბაზარზე გატანა ზუსტად იმავე პირობებით, როგორც ეს ეხება იმ პროდუქციას, რომელიც დანარჩენი საქართველოს ტერიტორიაზე იწარმოება.

მაგალითად, აფხაზეთში წარმოებულ პროდუქციას ექნება შანსი საზღვარგარეთის ბაზრებზე გავიდეს, როგორც მსოფლიოს სავაჭრო ორგანიზაციის წევრი ქვეყნის პროდუქტია, ანუ ყველა მნიშვნელოვანი ბარიერის გარეშე და სხვადასხვა შეღავათებით.

გრძელვადიან პერსპექტივაში, ამ ნაბიჯების განხორციელების შემთხვევაში, დღის წესრიგში დადგება საქართველოსა და კონფლიქტური რეგიონების საგადასახადო და საბაჟო სისტემების უნიფიცირების, გადასახადების ჰარმონიზაციის საკითხებიც. ეს კარგი ნიადაგი იქნება ერთობლივი საბაჟო-საგადასახადო სისტემის შექმნისა და ფუნქციონირებისთვის.

მჭიდრო ეკონომიკური ურთიერთობები ავტომატურად მოითხოვს აღნიშნულ რეგიონებში როგორც დოლარის, ევროს, ასევე ლარის მინოდებას, რაც ნაწილობრივ დღის წესრიგში დააყენებს, როგორც მინიმუმ, სპეციალურ ეკონომიკურ ზონებში მანაც საქართველოს კომერციული ბანკების ფილიალების გახსნას.

შესაძლოა, ეკონომიკური ურთიერთობები თუ ბიზნეს-ინიციატივები კონფლიქტების მოგვარების ერთადერთი და უალტერნატივო საშუალება არ არის, მაგრამ ასეთი ტიპის ინიციატივები მნიშვნელოვნად დაახლოებს ერთმანეთთან არა მხოლოდ რიგით მოქალაქეებს, არამედ ბიზნეს ელიტების წარმომადგენლებსა და ადგილობრივ ლიდერებს. ყოველივე ეს კი, შესაძლებელია, კარგი საფუძველი იყოს პოლიტიკური მოლაპარაკებებისთვის. **■**

გიორგი აბაშიძე ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორი და დოქტორანტი ეკონომიკისა და ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით; ასევე, არასამთავრობო ორგანიზაცია "ახალგაზრდული რესპუბლიკური ინტელუტის" თავმჯდომარე



ფოტო: ლევან საჩხაძე

თეა თუთბერიძე, ივლისი 2010

განათლება

თუთბერიძე VS შაშინი

განათლების სამინისტროს თანამშრომლების წინააღმდეგ

პროკურატურაში სარჩელი შევიდა. განათლების მინისტრი კი მე-14 საჯარო სკოლაში მომხდარ დაპირისპირებაში სკოლის დირექტორს ადანაშაულებს.

რუსუდან ფანოზიშვილი

22 ივლისს, სამინისტროში პრეზიდენტის სტუმრობისას ეს სარჩელი განხილვის საგანი არ გამხდარა. პირიქით, შენობაში მოულოდნელად გამოჩენილმა მიხეილ სააკაშვილმა სამინისტროს თანამშრომლები ღირსების ორდენებით დააჯილდოვა. მანამდე სამინისტროს ახლად შექმნილ აპარატურას გაეცნო, ფოიეში განთავსებული „ვიდეო ბოქსი“ ლილაკს თითი დააჭირა და ეკრანზე გამოჩენილ ოპერატორ გოგონასაც ხალისიანად გაესაუბრა. შემდეგ განათლება ქვეყნის ნომერ პირველ საზრუნავად გამოაცხადა; ერთსა და იმავე განცხადებაში კი განათლების რეფორმას ჯერ დროულობა დაუწუნა – „განათლების სისტემა არ აკმაყოფილებს თანამედროვე გამოწვევებს, რომელიც საქართველოს აქვს“. რამდენიმე წუთის შემდეგ კი განათლების მინისტრს „თანმიმდევრული პოლიტიკისთვის“ მადლობა გადაუხადა.

თუმცა, განათლების სამინისტროს პო-

ლიტიკა გაცილებით უფრო პრობლემურია, ვიდრე მხოლოდ თანამედროვე გამოწვევებთან აცდენა – ასე ფიქრობს დირექტორთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი თეა თუთბერიძე, რომელიც მომავალ კვირას განათლების სამინისტროში ვიზიტს გეგმავს. ის აპირებს, სამინისტროში მივიდეს და წინასწარ მოთხოვნილ საჯარო დოკუმენტებს – სამინისტროს საბიუჯეტო გეგმას, შესყიდვების, სამტატო განრიგის და სხვა ფინანსური დეტალების შესახებ ინფორმაციას ადგილზე გაეცნოს. ეს შაშკინისა და მისი უწყების წინააღმდეგ მიმართული თუთბერიძის კამპანიის ნაწილია. სამშაბათს, 20 ივლისს მან განათლების მინისტრის წინააღმდეგ პროკურატურაში სარჩელიც შეიტანა. თუთბერიძე შაშკინს სამსახურებრივი მოვალეობის გადამეტებაში ადანაშაულებს. თეა თუთბერიძე და სკოლის იურისტი რევაზ რიყამაძე შაშკინს მე-14 საჯარო სკოლის ყოფილ დირექტორზე, ზვიად მიმინოშვილზე ზეწოლაშიც სდებენ ბრალს.

საქმე ზვიად მიმინოშვილის გადაყენების საკითხს ეხება. პროკურატურაში შესულ საჩივარს კი ფარული აუდიოჩანაწერი ერთვის, რომლის მიხედვითაც, სამინისტროს გენერალური ინსპექციის ხელმძღვანელი ირაკლი ანდრიაშვილი და „განათლების პროფესიული სინდიკატის“ ხელმძღვანელი ტატო შავშიშვილი მიმინოშვილისგან სკოლიდან წასვლას მოითხოვენ, თუმცა ამის მიზეზს არ უსახელებენ.

„პროფესიული სინდიკატის ხელმძღვანელი“ ტატო შავშიშვილი, რომელსაც სამინისტროს თანამშრომლებთან ერთად თუთბერიძე ასევე უჩივის „სიცოცხლის მოსპობის, ან ჯანმრთელობის დაზიანების, ანდა ქონების განადგურების მუქარის“ გამო, ამბობს, რომ ჯერჯერობით ამ საქმესთან დაკავშირებით არც ერთი სამთავრობო უწყებიდან არ შეხმინებია. განათლების მინისტრი კი ამ საქმეში მხოლოდ მე-14 სკოლის დირექტორის დანაშაულზე ლაპარაკობს. „არც ერთ სკოლის დირექტორს არ მივცემ უფლებას და შესაძლებლობას, ფინანსური მაქინაციებით მიითვისოს ბავშვების კუთვნილი თანხები, რომლებიც მათი განათლებისთვის არის გამოყოფილი“, – განუცხადა დიმიტრი შაშკინმა ტელეკომპანია „კავკასიის“ ჟურნალისტს, და ამით ორი კვირის წინანდელ საკუთარ განცხადებას დაუპირისპირდა: „მე-14 სკოლის დირექტორს არანაირი პრობლემები არ აქვს“, – ასეთი იყო მისი პასუხი ორი კვირის წინ, ხოლო მთელი ამ პერიოდის განმავლობაში მიმინოშვილის საქმესთან დაკავშირებით განათლების სამინისტრო მხოლოდ ასე პასუხობდა: მთელი ეს ამბავი და ჩანაწერი „სისულელეა“ და „სისულელეებზე კომენტარს არ ვაკეთებთ“.

მე-14 სკოლის დირექტორის დარღვევებს გენერალური ინსპექცია ორ კვირას იძიებდა. ინსპექციამ 28-გვერდიანი დასკვნა, რომელიც ზვიად მიმინოშვილის მიერ პროცედურულ დარღვევებზეა საუბარი, სკოლის ყოფილ სამეურვეო საბჭოსაც წარუდგინა. თუმცა ამ ბრალდებებს დამადასტურებელი დოკუმენტები არ ერთვოდა. თეა თუთბერიძე და მე-14 სკოლის ადვოკატი გენერალური ინსპექციის მიერ ზვიად მიმინოშვილისადმი წაყენებულ ბრალდებებს დაუსაბუთებელს უწოდებენ და გენერალური ინსპექციის ამ დასკვნასაც ასაჩივრებენ. **□**

ჯანდაცვა

უპასუხისმგებლო ექიმები

მაია მეცხვარიშვილი

ეს ისტორია ქუთაისში ჟურნალისტ მაია მეცხვარიშვილს გადახდა თავს. დედის დიაგნოზის დადგენაში მაიამ 5 საავადმყოფო მოიარა და მხოლოდ რვა თვის შემდეგ, უკვე ძალიან დაგვიანებით შეიტყო, რომ დედის გარდაცვალების მიზეზი არასწორი მკურნალობის კურსი იყო.

ამ ისტორიის ნაკითხვის შემდეგ, სავარაუდოდ, გაგიჩნდებათ აზრი, რომ აუცილებელი იყო იმ ექიმების უპასუხისმგებლობის საკითხის დაყენება, რომლებიც ვერ მიხვდნენ, რომ პაციენტის მდგომარეობა უარესდებოდა და ამ ყველაფერს საბედისწერო დასასრული ექნებოდა.

თუმცა, მაიას ექიმებისთვის არ უჩივლია და არგუმენტიც აქვს – „უპასუხისმგებლო ექიმებს ყოველთვის აქვთ ერთადერთი და ძალიან ცინიკური „ალიბი“ – ორგანიზმმა ვერ გაუძლო. მსგავს „ალიბის“ თითქმის ყველა შემთხვევაში იზიარებენ შესაბამისი ორგანიზაციები (სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტო, პროკურატურა, სასამართლო)... ამიტომაც მე ამ ორგანიზაციებისთვის არ მიმიმართავს და არც ვაპირებ“.

მაიას ასეთი გადანყვეტილების მიუხედავად, მაინც დაისმის რამდენიმე მნიშვნელოვანი კითხვა, რომლებზეც უპასუხის პოვნას „ლიბერალი“ შემდეგ ნომრებში შეეცდება. მათ შორის: რა ნორმებით რეგულირდება საქართველოში ექიმების უპასუხისმგებლობის საკითხი და არსებობს თუ არა მექანიზმები, რომლებიც პაციენტს ექიმების გულგრილობისა და უპასუხისმგებლობისგან იცავს? ჯანდაცვის სისტემაში დაწყებული რეფორმის მიუხედავად, რატომ არსებობს დღემდე კლინიკებში შავი ბულალტერია და რატომ უწევთ პაციენტებს მათთვის კუთვნილ მომსახურებაში ზედმეტი თანხის გადახდა?

გთავაზობთ მაია მეცხვარიშვილის წერილს, რომელიც პირველად ქუთაისის ყოველკვირეულ გამოცემაში, „ახალ გაზეთში“ გამოქვეყნდა.



უკანასკნელი რვა თვის მანძილზე ქუთაისში რამდენიმე კლინიკასთან და ამ კლინიკებში დასაქმებულ ე.წ. საუკეთესო ექიმებთან მომიხდა შეხება. მათ შორის არიან ქუთაისის სამხარეო კლინიკური საავადმყოფოს მთავარი ექიმი, ანგიოლოგი კოტე ხელაძე, აკადემიკოს ზურაბ ცხაკაიას სახელობის დასავლეთი საქართველოს ინტერვენციული მედიცინის ეროვნული ცენტრის დიაგნოსტიკური დეპარტამენტის ექიმი, მედიცინის დოქტორი რეზო შენგელია, ქუთაისის საექლესიო (№1) საავადმყოფოს თერაპიული განყოფილების გამგე, პულმონოლოგი ნანა ძიძიგური და სხვები. სხვებზე ცოტა ქვემოთ მოგასხევენთ, რადგან მათ ამ „საუკეთესოების“ სიბრტყეში არ განვიხილავ. ყველაფერი კი გასული წლის ნოემბერში დაიწყო, ამიტომაც ამბავს ქრონოლოგიურად გაიმბობთ.

პაციენტი შაქრიანი დიაბეტით იყო დაავადებული და შესაბამის მკურნალობას გადიოდა. გასული წლის ნოემბერში ის გულის უკმარისობამ შეაწუხა და ბინაზე ქუთაისის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადა გამოიძახა. ბრიგადის ექიმმა პაციენტს ურჩია გულის ექოსკოპიური გამოკვლევის ჩატარება, რის გამოც, მეორე დღესვე, 17 ნოემბერს ქუთაისში საუკეთესო კლინიკად ცნობილ – დასავლეთი საქართველოს ინტერვენციული მედიცინის ეროვნულ ცენტრს მივაშურეთ. პაციენტს შესაბამისი ულტრაბგერითი გამოკვლევა – ტრანსთორაკალური ექოკარდიოგრაფია აღნიშნული ცენტრის ექიმმა რეზო შენგელიამ ჩაუტარა. შენგელიამ დაასკვნა, რომ პაციენტს გულთან დაკავშირებული პათოლოგიები არ აღენიშნებოდა (განდევნის ფრაქცია, ანუ EF=55%, რაც ითვლება ნორმად). მისივე დასკვნის საფუძველზე (პაციენტს პლევრის ღრუებში, ორივე მხარეს აღმოაჩნდა სითხე: მარჯვნივ – 400მლ, მარცხნივ – 300მლ), დავიწყეთ ქალაქის საუკეთესო თერაპევტის ძებნა. დიდი ძებნა არ დაგვჭირვებია, რადგან ქუთაისში ამ კუთხით სახელგანთქმულად ითვლება ნანა ძიძიგური, რომელიც

ქუთაისის საექლესიო (№1) საავადმყოფოში მუშაობს თერაპიული განყოფილების გამგედ. ჩვენი პირველი ვიზიტი ძიძიგურთან გასული წლის 26 ნოემბერს შედგა. მისვლისთანავე დავასკვნით, რომ მართლაც საუკეთესო ექიმთან აღმოვჩნდით. ამ დასკვნამდე მიგვიყვანა ძიძიგურის კაბინეტის წინ პაციენტების რიგის ნახვამ. დაახლოებით სამსაათიანი ლოდინის შემდეგ მასთან შევალნიეთ. პაციენტის გასინჯვის შემდეგ ძიძიგურმა დაადგინა, რომ სითხე აღნიშნებოდა ორივე პლევრის ღრუში. შეკითხვაზე, თუ რამ გამოიწვია სითხის დაგროვება პლევრის ღრუებში, ექიმმა მოკლედ გვიპასუხა, – დიაბეტმა.

ძიძიგურმა დიაგნოზი დასვა (შაქრიანი დიაბეტი ტიპი 1, დეკომპენსირებული, დიაბეტური ნეფროპათია, ანგიოპათია, მიოკარდიოდისტროფია, გულის უკმარისობა მესამე ხარისხის+შეფუტება ღიდ წრეში, ჰიპერტონული დაავადება) და მკურნალობის კურსიც დანიშნა („ნონ-ბლონი“, „ლერკამენი“, „ფუროსემიდი“, „კალინორმინი“, „კარდიოფორსი“, „ენფოქსიმი“, „კოენზიმ Q“). ათი დღის შემდეგ, 7 დეკემბერს, ექიმის მითითების შესაბამისად, განმეორებით მივაკითხეთ ნანა ძიძიგურის კაბინეტს. რიგში მდგომი პაციენტების მრავალრიცხოვანი არმიის გავლის შემდეგ შევალნიეთ მასთან, სადაც მან პაციენტს ულტრაბგერითი გამოკვლევა ჩაუტარა. გამოკვლევის შედეგად ექიმმა დაასკვნა, რომ პაციენტის მდგომარეობა გაუმჯობესდა (მარჯვენა პლევრის ღრუში სითხემ 400-დან 100მლ-მდე მოიკლო, მარცხენაში კი – 300-დან 250-მდე). იგივე დასკვნის თანახმად, პაციენტს კარდიოლოგიური გართულებები არ აღენიშნებოდა. ძიძიგურმა ძველი დანიშნულება კიდევ 10 დღით გაგვიხანგრძლივა (მხოლოდ ამოიღო პრეპარატი „ენფოქსიმი“ და დამატებით „დიოტაქსი“ დანიშნა). 10 დღის შემდეგ, ანუ 18 დეკემბერს კვლავაც ძიძიგურის კაბინეტს მივაშურეთ. მორიგი ულტრაბგერითი გამოკვლევის შედეგად მან დასკვნაში ჩაწერა: მკვეთრად დადებითი დინამიკა, რაც გამოიხატა იმით, რომ მარჯვენა პლევრის ღრუში თავისუფალი სითხის რაოდენობა იგივე დარჩა (80-100მლ), მარცხენაში კი

250-დან 150მლ-მდე შემცირდა. ძიძიგურმა ამჯერად იგივე დანიშნულება 20 დღით გაახანგრძლივა. ჩვენი მორიგი ვიზიტი მასთან 21 იანვარს შედგა. იგივე ულტრაბგერითი გამოკვლევის შედეგად ძიძიგურმა ასეთი დასკვნა დანერგა: „მკვეთრად დადებითი დინამიკა, ორივე პლევრის ღრუ თავისუფალია“.

არადა, ამ დროს პაციენტი მდგომარეობის გაუარესებაზე ჩიოდა. საქმე ის არის, რომ აღნიშნული მკურნალობის პროცესში მას ქვედა კიდურების ცერები შეუწილდა, რის გამოც, დაუყოვნებლივ საუკეთესო ანგიოლოგი მოვიკითხეთ და ასეთად აღიარებულ კოტე ხელაძეს მივაკითხეთ 19 იანვარს, სამხარეო კლინიკურ საავადმყოფოში. ხელაძისგან შევეცადეთ დიაგნოზის გაგებას, მაგრამ ჩემს შეკითხვაზე, თუ რას შეიძლებოდა გამოენვია თითებზე სინითლე, მოკლე პასუხი მივიღე, – დიაბეტს. ამ უპასუხისმგებლო პასუხის კომპეტენტური ასხნა, ასევე, თბილისში მივიღე, მაგრამ სამწუხაროდ – გვიან... ქუთაისის „საუკეთესო ანგიოლოგმა“ ხელაძემ საკუთარი ხელით და თვალთ დახახუნის შემდეგ 10-დღიანი დანიშნულება მოგვცა („როქსიტასი 150მგ“, „დომინალი“, „ვესელ დუე F“, „მილდროქსინი“, „კამელინი“ და შესაბამისად „ბეტადინის“ მალამო). მკურნალობამ შედეგი არ გამოიღო და სინითლემ ფეხის თითებზე იმატა, საფრჩხილე ფალანგები კი დაჩირქდა. ზუსტად 10 დღის შემდეგ, 29 იანვარს ისევ მივაკითხეთ კოტე ხელაძის კაბინეტს. ხელაძემ, პაციენტთან და ჩვენთან შეუთანხმებლად, პაციენტს ორივე ცერზე ფრჩხილები ააჭრა, დანიშნულება შეცვალა (გამოწერა შემდეგი პრეპარატები: „ლინკომიცინისა“ და „ვესელ დუე F“-ის ამპულები) და ხუთი დღის შემდეგ დაგვიბარა შესამონმებლად. პაციენტის მდგომარეობა თანდათან მძიმდებოდა (ავადმყოფს უმატა გულის უკმარისობამ და მშრალმა ხველამ, სისუსტის გამო, ვეღარ ახერხებდა ფეხზე წამოდგომას), ამიტომ 30 იანვარს ისევ ნანა ძიძიგურს მივაკითხეთ. ძიძიგურმა ახალი 10-დღიანი დანიშნულება მოგვცა (სამდღიანი გადასხმა რინგერში გახსნილი ვიტამინებით – ორგანიზმის მოსაძლიერებლად, ლიბექსინი – ხველე-

ბისტვის და ფილტვებისა და ინფექციის-თვის – ანტიბიოტიკები „დარდუმი“ და „ლიკაცინი“. მხოლოდ 10 დღის შემდეგ აღმოვაჩინე, რომ აღნიშნულმა დანიშნულებამ პაციენტის მდგომარეობა კიდევ უფრო დაამძიმა. კი არ აღმოვაჩინე, ასე მითხრეს თავად ექიმებმა, ძიძიგურისა და ხელადის კოლეგებმა, მხოლოდ – პირად საუბრებში.

9 თებერვალს ტელეფონით დაუკავშირდი პროფესორ ალექსანდრე ქისტაურს თბილისში, რომელიც, როგორც აღმოვაჩინე, უშუალოდ დიაბეტური ტერფის ერთადერთი მკურნალი ყოფილა საქართველოში. როდესაც მას ტელეფონით პაციენტის ისტორია გავაცანი, მითხრა, რომ მის ქუთაისელ კოლეგას – გიორგი დევიძეს ენახა პაციენტი და მისგან მიეღო შესაბამისი ინფორმაცია. ასეც მოვიქეცი. გიორგი დევიძის მითითებით, განმეორებთ ჩავატარეთ პაციენტის ანალიზები, გულის ექოსკო-

ში გადაყვანა გვირჩია, რისთვისაც აქვე უდიდესი მადლობა მინდა გადავუხადო მას.

ასეც მოვიქეცი – იმავე დღეს გადავიყვანეთ პაციენტი თბილისში და მოვათავსეთ შპს „რკინგზის ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს“ ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში, პროფესორ ალექსანდრე ქისტაურის უშუალო მეთვალყურეობის ქვეშ. სწორედ ამ ადამიანთან ურთიერთობის შედეგად აღმოვაჩინე, თუ რამხელა ბედნიერებაა, როდესაც საქმე გაქვს პროფესიონალთან, ნამდვილ ექიმთან, რომლის მთავარი საზრუნავი პაციენტის მდგომარეობის გაუმჯობესებაა და არა – გამოჩენა და გამოხალგა. როდესაც პროფესორ ქისტაურს ვაჩვენე ყველა ის გამოკვლევა და დანიშნულება, რაც ქუთაისში მიიღო პაციენტმა, რამდენიმე შეკითხვა დასვა, სხვათა შორის ის შეკითხვები, რაც მე თავის დროზე დავუსვი ნანა ძიძიგურსაც

გამო დამძიმა) და სწორედ ამ კუთხით უნდა წარმართულიყო მკურნალობა და არა ისე, როგორც ეს ნანა ძიძიგურმა გააკეთა. ძიძიგურის დანიშნულებით პაციენტი მთელი ორი თვის მანძილზე იღებდა პრეპარატ „კალინორმინს“, ისე, რომ ექიმს არასდროს მოუთხოვია შესაბამისი ანალიზი ელექტროლიტებზე. როდესაც პაციენტი თბილისში, ზემოთ აღნიშნულ სტაციონარში მოთავსდა, ეს ანალიზი ჩაუტარდა და აღმოჩნდა, რომ კალიუმის რაოდენობა ნორმას ბევრად აჭარბებდა (ნორმის ზედა ზღვარი არის 5.5მმოლ/ლ, მას კი აღმოაჩნდა 6.2მმოლ/ლ). კალიუმის ჭარბი რაოდენობა კი, როგორც თბილისში ექიმებმა განმიმარტეს, გულის გაჩერებას იწვევს. ამას გარდა, ძიძიგურის დანიშნულებით, პაციენტი მთელი ორი თვის მანძილზე იკეთებდა ისეთ ანტიბიოტიკებს, რომლებიც უკუჩვენების სახით იწვევენ თირკმლის უკმარისობას, რაც დიაბეტით დაავადებული პაციენტებისთვის უკიდურესად საშიშია. ძიძიგურს რომ ამ უკუჩვენებებზე არ უფიქრია, ის ფაქტიც მიუთითებს, რომ მას არასდროს მოუთხოვია პაციენტის ანალიზი კრეატინინზე, რომლითაც დგინდება თირკმლის უკმარისობის გამოსატყულება. რაც შეეხება ხელადის დანიშნულებას, ამასთან დაკავშირებით პროფესორმა ქისტაურმა პირდაპირ მითხრა, რომ „სულ ტყუილად ვუკეთე პაციენტს „ვესელ დუე F“ და ვასვი „კამელინი“, რადგან, მისი თქმით, ეს პრეპარატები დიაბეტური ტერფის გამოხატულ პათოლოგიებზე არაეფექტურია.

ერთი სიტყვით, თებერვალში სიკვდილსიკოცხლის ზღვარზე მყოფი პაციენტი პროფესორმა ქისტაურმა გადაარჩინა, თუმცა დაგვიანების გამო (დაგვიანებად კი ჩათვალა ზემოთ აღნიშნული ქუთაისელი ექიმების მიერ ჩატარებული არასწორი მკურნალობა) მან ვეღარ მოახერხა მარცხენა ქვედა კიდურის ცერის შენარჩუნება. ასევე, საკმაოდ დაგვიანებული აღმოჩნდა კარდიოთერაპია, თუმცა პაციენტის მდგომარეობა ამ მხრივაც გაუმჯობესდა, რადგან ამ კუთხით მკურნალობის პროცესში თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის

■ რამდენიმე წუთში მეც რეანიმაციისკენ წავედი და როდესაც

განყოფილების კარი შევაღე, აპარატის გაბმული ხმა და დავით

ჯანაშის ყვირილი გავიგონე: „სადა ხარ, გოგო, აქამდე!“

იმავდროულად ექიმებმა რეანიმაციული განყოფილებიდან გასვლა

მთხოვეს. რამდენიმე წუთში შევიტყვე, რომ პაციენტი გარდაიცვალა.

პიური გამოკვლევა, ფილტვების რენტგენოგრაფია, ასევე, პაციენტს ჩაუტარდა ქვედა კიდურების სისხლძარღვების ტრიპლექს-სკანირება და მარჯვენა კიდურის ტერფის რენტგენოგრაფია. გამოკვლევების შედეგად აღმოჩნდა, რომ პაციენტის მდგომარეობა ყველა მიმართულებით უკიდურესად გართულებული და დამძიმებული იყო (პლევრის ღრუებში სითხე გროვდებოდა ორმხრივად 1000 მლ-მდე, განდევნის ფრაქცია, იგივე გულის კუმშვადაობა შემცირებული იყო 55-დან 42%-მდე, შესაბამისად, დაფიქსირდა მარცხენა პარკუჭისა და ორივე წინაგულის დილატაცია). გიორგი დევიძემ გვითხრა, რომ „ეს ქუთაისის დონის პაციენტი“ არ იყო და მისი დაუყოვნებლივ თბილის-

და კოტე ხელაძესაც: თუ რამ გამოიწვია პლევრის ღრუში სითხის ჩადგომა და ფეხის თითებზე სინითლე და შემდეგ დარჩევა. ამ შეკითხვებზე მე ქუთაისში მარტივად მიპასუხეს ზემოთ ხსენებულმა ექიმებმა, – დიაბეტმა. სინამდვილეში კი, როგორც პროფესორმა ქისტაურმა მითხრა, პლევრის ღრუში სითხის ჩადგომა განპირობებული იყო კარდიალური პრობლემებით (რაც თითქმის წარმოუდგენელი იყო, რომ სამი თვის შუალედში ასე მკვეთრად გაუარესებულიყო მკურნალობის ფონზე: კომპეტენტური ექიმების ვარაუდით, ან შენგელიას მიერ 2009 წლის 17 ნოემბერს დაწერილი დასკვნა იქნებოდა მცდარი, ან მდგომარეობა სამ თვეში რადიკალურად არასწორი მკურნალობის

ალ.ალადაშვილის სახელობის კლინიკის კარდიოლოგიური განყოფილების გამგე, შალვა პეტრიაშვილი ჩაერთო.

სტაციონარული მკურნალობა პაციენტმა თბილისში 22 თებერვალს დაასრულა, რის შემდეგაც ქუთაისში დაბრუნდით. მკურნალობის კურსი ბინაზე გაგრძელდა, თუმცა პერიოდულად ისევ გვინევდა თბილისში ჩასვლა შესაძლებლად. ქუთაისში მხოლოდ რამდენიმე ექიმთან დავამყარეთ კონტაქტი, რომლებიც, მაღლობა ღმერთს, არსებობენ ქალაქში. მათ შორის არიან კლინიკა „ლ&ჯ“-ის ენდოკრინოლოგი ნინო დლოიძე და ქუთაისის საეკლესიო (№1) საავადმყოფოს ჩირქოვანი ქირურგიის განყოფილების გამგე გიორგი დევიძე, მაგრამ ცალკეული ექიმები რომ ამინდს ვერ ქმნიან, ეს მიმდინარე წლის 24 ივნისსაც დადასტურდა...

24 ივნისს, ქუთაისის საეკლესიო (№1) საავადმყოფოში პაციენტს ოპერაცია ჩაუტარდა: მას მარცხენა კიდურის ამპუტაცია ესაჭიროებოდა. ოპერაციას გიორგი დევიძე ატარებდა, თუმცა გამომდინარე იქიდან, რომ პაციენტის საერთო მდგომარეობა მძიმე იყო (ორმხრივი პნევმონია, მარცხენა გულის დილატაცია), მას წინა დღით ყველა შესაბამისი გამოკვლევა და ანალიზი ჩაუტარდა. გიორგი დევიძემ წინასწარ მაცნობა, რომ პაციენტის რთული მდგომარეობის გამო, არსებობდა მაღალი რისკი, გადაიტანდა თუ არა ის ოპერაციას, თუმცა იქვე მითხრა, რომ ოპერაციას არ გააკეთებდა, თუკი გამოკვლევების შედეგებს არ შეათანხმებდა დავით ჯანაშიასთან (რომელიც ოპერაციაზე უნდა შესულიყო, როგორც ანესთეზიოლოგი) და ერთობლივად არ შეჯერდებოდნენ იმაზე, რომ 50%-იანი შანსი მაინც ექნებოდათ პაციენტის გადარჩენის... ოპერაცია დღის 12 საათზე დაიწყო. სპინალური ანესთეზიის გაკეთებიდან 15 წუთის შემდეგ, როდესაც ქირურგმა ოპერაციის გაკეთება დაიწყო, პაციენტმა სუნთქვა გააჩერა, დაუვარდა წნევა და დადგა კლინიკური სიკვდილი.

მე არ ვიცი, რა ხდებოდა მთელი 2 საათის განმავლობაში საოპერაციო ბლოკში, ვიცი მხოლოდ თვითმხილველთა მონათხრობი, რომ ჯანაშიას ძალისხმევით, პაციენტისთვის წნევის დარეგულირება მოხერხდა, იგი გადაიყვანეს მექანიკური მართვის სუნთქვის რეჟიმზე და ოპერაცია გაგრძელდა. დაახლოებით 14:00 საათზე ოპერაცია დასრულდა. როგორც ქირურგმა მითხრა, ოპერაციის შემდეგ პაციენტს გადაიყვანდნენ რეანიმაციულ ბლოკში და დაუდგამდნენ მართვითი სუნთქვის აპარატს. ამასობაში პაციენტი საოპერაციო ბლოკიდან გამოიყვანეს და რეანიმაციის მიმართულებით წაიყვანეს... რამდენიმე წუთში მეც რეანიმაციისკენ წავიდი და როდესაც განყოფილების კარი შევალე, აპარატის გაბმული ხმა და დავით ჯანაშიას ყვირილი გავიგონე: „სადა ხარ, გოგო, აქამდე!“ იმავდროულად ექიმებმა რეანიმაციული განყოფილებიდან გასვლა მთხოვეს. რამდენიმე წუთში შევიტყვე, რომ პაციენტი გარდაიცვალა, ოფიციალური ინფორმაციით, ფილტვისა და გულის უკმარისობით... არაოფიციალურად კი არაერთი ვარაუდი მოვისმინე (რომ რეანიმაციოლოგებმა დააგვიანეს, რომ ოპერაცია გარდაცვლილს გაუკეთეს და ა.შ.), მათ შორის ისიც, ყველაზე მყარ ალიბად რომ იყენებენ ექიმები – „ორგანიზმმა ვერ გაუძლო“... ჰო, ალბათ, ვეღარ გაუძლო იმ ექსპერიმენტებს, რასაც მასზე ატარებდნენ ძიძიგური, ხელაძე და მათი მსგავსნი...

ბოლოთქმა: ქუთაისის საეკლესიო (№1) საავადმყოფოში, რომელსაც სხვათა შორის ქუთაისის ახლად არჩეული საკრებულოს წევრი დავით ჯანაშია ხელმძღვანელობს, პირდაპირ მითხრა ლაბორატორიის ერთ-ერთმა თანამშრომელმა, რომ „შვებულატორიაში“ უნდა შემეტანა ფული. საქმე ის არის, რომ ზემოთ აღნიშნული ოპერაცია ფინანსდებოდა ჯანდაცვის სამინისტროს ურგენტული პროგრამით. თუმცა, როდესაც პაციენტს საოპერაციოდ ამზადებდნენ და წინასწარი ანალიზები ჩაუტარეს, რაც შედის აღნიშნული პროგრამის დაფინანსების ფარგლებში, ლაბორატორიის წარმომად-

გენელმა მითხრა, რომ 25 ლარი უნდა გადამეხადა. „ეს არის ლაბორატორიისთვის საჭირო პრეპარატების ფული“, – მითხრა მან. ჩემს შეკითხვაზე, შედიოდა თუ არა პრეპარატების ფული ანალიზებზე დაწესებულ ტარიფებში, რასაც სახელმწიფო პროგრამა ანაზღაურებდა, ლაბორატორიის თანამშრომელმა ვეღარ დამიმალა და პირდაპირ მითხრა: ასე ვთქვათ, შავი ბულალტერიია რა, და თუ გადაიხდით, მაღლობელი ვიქნებითო.

ამავე საავადმყოფოში, ისე როგორც ქუთაისში მოქმედ ყველა სხვა კლინიკაში, პირველსავე სართულზე დგანან დაცვის თანამშრომლები, რომლებსაც მთავარი ექიმებისგან დავალებული აქვთ, რომ რეგისტრაციურიდან გაცემული შესაბამისი ქვითრის გარეშე, არ გაატარონ პაციენტები, თუმცა ეს წესები ყველა ექიმთან დაკავშირებით მოქმედებს: მაგალითად, ნანა ძიძიგურის კაბინეტში ცალკე ზის ე.წ. „რეგისტრატორი“ და იქვე ხდება თანხის გადახდა, მიმღებ განყოფილებაში კი ისტორიის გახსნის ღირებულებას – 10 ლარს ისე ახდენენ პაციენტებს, რომ შესაბამის ქვითარს არავინ იძლევა...

რაც შეეხება სამხარეო კლინიკურ საავადმყოფოს, იქ დაცვის და რეგისტრატორის თანამშრომლები, შესაბამისი ქვითრის გარეშე, ყველა იმ პაციენტს ატარებენ, რომლებიც საავადმყოფოს მთავარ ექიმთან, კოტე ხელაძესთან არიან ვიზიტზე. ხელაძე, რომელიც, წესით, სხვა თანამშრომლებს უნდა მოუწოდებდეს ხელზე ფულის აღების აკრძალვისაკენ, ამ საქმიანობას თავად ეწევა. აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ ექიმებს ცალკე, დამატებით ბიზნესად აქვთ ქცეული ფარმაცევტულ კომპანიებთან გარიგებები. მსგავსი გარიგებების თანახმად, ექიმები პაციენტებს აძლევენ სპეციალურ ე.წ. ფასდაკლების ბარათებს კონკრეტულ მედიკამენტებზე, რომლებიც მოქმედებს კონკრეტულ აფთიაქებში. როდესაც პაციენტი ამ ბარათით მიდის აფთიაქში, აფთიაქის თანამშრომელი ინიშნავს ექიმის სახელსა და გვარს, რის შემდეგაც ეს უკანასკნელი გარკვეულ პროცენტულ სარგებელს იღებს აღნიშნული აფთიაქიდან... [A]

ანიმაცია

ქართული ანიმაცია "შხაჩის" ეპოქაში

მოძრავი ნახატი 90-იანი წლების შემდეგ „ამოძრავებს“ ჯერ კიდევ ნელი ტემპით ცდილობს.

ნათია გულაიშვილი



თამარა კალხიტაშვილის ილუსტრაციები



ტომა ბეგიაშვილის ილუსტრაციები

2011 წელს მეთორმეტედ გაიმართება ევროპელი ანიმატორებისა და პროდიუსერების უზარმაზარი ფორუმი, რომელზეც 30-ზე მეტი ქვეყნის 600-მდე ანიმატორი და 200-მდე ინვესტორი ახალი ანიმაციური ფილმების გადასაღებად ხელშეკრულებებს გააფორმებენ. მონაწილეებისთვის რეგისტრაციის ბოლო ვადა წელს, ნოემბერშია.

თუმცა, ეს თარიღი არაფერს ნიშნავს ქართველი ანიმატორებისთვის. მათ მსგავს ფორუმებში მონაწილეობა თითქმის არასდროს მიუღიათ. მრავალმილიონიანი მოგების მქონე „შრეკისა“ და „რატატუსი“ ეპოქაში მათი სახელი დაკარგულია არა მარტო მსოფლიო ანიმაციისთვის, არამედ – საქართველოსთვისაც.

ბოლო პოპულარული ქართული ანიმაციური ფილმი, „ბატი ტასიკო“ 1984 წელსაა გადაღებული. რეჟისორ დავით სიხარულიძის ამ ნამუშევრის შემდეგ თითქმის 25 წლის მანძილზე, რამდენიმე ტელე-ანიმაციური პროექტის გარდა, საქართველოში თითქმის არაფერი გადაუღიათ.

„1990-იან წლებში, როცა მთელი ინფრასტრუქტურა მოიშალა, დაფინანსების გარეშე, ანიმაციის გადაღება შეუძლებელი გახდა. იმ წლებში მხატვრული კინო საჭიროებდა უფრო დიდ მხარდაჭერას, ამიტომ ანიმაცია მაშინ ვერ გახდა პრიორიტეტული“, – განმარტავს გოჩა ჟორჯოლიანი, კინოცენტრში სახელმწიფო სუბსიდირების მიმართულების უფროსი.

ინფრასტრუქტურის მოშლამდეც ქართული ანიმაციური ფილმების წარმატების ერთადერთი საზომი მხოლოდ მათი პოპულარობა იყო, და არა – ფინანსური მოგება. საბჭოთა ხელისუფლება ანიმატორებს სრულად უფინანსებდა სამუშაო პროცესს, მაყურებელამდე კი ფილმები ორი სახით მიდიოდა – ტელეეთერითა და კინო-თეატრებში, მხატვრული ფილმის დაწყებამდე, ე.წ. „ჟურნალის“ სახით.

ფინანსური საყრდენის გამოცლის შემდეგ კი ანიმაცია წამგებიან და არაპოპულარულ დარგად იქცა. უტოპიურიც კი იყო, ოჯახის რჩენის პრობლემის წინაშე მდგარ ანიმატორებს ფილმი მხოლოდ ენთუზიანებზე ეკეთებინათ. ამიტომაც, ანიმაცია ტელევიზიისა და სარეკლამო რგოლების ექსკლუზივი გახდა.

სწორედ ამ წლებში გახდა ძალიან პოპულარული ტელეკრანზე გამოჩენილი ანიმაციური სერიალი „დარდუბალა“, მაგრამ მისი პოპულარობის უმთავრესი მიზეზი პოლიტიკური ქვეტექსტი იყო, ანიმაცია კი ასრულებდა მხოლოდ ფეექტურ როლს ალეგორიისთვის. შესაბამისად, ამ პოპულარულ და წარმატებულ პროექტს მხატვრული ანიმაციის განვითარებაზე გავლენა არ მოუხდენია. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ 2005 წლამდე საქართველოში მხატვრული ანიმაციური ფილმი საერთოდ არ გადაღებულა.

ორი წლის წინ კი, როცა პროდიუსერმა

■ ბოლო პოპულარული ქართული ანიმაციური ფილმი, „ბატი ტასიკო“ 1984 წელს გამოვიდა. მას შემდეგ, თითქმის 25 წლის მანძილზე, საქართველოში თითქმის არაფერი გადაუღიათ.

ზურაბ დიასამიძემ ანიმაციის ჩეხურ ფესტივალ „ზლინზე“ ქართული ნამუშევარი გაგზავნა, ფესტივალის კატალოგში საქართველო ძველი, ალისფერი დროში აღნიშნეს.

„იმდენად არ გვიცნობენ ამ კუთხით, რომ მსოფლიოს ისევ ძველ საქართველოში ვახსოვართ“, – ამბობს ზურაბ დიასამიძე.

კინონარმოვებაზე მზრუნველ ერთადერთ სახელმწიფო ფონდში – ეროვნულ კინოცენტრში – ანიმაციის არსებობა პირველად 2005 წელს გაიხსენეს და დაფინანსების კონკურსში ანიმაციური პროექტებიც ჩართეს, თუმცა – მხატვრულ და დოკუმენტურ კინოსთან ერთად. ეს კი დაახლოებით იგივეა, ბალეტისა და ოპერის კონკურსი რომ ერთად ჩატარდეს.

მიუხედავად იმისა, რომ, უკვე სამი წელია, კინოცენტრი ანიმაციური პროექტებისთვის კონკურსს უკვე ცალკე აცხადებს და წელს დაფინანსებაც 100-დან 250 ათას ლარამდე გაიზარდა, ანიმაციური ფილმების გადაღე-

ბის მაჩვენებელი არ გაზრდილა. 2008 წელს, როდესაც პროდიუსერ ზურაბ დიასამიძის ინიციატივითა და კულტურის სამინისტროს ფინანსური დახმარებით, ანიმაციის ლატვიური ფესტივალი „ბიმინი“, ორგანიზატორების თანხმობით, რიგის ნაცვლად, ბათუმში ჩატარდა, მასზე ერთადერთი ჯგუფის მიერ გაკეთებული 4 ზღაპარი მოხვდა, სხვა ქართველ ანიმატორებს კი ფესტივალში მონაწილეობა არ მოუღიათ. „იცი, ეს რატომ მოხდა? იმიტომ, რომ სინამდვილეში ფილმები უბრალოდ არ არსებობდა, ან რაც არსებობდა, არაფრად ვარგოდა. მაშინ დაინახეს საქართველოში, რომ თურემ ანიმაციაში მართლა არაფერი კეთდება“, – ამბობს ზურაბ დიასამიძე.

დიასამიძე, რომელიც მოსკოვის კინოსტუდიის საპროდიუსერო ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ საქართველოში 2005 წელს დაბრუნდა, ამბობს, რომ ქართველი ანიმატორებისთვის მთავარი პრობლემა დღეს დაფინანსებაა, ხოლო სრულმეტრაჟიანი, ხარისხიანი ანიმაციის გადაღებამდე „ფორმაში მოსასვლელად“ პატარა პროექტებზე ინტენსიური მუშაობა სჭირდება.

ერთ-ერთი ასეთი პროექტია კერძო სტუდიის Lira production-ის მიერ გადაღებული 4-წუთიანი ანიმაცია „ვაკუმი“, რომელმაც კინოცენტრის 100 ათასი ლარი 2005 წელს გამოცხადებულ კონკურსში მიიღო. მიუხედავად იმისა, რომ, ტექნიკური თვალსაზრისით, მრავალწლიანი უმოქმედობის ფონზე, ამ მოკლემეტრაჟიანი ფილმის ვიზუალური მხარე, ანუ მხატვრობა და პროგრამული შესრულება მაყურებლისთვის შეიძლება მოსალოდნელზე უკეთესიც იყოს, სურათი კარგად წარმოაჩენს იმ კრიზისს, რაც ამ დარგს და მასში მომუშავე სხვადასხვა პროფესიის ადამიანებს აქვთ. სულხან-საბას „ძუნწი და ოქროს“ მოტივებზე შექმნილი სცენარი, რომელიც დროიდან ამოვარდნილს უფრო ჰგავს, ვიდრე ადაპტირებულს, სიუჟეტის, დრამატურგიის განუვითარებლობით, კულმინაციის ეფექტის მუსიკის ხმის აწევით და მსგავსი ხერხებით, ისეთ შთაბეჭდილებას ქმნიდა, რომ ფილმის შექმნელებმა ამ საქმეს ხელი პირველად მოჰკიდეს.

მხატვრულ ანიმაციაში სარეკლამო რგოლებიდან და ტელევიზიიდან პროფესიონალები ჯერაც არ დაბრუნებულან და არც ისეთი ახალი სახეები გამოჩენილან, რომელ-

ბიც მნიშვნელოვან ანიმაციურ პროექტებს შექმნიდნენ. ორი პოპულარული ანიმაციური ტელეპროექტის „დარდუბალასა“ და „სამსონაძეების“ ავტორი, შალვა რამიშვილი ამას იმით ხსნის, რომ ანიმატორებს ჯერაც არ შეუძლიათ ფილმის გასაკეთებლად საჭირო ფინანსების დამოუკიდებლად მოძიება და დახმარებას სახელმწიფო ფონდებიდან ითხოვენ. ის მიიჩნევს, რომ თუკი, სახელმწიფო დაფინანსებს ანიმაციას, ეს „დარგის განვითარებას“ ხელს სულაც არ შეუწყობს.

„მე ანიმაციის ვუყურებ, როგორც ბიზნესს, ვიცი, რა მოენონება მასას. შეგიძლიათ, ამას კიჩი დაარქვათ. არ მესმის, ანიმატორები რატომ წუნუნებენ დაფინანსებაზე. თუ კარგი ანიმატორი ხარ, სახელმწიფოს კი არ უნდა ავალდებულებდე, უნდა შეძლო და კერძო ბიზნესმენი თუ კომპანია დააინტერესო შენი პროდუქტით“, – დასძენს რამიშვილი და ამბობს, რომ ვიდრე სხვები სახელმწიფო სუბსიდირებას ელიან, თვითონ, კინოთეატრ „რუსთაველის“ შეკვეთით, უკვე უპრეცედენტო პროექტზე მუშაობს. „ეს იქნება პირველი ქართული სრულმეტრაჟიანი 3D ანიმაცია და გარწმუნებთ, ის კომერციულადაც წარმატებული იქნება“.

შალვა რამიშვილი ამბობს, რომ მისთვის ამ დარგის განვითარებაში სახელმწიფოს ჩარევა მხოლოდ პროფესიული განათლების კუთხით არის დასაშვები, რაც ობიექტურად პრობლემაა.

სამხატვრო აკადემიის ყოფილი სტუდენტი იულია გონობოლინა ამბობს, რომ ანიმაციის კურსს მათთან ძალიან ცოტა დრო ეთმობოდა. ამას გარდა, სტუდენტებს მხოლოდ იმის შესაძლებლობა აქვთ, რომ ანიმაციური ფილმის დამდგმელი მხატვარი გახდნენ, ნახატის ამოძრავების მაგიურ პროცესს კი იქ ვერ სწავლობენ. მეორე მხრივ, თეატრალურ ინსტიტუტში ანიმაციური კინოს რეჟისურა ისწავლება. ეს გაყოფა საბოლოოდ არაეფექტურია და დამდგმელი მხატვარიც, რომელსაც კადრების ამოძრავება არ შეუძლია, შეიძლება არასდროს მიიწვიონ ფილმის დამდგმელად.

ამიტომ კიდევ უფრო მნიშვნელოვანია კერძო ანიმაციური სტუდიების არსებობა. ერთ-ერთს მხატვარი ზაალ სულაკაური უძღვება, სტუდიაში ბავშვებს ნახატის ამოძრავების ტექნიკას ასწავლის და იმედი აქვს, მათგან სამომავლოდ ძლიერ გუნდს შექმნის.

1990-იანი წლებიდან მუშაობს ბავშვებთან მხატვარი ნოდარ ბეგიაშვილიც. პირველი არხის ტელევიზორი-ბიჭუნა სახელად „ტელევიზორი“ – 1990-იანი წლების ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო საბავშვო პროექტი იყო. პერსონაჟი „ტელევიზორი“ ბავშვების ნახატებს ფოსტით იღებდა, აცოცხლებდა და ამბებს აყოლებდა. ერთუზიანობით გაკეთებულ 12 გადაცემაში, რომელსაც ბეგიაშვილი და მისი მეგობარი ანიმატორები ასრულებდნენ, თითოეულმა სულ 20 დოლარი აიღო. „იმდენსაც ვერ მივალნი, რომ 5000-იანი ბიუჯეტი გვეკონოდა, მხოლოდ იმისთვის, რომ ადამიანებისთვის, რომლებიც მეხმარებოდნენ, საარსებო ფული გადაეხადა“, – იხსენებს ბეგიაშვილი.

ბეგიაშვილი ორიგინალურ პროექტებზე დღესაც ერთუზიანობით მუშაობს, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში დადის, ბავშვების ხმებს იწერს და მათ შესრულებულ „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციებს აგროვებს, რომ მერე ისინიც გააცოცხლოს. ამ მიზნით ფერიდნელ ბავშვებთანაც ჩავიდა. მიუხედავად იმისა, რომ მსგავსი პროექტები კინოცენტრის გამოცხადებულ ყველა კონკურსზე გაგზავნა, ვერც ერთხელ ვერ გაიმარჯვა: „არ ვიცი, იქ რა ხდება და რა ნიშნით არჩევენ პროექტებს, ან რატომ არაა სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვანი ფერიდანთან ასეთი კულტურული ურთიერთობები“.

კინოცენტრში პრობლემის მოგვარების ერთადერთი ხერხი აქვთ – ანიმაციური ფილმების შედარებით გაუმჯობესებული დაფინანსება. თუმცა, დარგის განსავითარებლად 250-ათასიანი ბიუჯეტიც არასაკმარისია. რაც უფრო დახვეწილი ტექნოლოგიით კეთდება მსოფლიოში ანიმაცია, მით უფრო იზრდება გადაღების ხარჯებიც. ჩვენთან კი, სწორედ ტექნიკის უქონლობის გამო, დღემდე შეუძლებელია „შრეკის“ დონის ფილმის გადაღება. „ჩვენთან ამის გაკეთება ფიზიკურად შეუძლებელია. არც სანარმოო მოცულობა და არც სიმძლავრე არ გვეყოფნის იმისთვის, რომ სრულფასოვანი ანიმაციური ფილმები ვანარმოოთ“, – ამბობს გიორგი ყორყორიანი.

ქართული ანიმაცია „გამყინვარების“ პერიოდიდან დაფინანსების, განათლებისა და ანიმატორების აქტიურობის შესაბამისი ტემპით გამოდის – ნელი და სპორადული ნაბიჯებით. **■**



ქალები ტანდარტოზში

ნინია კაკაბაძე

„ქალი იმისია, რომ უნდა ავიტანოთ ყველაფერი, აბა, მა რა მოხელები ვართ?! მე რა, რომ სცემდეს ქმარი! ალბათ იმსახურებს ზოგი ქალი, რომ ქმარმა სცემოს“, – ეუბნება ქუჩაში შემთხვევით გაჩერებული რესპონდენტი გადაცემა „აუდიტორიის“ ჟურნალისტს. ტოკ-შოუს 20 ივლისის გადაცემა პირველ არხზე ქალებზე ძალადობის პრობლემის განხილვას მიეძღვნა. ერთი მხრივ კარგია, როდესაც ვინცებთ საუბარს ამ პრობლემებზე, თუმცა, მეორე მხრივ ჩნდება კითხვა, შეიძლება თუ არა ასეთმა სატელევიზიო პროგრამებმა, სარგებლის ნაცვლად, ზიანი მოიტანოს?

რამდენიმე დღის წინ, გაერო-ს მოსახლეობის ფონდის ინიციატივით, მოენყო მრგვალი მაგიდა, მედიაში გენდერული საკითხების გაშუქების პროფესიული სტანდარტების დამკვიდრების შესახებ. მთავარი მიზანი იყო იმ სამუშაო ჯგუფის შექმნაზე შეთანხმება, რომელიც მედია ექსპერტებთან, ჟურნალისტებთან და სამოქალაქო საზოგადოებასთან ერთად შეიმუშავებს ცვლილებათა პაკეტს „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ქცევის კოდექსსა და მაუწყებელთა ქცევის კოდექსში.

„საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ქცევის კოდექსში ერთ-ერთი ყველა-

ზე სუსტი, სწორედ ამ პროფესიული სტანდარტის გამომხატველი ქვეთავია. „მიუხედავად იმისა, რომ ბოლო დროს ქალებისადმი დამოკიდებულება რადიკალურად შეიცვალა და დღევანდელ საქართველოში ქალები საკმაოდ აქტიურ ცხოვრებას ეწევიან, ჯერ კიდევ არის შემორჩენილი სტერეოტიპები, რომლებიც ბევრი ქალისათვის შეურაცხყოფელია. ქალებზე მსჯელობისას უნდა მოვერიდოთ სექსისტური გამოთქმების გამოყენებას, სექსისტური შეფასებებისა თუ შედარებების გაკეთებას. მაგალითად, ქალის ისეთი დახასიათება, როგორცაა: „კაცს ტოლს არ უდებს“, „კაცივით ჭკვიანია“ და სხვ., ზოგმა ქალმა შეიძლება შეურაცხყოფად აღიქვას“ (მუხლი 15, ქვეთავი 7 „ქალები“).

კოდექსში არაფერია ნათქვამი მსხვერპლი ქალის უფლებებზე და ეკრანზე მისი გამოჩენის შესახებ. მითითება: „ზოგმა ქალმა შეიძლება შეურაცხყოფად აღიქვას“, თავისთავად არასრულფასოვანია, რადგან საქმე არა ზოგი ქალის უფლებას, არამედ ეთიკის ნორმის დაცვას ეხება. ჟურნალისტს ზოგადად მართებს, იყოს კორექტული და არა მხოლოდ ზოგიერთი ქალის მიმართ.

სწორედ ეს მუხლები მოითხოვს პრობლემის განსაზღვრას, გამოვლენას და კონკრეტულ მითითებას, თუ რა სახის

საფრთხეებს აჩენს მსგავსი თემების მოუმზადებელი, არაკორექტული და არაკომპეტენტური განხილვა ელექტრონულ მედიაში.

მრგვალი მაგიდა, რომელიც 21 ივლისს შედგა, ბუნებრივია, რომ წინა დღეს გასული „პროფილის“ განხილვის გარეშე ვერ ჩაივლიდა.

პირველ რიგში, კარგია, რომ გადაცემა ძალადობასა და გენდერულ თანასწორობას მიეძღვნა. თუმცა, უმჯობესი იქნება, ეს თემები ერთმანეთისგან განვაცალკევოთ. მსხვერპლი ქალების ისტორიების შემდეგ არ უნდა ვისმენდეთ საუბარს იმის შესახებ, თუ ცნობილი ოჯახის რომელ წევრს გააქვს ნაგავი სახლიდან.

გადაცემის პირველ ნაწილში ერთ-ერთი მსხვერპლი გოგონას ნაამბობი სტანდარტულია. ის ძალადობის მსხვერპლი მას შემდეგ გახდა, როდესაც ბავშვის გაჩენა გადაწყვიტა. ძალიან საინტერესო იქნებოდა დისკუსიის რომელიმე ნაწილის ამ ჭრილში განხილვა – არის თუ არა ქალის მხრიდან მამაკაცზე ძალადობა, მისი სურვილისა და ნებართვის გარეშე, ბავშვის გაჩენის შემთხვევა?! ბუნებრივია, ერთი ძალადობა არ ამართლებს მეორეს, მაგრამ არც პრობლემის განხილვა არის მიზანშეწონილი ცალმხრივად.



კადრები ეკა ხოფერიას გადაცემიდან „აუდიტორია“

■ გადაცემაში მრავალფეროვანი შეფასებები მოვისმინეთ, თუმცა მათი ნაწილი გენდერულ სტერეოტიპებს მხოლოდ ამყარებდა. ერთი შეხედვით ძნელი სათქმელია, გადაცემამ უფრო მეტი ზიანი მოიტანა, თუ სიკეთე?!

მოწოდება, რომ არ შეიძლება მამაკაცმა იძალადოს ქალზე, ცხადია, მაგრამ იქნებ მოსაზრებას, რომ ბავშვის გაჩენა ორი ადამიანის შეთანხმებისა და სიყვარულის შედეგი უნდა იყოს (ბუნებრივია არ იგულისხმება შემთხვევა, როდესაც ერთი ადამიანი მხოლოდ საკუთარი თავისთვის აჩენს ახალ სიცოცხლეს), აქვს არსებობის უფლება?!

ფსიქოლოგი ნატო ზაზაშვილი, კავშირი „საფარის“ თავმჯდომარე ამ თემისადმი მიძღვნილი გადაცემების მისამართით ამბობს: „ამ თემაზე შექმნილი გადაცემების არასრულფასოვნებას განაპირობებს ოჯახში ძალადობის საკითხის ცალმხრივი გააზრება და წარმოჩენა. უმეტესწილად, ოჯახში ძალადობა განიხილება, როგორც მამაკაცის ძალადობა ქალზე. ეს კი საკითხის გამარტივებაა. როლების ამგვარი გადანაწილება საკმაოდ პირობითია – მოძალადე თავად მსხვერპლია და მსხვერპლი თავად მოძალადე“.

ის, რომ გადაცემა „აუდიტორიაში“ არაპროფესიონალი სტუმრებიც მონაწილეობდნენ, ესეც გამართლებულია.

მაყურებელმა უნდა გაიგოს მისთვის საინტერესო ადამიანების მოსაზრებები, უნდა გაიგოს ყველანაირი აზრი და, რაც მთავარია, უნდა გაიგოს პრობლემის არსი. ამგვარი თემების განხილვა კიდევ უფრო მეტ სიფრთხილეს მოითხოვს. „აუდიტორიაში“ თითქოს ყველაფერი იყო: 1. მსხვერპლი ქალები, რომლებიც საკუთარ ისტორიას ჰყვებოდნენ. მათგან ნაწილი აჩენდა საკუთარ სახეს, ნაწილი კი მალავდა; 2. ცნობილი ადამიანები, პარლამენტის წევრები, ქალთა უფლებადამცველი ლიკა ნადარია, მსახიობი ია ფარულავა, მომღერალი კაბუ; 3. პროფესიონალები: ფსიქოლოგი, იურისტი, უფლებადამცველი.

20 ივლისის გადაცემა „აუდიტორიაზე“ მედიაექსპერტი თინა ცომია ამბობს: „მინდა, გადაცემის შემოქმედებით ჯგუფს მივულოცო, რომ დაინტერესდა გენდერული ძალადობის თემით. სტუდიაში სტუმრების სპექტრი ფართო იყო, ამიტომ მრავალფეროვანი შეფასებები, ფაქტები და მოსაზრებები მოვისმინეთ, თუმცა მოსაზრებების ნაწილი გენდერულ სტერეოტიპებს მხოლოდ ამყარებდა. ხშირად ასეთი განცხადებები არ იყო დაბალანსებული კომპეტენტური მოსაზრებებით. ერთი შეხედვით ძნელი სათქმელია, გადაცემამ უფრო მეტი ზიანი მოიტანა, თუ სიკეთე?! გენდერის თემა გლობალურია და პრობლემური ყველა ქვეყნისათვის. შესაბამისად, მედიას შემუშავებული აქვს პროფესიული ეთიკის ნორმები ამ თემის გაშუქებისათვის. წესი მარტივია: თუ დაიცავ ამ ნორმებს – რეპორტაჟი, გადაცემა გენდერმგრძობიარე იქნება, თუ არა, ის გაამყარებს და განამტკიცებს სტერეოტიპებს“.

ქალთა საკონსულტაციო ცენტრ „სახლის“ ხელმძღვანელი, ფსიქოლოგი რუსუდან ფხაკაძე აცხადებს, რომ ოჯახური ძალადობის საკითხის ტელევიზიით გაშუქების უმთავრესი მიზანი უნდა იყოს დაფარულ და უხილავ, არალიარებულ პრობლემაზე საუბარი და ამ საკითხისადმი ადეკვატური საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბება. „მსხვერპლის ეკრანზე გამოჩენა (თუნდაც ამაზე მისი

თანხმობა იყოს), მისი პრობლემის საჯარო განხილვა, რომელიც ერთი შეხედვით მის მიმართ თანაგრძობას უნდა აღვიძებდეს და ამ გზით პრობლემის უკეთ გაგებას უწყობდეს ხელს, საპირისპირო რეაქციას იწვევს. სწორედ საზოგადოებაში დამკვიდრებული სტერეოტიპების ფონზე, მსხვერპლის ამგვარი საქციელი ალბათ ძალიან ბევრში მის მიმართ, თანაგრძობის მაგივრად, გაღიზიანებას, მსხვერპლისგან და მისი პრობლემისაგან გამიჯვნას იწვევს (ეს მისი პრობლემაა, იმიტომ, რომ ცუდად იქცევა!“; „გამოაქვს ოჯახის პრობლემები გარეთ“, – ანუ არ არის ოჯახის ერთგული“).


„მსხვერპლი თავისი მსხვერპლობიდან გამომდინარე, უმრავლეს შემთხვევებში, შესაძლოა, ადეკვატურად ვერ აფასებდეს მისი ამგვარი საქციელის შედეგებს და, შესაბამისად, არც საფრთხისაგან იყოს დაცული. ერთ-ერთი შედეგი შეიძლება იყოს მსხვერპლის დიდი იმედგაცრუება, როცა მის ასეთ „გაბედულ“ ნაბიჯს არავითარი შედეგი არ მოჰყვება და იგი კვლავ მართო დარჩება კიდევ უფრო გართულებულ პრობლემასთან; შესაძლოა, თანაგრძობის და მხარდაჭერის მაგივრად, გაკიცხვაც დაიმსახუროს. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია გადაცემის („აუდიტორია“ 20.07.2010 – ნ.კ.) მსვლელობისას გამოვლენილიყო თანადგომა მსხვერპლების მიერ წარმოდგენილი პრობლემების მიმართ“, – ამბობს რუსუდან ფხაკაძე.

და ბოლოს, კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, რომ სატელევიზიო მედიაში აქტიური საუბრის დაწყება ოჯახურ ძალადობასა თუ სხვა ტაბუირებულ, პრობლემურ თემაზე აუცილებელია, მაგრამ ეს არ უნდა იყოს ერთჯერადი ან ფრაგმენტული. რაც მთავარია, უნდა გაიზარდოს პროფესიონალური დამოკიდებულება, ამაღლდეს კომპეტენცია ამგვარი თემების მომზადებისას, იმისათვის, რომ ჩვენი კეთილი სურვილი საბოლოოდ ფაქტობრივ შედეგს მომტანი არ გახდეს. ეკრანზე ასახულმა ძალადობამ კიდევ უფრო მეტი ძალადობა არ გააჩინოს. **■**

"ომის წიგნი - ომის ლიტერატურის 25 საუკუნე"

გაინტერესებთ, როგორ წერილს მისწერდა ოჯახს ჭურვის 227 ნამსხვრევს გადარჩენილი ჰემინგუეი? ან რას წერდა ნაპოლეონზე ვიქტორ ჰიუგო? ალბათ არც ის იქნება უინტერესო, თუ რას ფიქრობდა რედიარდ კიპლინგი ომზე და როგორ აღწერა საკუთარი მდგომარეობა ფრონტზე ჯორჯ ორუელმა. თუ ასეა, მაშინ ეს წიგნი ნამდვილად დაგაინტერესებთ.

ლევან ცუცქერიძე



„ომის წიგნი - ომის ლიტერატურის 25 საუკუნე“ ჯონ კიგენი, Penguin Books

ჯონ კიგენმა, რომელიც მრავალი წიგნის ავტორია ომისა და სამხედრო პოლიტიკის საკითხებზე (მათ შორის ყველაზე ცნობილია „ომის სახე“ და „პირველი მსოფლიო ომი“), თავი მოუყარა მსოფლიოს ლიტერატურულ მემკვიდრეებში არსებულ, მისი აზრით, საუკეთესო ნაწარმოებებს და შემდეგ საკუთარი შეხედულებისამებრ ყველაზე საინტერესო და მკაფიო ეპიზოდები ერთ წიგნად შეკრა. მიუხედავად იმისა, დაეთანხმებით თუ არა კიგენის არჩევანს (აქ არ არის

„ომი და მშვიდობა“ და მაკედონელს აუცილებლად ეკუთვნოდა დამსახურებული სივრცე), უდავოა, რომ ეს ომისა და კონფლიქტის თაობაზე არსებული მხატვრული ლიტერატურის ნამდვილად კარგი კოლექციაა, როგორც პროზის, ასევე პოეზიის მხრივ – ეს უკანასკნელი ოქსფორდის ომის პოეზიის კოლექციას ეყრდნობა.

გარდა იმისა, რომ ამ წიგნში „დიდი ავტორებისა“ და პოლიტიკური თუ სამხედრო ლიდერების ნაწარმოებების საინტერესო ეპიზოდებს ნახავთ, არანაკლებ დაგაინტერესებთ ომის მონაწილეთა და თვითმხილველთა მემუარები და დღიურები. წიგნის პირველი გვერდები (არცთუ მოულოდნელად) „მელოსის დიალოგით“ იწყება – „ყველაზე წარმატებული ის ხალხია, ვინც თანასწორებთან მეტოქეობს, ძლიერებთან სწორად იქცევა და სუსტებს სამართლიანად ეპყრობა“; ხოლო წიგნის ბოლო თავი ერაყის პირველი ომის მონაწილე ბრიტანელი სპეცრაზმის (SAS) მებრძოლის ჩანაწერებით მთავრდება – „ალბათ თხუთმეტი მკვდარი, ბევრად მეტი დაჭრილი. ჩვენ მათ ყურადღება არ მივაქციეთ და გზა განვაგრძეთ. უდიდესი შვება დამეუფლა, როდესაც მათთან კონტაქტი (ბრძოლა) შევწყვიტეთ, მაგრამ მაინც შეშინებული ვიყავი. კიდევ მეტი იქნება ასეთი. ნებისმიერი, ვინც ამბობს, რომ არ ეშინია, ან მატყუარაა ან გონებრივად შეზღუდული“, ენდი მაქნები – „Bravo Two Zero“.

წიგნს რამდენიმე განზომილება აქვს. პირველია ისტორიული ქრონომეტრაჟი – ომის ევოლუცია და მისი ანარეკლი მსოფლიო ლიტერატურაში – ანტიკური პერიოდიდან თანამედროვე ეპოქამდე, ფარისა და ხმლის შეჯიბრიდან ატომურ ბომბამდე. გარდა ევოლუციისა, „ისტორიულ ქრონომეტრაჟში“ მუდმივსაც ადვილად დავინახავთ: ეს ადამიანია, რომელიც მიუხედავად მექანიზაციისა თუ კომპიუტერიზაციისა, მაინც მთავარი მამოძრავებელი ძალა ბრძოლის ველზე. მუდმივია მისი შიშებიც და, რაც მთავარია – მისი უნარი, დარჩეს ადამიანად ბრძოლის ველზეც კი. მუდმივია მისი კონფლიქტებიც ხელმძღვანელობასთან, პოლიტიკასა თუ ბოლოდროს უკვე თანამედროვე მედიასთან – „სამწუხაროა, რომ საზოგადოება ისე იქცევა როგორც ეს მედიას სურს... მგლოვიარენი თავს მოვალედ თვლიან, კამერების წინ იტირონ, თან თავი მნიშვნელოვნად იგრძნონ ამავე კამერების მათთან დგომის გამო. უზარმაზარია ზარალი, რასაც ეს ტელევიზიით ასახული მოდური დამოკიდებულებები საზოგადოებას აყენებს... ყველას ჰგონია, რომ ვისაც კი ტრავმა მიუღია ან წუხილი განუცდია, ფსიქოლოგს საჭიროებს... ნეტავ როგორ მოახერხეს 1940 წლის მებრძოლებმა სამოქალაქო ცხოვრებაში დაბრუნება ფსიქოლოგებისა და „ტვინების გამორეცხვის“ გარეშე? მე ვიცნობდი ახალგაზრდა ლივერ-

პულელს, რომელიც სამსახურში არ ნავიდა ჰილბოროს კატასტროფის (როდესაც ლივერპულის ფეხბურთელები დაიღუპნენ 1989 წელს) შემდეგ იმის გამო, რომ დამნუხრებული იყო... ის მათ არ იცნობდა, ის იქ არ იყო, მაგრამ ის ძალიან დამნუხრებული იყო საიმისოდ, რომ ემუშავა... საინტერესოა, რა მოხდებოდა, იმის დროს ბრიტანელ პილოტებს ბრძოლაში მონაწილეობა რომ აღარ მიეღოთ, მეგობრების დაკარგვით გამოწვეული ნუხილის გამო? თუმცა, ძალიან არ უნდა განვსაჯოთ ეს ახალგაზრდა. ის მომზადებული იყო იმ აზრისთვის, თითქოს ემოციებს აყოლა სწორი იყო; მეტიც, ის ამაყიც იყო ასეთი ქცევის გამო (ჯორჯ მაკდონალდ ფრეიზერი, „მშვიდობიანად გამომწყვედუელი“).

ამ წიგნის კიდევ ერთი საინტერესო ჭრილია კულტურული მხარე. განსხვავებებს დასავლეთსა და აღმოსავლეთს, ჩრდილოეთსა და სამხრეთს, ისლამსა და ქრისტიანობას, მოდერნიზებულ და არამოდერნიზებულ, ორგანიზებულ და არადისციპლინებულ საზოგადოებებს შორის მსოფლიო ლიტერატურის ეს ნიმუშები და მონაწილეთა მოგონებები მართლაც შთამბეჭდავად აღწერენ. ის უფლებები და შეზღუდვები, რაც ქრისტიანული ან თუნდაც მუსლიმური საზოგადოებისა და, შესაბამისად, კონფლიქტის *modus operandi*-ს განსაზღვრავდა, სრულიად მოულოდნელად – დაშვებული, მეტიც არარსებული აღმოჩნდა ამერიკის კოლონიზაციისას: „ყოველივე ამის (რიტუალური მკვლელობის) შემდეგ შემპყრობელი, რომელიც ტყვეს ასეთი მზრუნველობითა და სიამაყით უვლიდა, უყურებდა მის ანარეკლს საჯაროდ. მისი მეომარი ახლა უკვე მკვდარი იყო, მისი გული დამწვარი ჰუტზილოპოჩტლის (აცტეკების ღვთაება) საპატივცემულოდ, მისი თავი მოჭრილი სარიტუალო ცეკვისათვის და შემდეგ სპეციალურ თავის ქალათა სადგომზე წამოცმული... მის შემპყრობელს ეძლეოდა ხოხბის

ბუმბულით დამშვენებული თასი, რომელიც სავსე იყო ტყვის მკერდიდან შეგროვილი სისხლით. ამ ქოთნით მას უნდა მოეელო ქალაქი და ყველა ღმერთის ქანდაკების პირი მოებანა. შემდეგ იგი ბრუნდებოდა თავის ადგილზე, რათა დაენანეერებინათ და გაენანილებინათ გვამის ნაწილები. მოგვიანებით, იგი უყურებდა, თუ როგორ ჭამდნენ მის ოჯახში შეკრებილი მეგობრები მოკლულის ხორცის ნაწილს და თან ტიროდნენ, რადგან თავის ახალგაზრდა მეზობლის შესაძლო მსგავს მომავალს განიცდიდნენ. ამ მელანქოლიურ „ნადიმზე“ შემპყრობელი გვერდზე გადადებდა თავის სამოსელს და ცარცით თეთრდებოდა, როგორც მისი ტყვე (ინგა ქლენდინენ, „აცტეკები“).

ადამიანები განსხვავებულად მოქმედებენ, სხვადასხვა დონეზე განიცდიან და აღიქვამენ კონფლიქტს. ამ წიგნის მესამე განზომილება ცნორედ ესაა: კონფლიქტის შეგრძნება სხვადასხვა სიმაღლეზე: უმაღლესი მთავარსარდლიდან სანგარში ჩამალულ მეომრამდე. თავის ცნობილ მიმართვაში ბრიტანელი ხალხისადმი ჩერჩილი ამბობდა: „მათ (ფრანგების) უკან, ჩვენ უკან, ბრიტანეთისა და საფრანგეთის არმიისა და ფლოტის უკან, დგანან დანგრეული ქვეყნები და სისხლისაგან დაცლილი ერები: ჩეხები, პოლონელები, ნორვეგიელები, დანიელები, ჰოლანდიელები, ბელგიელები – ყველა მათგანის თავზე ბარბაროსობის გრძელი ღამე ჩამოწვება, რომელსაც იმედის ვარსკვლავიც კი ვერ გააკრთობს, თუკი ჩვენ ვერ გავიმარჯვებთ, და ჩვენ უნდა გავიმარჯვოთ და ჩვენ გავიმარჯვებთ (BBC ტრანსლაცია, 1940).

სულ სხვაგვარია მათი განცდები, ვინც ომის მთავარი და უშუალო მონაწილეა: „რას ფიქრობდნენ ის ადამიანები ახლა ამ საათს, რომელიც მრავალი მათგანისთვის უკანასკნელი იქნება? ყველაზე ახალგაზრდები, ალბათ დაძაბულები და აღგზნებულები, ძლივს მალავენ ნერვიულობას, მაშინ როდესაც

სხვები, „მოხუცი ხელები“, რომლებიც გამოცდილებამ ფატალისტებად აქცია, ცოტას ფიქრობენ. დაღლილობა ფანტაზიას ეთამაშება და მძიმე ან სასიამოვნო მოგონებებს წამოშლის – სურათები ირეალობის ფონზე. ალბათ სხვებიც იყვნენ, ვინც ხმამაღლა ტიროდა იდაყვებსა და იარაღში თავჩარგული. ისინი გაშლილ მინდვრებზე, ბაღებზე, სინათლეზე, წყლის ხმაურსა და ინგლისის ხეების შრიალზე, პატარა გაშლილ ხელებზე და იმ შიშზე ფიქრობდნენ, რომელიც განშორების დროს მათ თვალეში ჩანდა; მაგრამ რასის თვითდისციპლინის ინსტინქტმა ყველა ტუჩი მოკუმბა, ყველა სახეს ნილაბი ააფარა. ჩირაღდნის უეცარი სხივი, გატყორცნილი შუქი ვერაფერს აჩენდა გარდა დაღლილი და მობეზრებული გამომეტყველებისა, აი მხოლოდ ეს იყო... (გენერალი სპეარსი, „გამარჯვების პრელუდია“). ასეთი კონტრასტები სამხედროებსა და პოლიტიკოსებს, მშვიდობიან მოსახლეობასა და ჯარისკაცებს, ქალებსა და კაცებს შორის ძალზედ საინტერესო დასაკვირვებელია ამ კოლექციაში.

ეს წიგნი სწორედ ასეთი შედარებებისთვის უფროა წასაკითხი, ვიდრე როგორც უბრალო ლიტერატურის ნაგლეჯების კოლექცია. „ომის წიგნი“ ასევე კარგია ისეთი ისტორიულად მნიშვნელოვანი, გადამწყვეტი მოვლენების აღსადგენად, როგორიცაა, მაგალითად, მალტის ალყა, აჟინკოსა თუ გალიპოლის ბრძოლა, კონსტანტინოპოლის დაცემა, ენიგმას გაშიფვრა და ოპერაცია ულტრა, ნორმანდიის გადასხმა, ატომური ბომბის ჩამოგდება ნაგასაკიში და სხვა. რაც ყველაზე მთავარია, ეს ყველაფერი მონაწილეთა და თვითმხილველთა მიერაა ნაამბობი და არა „სავარძლის ექსპერტების“ მიერ.

დასასრულს, თუკი ჰემინგუეის ბედი ისევ გაინტერესებთ, ის ყველაზე ამაყად პოკერში მოგებულ ორმოცდაათ ლირაზე წერს. □

ბათუმს ქათათას, ბათუმს ბნამუხანს

დავით იმედაშვილის ახალი და საიმედოდ კომერციული პროექტი – სოფო ნიჟარაძის, ლევან ხურციას და... ვინძლო პამელა ანდერსონის მონაწილეობით.

დავით ბუხრიკიძე



როგორც ჩანს, ბათუმი არა მარტო დედაქალაქით დაღლილი პრეზიდენტის საყვარელი დასასვენებელი ქალაქი, ან თეთრად მოსილი ბომონდის თავშეყრის ადგილი გახდა, არამედ „გლამურული კინოინდუსტრიის“ ათვლის წერტილიც. ცხადია, სოციალურად ჭრელი, ნევროზული და პოლიტიკურად არასანდო თბილისისგან განსხვავებით, ბათუმში გადაღება საამოც არის და უპრობლემოც. აქ მალე რენი ჰარლინის „ჯორჯიას“ პროდიუსერი და ერთობ საშუალო დონის, გლამურული სურათის „ოცნების ქალაქის“ რეჟისორი, დავით იმედაშვილი თავიანთ მომდევნო ფილმს გადაიღებენ. საკუთარ მოზღვავეებულ გრძნობებს რეჟისორი თავს მოუყრის ახალ კომერციულ მელოდრამაში სიმბოლური სახელწოდებით „ზღვა სიყვარული“.

ბათუმის ახალი ბულვარი, რომელსაც მავანნი უკვე ირონიულად ქართულ „სანსეტ-ბულვარსაც“ უწოდებენ, მალე თავბრუდამხვევი სასიყვარულო ისტორიის მოწმე გახდება: როგორ გაიცნობს და შეიყვარებს ნარმატებული, მაგრამ რატომღაც სევდიანი და „უბრალო ადამიანებში“ ფაქიზად დარწმუნებული ბიზნესმენი (ამ როლს რუსთაველის თეატრის მსახიობი ლევან ხურცია შეასრულებს) ოპტიმისტ და ღარიბ მეყვავილე გოგონას (ეს მომღერალ სოფო

ნიჟარაძის დებიუტია კინოში)... და რომელიღაც ჰოლივუდელი ვარსკვლავის დახმარებით, როგორ იქცევა სასიყვარულო ისტორია კეთილ ზღაპრად.

ჯერჯერობით გარკვეული არ არის, ჰოლივუდიდან საამო რევიზორივით „მოვლინებული“ ვარსკვლავის ეპიზოდურ როლს კარგად ნაცნობი სელმა ჰაიეკი ითამაშებს, არანაკლებ ვენებიანი კარმენ ელექტრა თუ პორნოინდუსტრიაში გამოცდილი პამელა ანდერსონი. რეჟისორი ამას კონტრაქტის არარსებობით ხსნის. თუმცა იმედოვნებს, რომ რომელიმე მათგანი „ფანჯარას“ მაინც გამოიხატავს მცირე ხნით და სიმბოლურ ფასად დათანხმდება ფილმში მონაწილეობას.

ისევე როგორც „ოცნების ქალაქში“, სცენარის ავტორად ამჯერადაც დრამატურგი ბესო სოლომანაშვილი მოგვევლინება. ქუჩიდან მოსული „მგზავრების“ ნაცვლად, რომლებიც რეკლამირებული ფილმის შემდეგ ერთობ პოპულარულები გახდნენ და უკვე გამრჯე, წესიერ სამართალდამცველებზე წერენ ჰიმნებს, ამჯერად მუსიკას პროფესიონალი დირიჟორი და თითქმის იმპროვიზატორი ნიკა მემანიშვილი შექმნის. მომღერალი სოფო ნიჟარაძე კი თავისი დებიუტით ნანკა კალატოზიშვილს ჩაანაცვლებს.

სავარაუდოდ, ამ მარტივად საჭირო

და გლამურულ ზღაპარს მწვანე შუქს არა მარტო ხელისუფლებასთან დაახლოებულნი აუნთებენ (როგორც „ოცნების ქალაქის“ შემთხვევაში, სადაც უკვე დამთავრებულ ფილმში მოგვიანებით ახალი, შუშის ხიდიც „ჩაამატეს“), არამედ – სხვადასხვა რეკლამის შემკვეთები, ტელევიზიები და ეროვნული კინოცენტრიც. მერე ალბათ ფილმში ვიხილავთ, როგორ ასხამს „ლუკოილის“ ბენზინს მანქანაში მთავარი გმირი, ან როგორ ჭამს „მითანას“ მჭლე ძეხვს საბრალო მეყვავილე გოგონა...

ჩვენი ინფორმაციით, მიხეილ კობახიძის ახალი ფილმის პროექტისთვის (რომელიც რიგი მიზეზების გამო ჩაიშალა) გათვალისწინებული 200 ათასი ლარიც დავით იმედაშვილის „ზღვა სიყვარულს“ მოხმარდება. თუმცა ეროვნულ კინოცენტრში ამ ფაქტს უარყოფენ. ქალბატონი ნინო ანჯაფარიძე აღნიშნავს, რომ „იმედაშვილს კინოცენტრში პროექტი საერთოდ არ შემოუტანია“. თუმცა სიმართლე რომ ითქვას, პროექტები და დიდი წვალეა არც არის საჭირო. მთავარია, საჭირო დროს საჭირო ხალხთან იდგე. და მერე პამელა ანდერსონიც ჰოლივუდელ ვარსკვლავად მოგეჩვენება და ჯაზფესტივალზე ჩამოსულ მუსიკოს ჰიუ მასკელასაც მოუძებნი ფილმში ადგილს. **■**

სოხიატესი ბახსოვით?



გიორ ახვლედიანი, ლონდონი

ახლა ბრაზილიის დრო მოდის დიდ სპორტულ შეჯიბრებათა ამბავში. ოთხი წლის შემდეგ მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში სწორედ იქ გაიმართება, ხოლო კიდევ ორი წლის თავზე რიო დე ჟანეირო ოლიმპიურ თამაშებსაც უმასპინძლებს.

ეს ძალიან დიდი საქმეა საოცარი ქვეყნისთვის, რომლის სიღარიბე და იმავდროულად სიმდიდრე ყოველთვის სალაპარაკოა.

ამ დღეებში ლონდონს ბრაზილიელი მწერალი, სოკრატეს ბრაზილიერო სამპაიო დე სოუზა ვიეირა დე ოლივეირა ეწვია. საუბრის ბენქის ლიტერატურული ფესტივალის და იმავდროულად ბრაზილიის ფესტივალის დღეების მონაწილე, 56 წლის თეთრფერა კაცი მსოფლიოსთვის უფრო თავისი ოდინდელი ფეხბურთელობით არის ცნობილი, ბრაზილიის ნაკრების კაპიტნობით 80-იან წლებში და მაშინ ახალგაზრდა კაცის დაუფინყარი გარეგნობით.

იმ დროში სოკრატესის შესახებ ის ვიცოდით, რომ მარტო ფეხბურთელი კი არა, ექიმიცაა და სანამ დიპლომი არ აიღო, ნაკრებში არაფრით ითამაშა, მერე კი პირდაპირ მისი კაპიტანი გახდა.

მაშინ ჩვენ არ მოგვეხსენებოდა, რომ სოკრატესი თავისუფლების მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი იყო ხუნტის შემდგომ ბრაზილიაში და სან-პაულუს „კორინთიანსი“, რომელშიც ის თამაშობდა, დემოკრატიის ერთ-ერთ შუქურას წარმოადგენდა, რადგან ისე იმართებოდა, როგორც თავისუფალი თემი: პრეზიდენტს, ფეხბურთელს და მრეცხავ დეიდას, ყველას თითო ხმა ჰქონდა.

ისიც უცნაური იყო, რომ მაშინ სოკრატესი ამბობდა, – ჩემი გმირები პელე და გარინჩა კი არა, ლენონი და ჩე გევარა არიანო.

ფეხბურთს რომ გამოეთხოვა, სოკრატესმა ფილოსოფიის დოქტორობაც მოიპოვა და ექვსი შვილის მამა კვლავაც ექიმად მუშაობს ქალაქ რიბეირაუ პრეტუში. ის ერთნაირი წარმატებით ლაპარაკობს ფეხბურთსა და კულტურაზე და საერთოდ, ძალიან გამორჩეული კაცია, თავისი ოშვიათი იდეალიზმითა და სილამაზისადმი ერთგულებით.

„ჩემო კარგო, ბრაზილიაში არავის სწყენია, რომ ჩვენმა ნაკრებმა წააგო, – თქვა სოკრატესმა, როცა წლევან-



სოკრატესი

დელი მსოფლიო თასის გამო ჰკითხეს, – დუნგას ნაკრებში ხელოვნება საკმარისი არ იყო. თქვენთვის ეს ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ ჩვენ წაგება მაშინ გვწყინს, როცა ჩვენი ხელოვნება აგებს. სირბილში წაგება რა სანწყენია. დღეს ბავშვებს უწერგავენ, რომ ფეხბურთით ფულს იშოვიან. ამიტომ, ფეხბურთის სახელოვნებო სული იჩაგრება. ვან გოგს და დეგას რომ ეფიქრათ, –

მაცინდამაცინდ ფულისთვის ვხატავთო, – მათი ტილოები ხომ სულ სხვანაირი იქნებოდა. ასევეა ფეხბურთშიც. იქ მთავარი მოგება არ არის. იქ მოგება მაშინაა კარგი, როცა ხელოვნების გამარჯვებას ემთხვევა“.

ვინ დაეთანხმება ამაში სოკრატესს, ძნელი სათქმელია. დღევანდელი ფეხბურთი მართლა გადაირია ფულზე და სირბილზე. ხელოვნებისა მას იმდენად სცხია, რამდენადაც სჭირდება, რომ ხანდახან რომანტიკულადაც წარმოაჩინოს თავი.

სოკრატესი ახლა რომანს წერს, თუმცა რაზეა რომანი, არ ამხელს. ლიტერატურულ ფესტივალზე მისი გამოჩენაც ამ ამბავს უკავშირდება. მაღალი, თეთრფერა ექიმი ინგლისელ პოლიტიკოსებს ლაღად ესაუბრება, და თავისი გმირების შესახებ ლაპარაკს სულაც არ ერიდება.

„ჩემს შვილს ფიდელი რომ დავარქვი, დედაჩემმა მითხრა, – არ უნდა გექნა, ბავშვს ამხელა სახელით ზედმეტ ტვირთს ადებო, – ისხენებს ის, – გამეცინა და ვკითხე, – შენ თვითონ ვისი სახელი დამარქვი-მეთქი. მამაჩემს ძველი საბერძნეთი ძალიან უყვარდა“.

მართალია, სახელი ტვირთია, მაგრამ სოკრატესისთვის, მგონი, ის არასდროს ყოფილა ტვირთი. ასეთი კაცები, ფეხბურთში კი არა, მსოფლიოშიც იშვიათია.

პირდაპირ შეგმურდება კაცს, სადღაც შენკენ რომ გინდა იპოვო ამ გაქანებისა და სიმართლის ადამიანი.

„თუ ხალხს რაღაცის თქმა უნდა და უჭირს, მე ვიტყვი მათ ნილ სათქმელს. თუ ჩემი ნათქვამი ყალბია, მას უბრალოდ არ მოუსმენენ“, – აი, სოკრატესი.

ხომ გახსოვთ, როგორც თამაშობდა? ისევე ცხოვრობს. **■**

ბუნი ბახეთით თბილისს! (ძალიან ბიძი და მოსახყენი ქაჩაჩი ჰაიხა)



კახა თოლორდავა

...ძალიან გთხოვთ, გოგოებო და ბიჭებო, შეიღებეთ თმა, რა ფრადაც გსურთ – წითლად, მწვანედ, ყვითლად, ლურჯად, ცისფრად, ჭრელად. ან იქნებ სულაც გადაიხოტროთ თავი და თავის ქალაზე რაიმე დაიხატოთ? რაც მოგესურვებთ ის, არჩევანი შეუზღუდავია. ან, სულაც აიღეთ და გაუშვით თმა (წითელი, მწვანე, ყვითელი, ლურჯი, ცისფერი, ჭრელი), გრძლად, ძალიან გრძლად და მერე შეეცადეთ, გიჟური ვარცხნილობით გული გაუხეთქოთ თბილისს. როგორი ვარცხნილობით? უჰ, არ ვიცი. ვიცი მხოლოდ ის, რომ თქვენმა ვარცხნილობამ მოძრაობა უნდა შეაფერხოს ხოლმე; თქვენმა ვარცხნილობამ მოსვენება უნდა დაუკარგოს ყველას, ვისაც სარკეში საკუთარი ანარეკლის ეშინია, თქვენმა ვარცხნილობამ თქვენი ცემის სურვილი უნდა გაუჩინოს ვიღაც-ვიღაცებს (ეს ბიჭებს ეხება), ან კი გაუბედავად შეაყვაროს თქვენი თავი (ეს კი გოგონებს). თუ თავშიშველი სიარული არ გიყვართ, დაიხურეთ გიჟური ქუდები, სხვადასხვა ფერის, სხვადასხვა ფასონის, სხვადასხვა ფორმის. ჩამოიკიდეთ სულელური სამკაულები, გამოსცადეთ თქვენი თავი კრიტიკული მზერის წინაშე, ნუ შეგეშინდებათ ექსპერიმენტების, ახლებურად, თქვენებურად მოერგეთ ქალაქს. არაფერია, თუ ზოგჯერ უგემოვნოები იქნებით. არაფერია, თუ ხშირად იქნებით უგემოვნოები და სასაცილოებიც კი. ადრე თუ გვიან ამ შეცდომას გამოასწორებთ და კიდევ უფრო სასაცილოები, უგემოვნოები და გამომწვევები გახდებით, კიდევ უფრო თამამები. და არა მარტო ჩაცმულობაში. ამ დროისათვის თქვენ უკვე არაფრის შიში აღარ გექნებათ; ამ დროისათვის თქვენ უკვე ამ ქალაქის ბატონ-პატრონები იქნებით. ჰო, ძალიან გთხოვთ, კიდევ უფრო გიჟურად ჩაიცვით, კარგი? უფრო გიჟურად, ვიდრე გასული საუკუნის სამოციან და სამოცდაათიან წლებში იცვამდნენ ევროპასა თუ ამერიკაში. იმათ მართლაც რომ არაფრის ეშინოდათ, თქვენ კი მხოლოდ იმის უნდა გეშინოდეთ, რომ მათზე უნიათოდ არ გამოიყურებოდეთ. საიდანაც გინდათ იქიდან დაითრიეთ იდეები, მთავარია, რომ საბოლოოდ ეს იდეები მხოლოდ და მხოლოდ თქვენი იყოს და თქვენ წარმოგადგინდეთ. დაიმახსოვრეთ, ქუჩაში შემხვედრ ყველა ბავშვს ზღაპრიდან მოსული უნდა ეგონოთ. ყველაზე მთავარი ისაა, თუ როგორ აღიქვამენ თქვენს ჩაცმულობას თქვენზე უმცროსები. ვის რაში აინტერესებს დანარჩენების



აზრი? წარმოიდგინეთ, როგორი გახდება თბილისის ქუჩები, თქვენ რომ ასეთი თამამები იყოთ! ასეთი თამამები და ასეთი გამომწვევები. ვიღაც-ვიღაცები იტყვიან, – ჩაცმულობა რა ბედენაა, ტვინში რა აქვთ, ისაა მთავარიო. იმასაც იტყვიან, – ჩვენი თაობა უფრო მაგარი იყოო. იმასაც იტყვიან, – მაგარი უნიჭო თაობა მოდისო. იმასაც იტყვიან, – ეგენი ზედაპირულები და ზერელეები არიანო, მაგრამ ილაპარაკონ, მერე რა.

გოგოებო და ბიჭებო, ძალიან გთხოვთ, ალაპარაკეთ თბილისის თქვენზე, აჭორავეთ, გააღიზიანეთ, გააბრაზეთ, შეაშფოთეთ, გაუჩინეთ ადამიანებს სინანულის შეგრძნება იმაზე, რომ მათაც შეეძლოთ თავის დროზე ასეთი თამამები ყოფილიყვნენ, მაგრამ ვერ მოახერხეს, ჯერ თბილისის შეშინდათ, მერე კი – ცნობილი კუტურიეების. გოგოებო და ბიჭებო, ძალიან გთხოვთ, დაემგვანეთ ციდან ჩამოვარდნილ უცხოულანეტელებს, დაემგვანეთ ვისაც გინდათ, მაგრამ გემუდარებით, ნუ ჰგავხართ „პაპარაცების“ მიერ ფარულად გადაღებულ, საყიდლებზე გასულ ჯენიფერ ანისტონს (ეს გოგონებს ეხებათ) და ჯიმ ქერის (ეს კი ბიჭებს) მაგ თქვენს უნიფორმად ქცეულ ჯინსებსა და მაისურებში. გოგოებო და ბიჭებო, ძალიან გთხოვთ, გააფრინეთ რა!

ვზივარ სკამზე რუსთაველის პროსპექტზე და ხალხის ნაკადს ვათვალიერებ.



თელავი, ყვარელი, ლაგოდეხი
გორი, ქარელი, ხაშური
ზესტაფონი, ქუთაისი, სამტრედია
ურაკი, ქოგულეთი, ბათუმი
ფოთი, სენაკი, ზუგდიდი

FM 105.5

FM 103.0

FM 104.5

FM 101.0

FM 101.9



WWW.LIBERALI.GE

